საერთო გაზეთი

№8 (361) • 9 მარტი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

ერთადერთი, ვისი იმედიც შეიძლება კიდევ ჰქონდეს ხალხს, ეს არის ბიძინა ივანიშვილი

„არა ნაცმოძრაობას!“

როდის დადგება ის დღე, როცა სრულიად საქართველო შეკრავს ცოცხალ ჯაჭვს ერთი მოწოდებით - არა ნაცმოძრაობას!

„ქინძი-ფართი“ ჩავარდა - ეს ჯაჭვი კი არა თითზე სატრიალებელი „ცეპოჩკა“ იყო

თუ რუსეთ-თურქეთს შორის დაპირისპირებამ აშკარა სახე მიიღო, საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება

სოდომია მოდის, სოდომია!.. ანუ - „ფრთხილად, კარები იკეტება“

„საკუთარი ქვეყნის დამსმენებს, საქართველო მოუკითხავს დამსმელებს“!

ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ალექსი პეტრიაშვილი და რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ფაქტსა და ლევან მიქელაძის გარდაცვალებას შორის?!

„წერილი, რომელსაც გიგზავნით, ჭმუნვითა და ტკივილითაა სავსე. გწერთ, რათა შეგატყობინოთ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც იძულებული ვარ მივიღო იმ საგანგაშო მოვლენებისა და ძალადობის კვალობაზე, რომელიც 7 ნოემბერს თბილისში მოხდა.“

ზაზა შათირიშვილი:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“

„ე. წ. ლიბერალები იგივე მიშები არიან, ოღონდ, უცოცხო მიშები. ეს განსხვავებაა, სხვა არაფერი.“

ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია:

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ

გთავაზობთ წერილს, რომელიც 1945 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც, ჩვენი აზრით, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ

გასულ კვირას პრემიერ-მინისტრი სამცხე-ჯავახეთის მხარეში იმყოფებოდა.

ბატონი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად უნდა სტუმრობდნენ რეგიონებს, ესაუბრებოდნენ ხალხს და ადგილზე ეცნობოდნენ სიტუაციას.

„ჩვენ ძალიან ბევრს ვივლით რეგიონებში, იმიტომ რომ ქალაქიდან შეიძლება ბევრი რამ სხვანაირად ჩანდეს. ადამიანებს როცა ხვდები, ესაუბრები, მათი პრობლემების შესახებ ისმენ, სხვანაირი შეგრძნება ჩნდება თვითონ მთავრობის წარმომადგენლებში. ისინი უფრო მეტად ითავისებენ იმას, თუ რა არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი," – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პოტენციალზე ისაუბრა და სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" მნიშვნელობა შეაფასა.

პრემიერის თქმით, ბორჯომში ახალი, „ინტერკონტინენტალის" ჯგუფის სასტუმრო იხსნება, რომლის მშენებლობაში 32 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო.

„სასტუმროში 150 ადამიანი მუშაობს უკვე, მშენებლობის დროს 250 იყო დასაქმებული და მათი 95% არის ადგილობრივი მაცხოვრებელი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხდება ადამიანების გადამზადება და საერთოდ, მგონია, რომ ამ რეგიონს აქვს განსაკუთრებულად დიდი პოტენციალი. ბორჯომი არის უნიკალური კურორტი, რომლის განვითარების პერსპექტივა არის უზარმაზარი და ჩვენ აუცილებლად განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მას. ბორჯომი და ბაკურიანი კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. ეს სასტუმროები, რომლებიც ბორჯომში იხსნება, ფაქტობრივად, მიებმება როგორც ბორჯომის კომპლექსებს, ასევე ბაკურიანის კომპლექსებს," – განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამცხე-ჯავახეთში სტუმრად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ მეწარმეს ბორის თათეშვილს ეწვია და მისი საიუველირო-სადურგლო საამქროც დაათვალიერა.

2016 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს ყველა რეგიონში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც 31 მარტს დასრულდება. პროგრამა მიზნად ისახავს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, მეწარმეთა მხარდაჭერას, რეგიონული ბაზრების განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, კომპანიამ „Georgian Business Zone" საერთაშორისო სტანდარტების მქონე ფერმა გახსნა. სოფელ წნისში მდებარე მეცხოველეობის ფერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოინახულა.

„Georgian Business Zone" წარმოადგენს აგროკომპანიას, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია 25 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, 150 ჰექტარი საძოვარი, 5 ჰექტარზე გაშენებული ვაშლის ბაღი, ხილისა და ბოსტნეულის შემნახველი სამაცივრე მეურნეობა, ISO სერთიფიცირებული HACCP -ის სტანდარტების მქონე რძის გადამამუშავებელი საწარმო, პირუტყვის საკვების მწარმოებელი საწარმო.

კომპანიამ 2015 წელს, იაფი აგროსესხის ფარგლებში, მეცხოველეობის ფერმა გახსნა. საწარმოში დასაქმებულია 45 ადამიანი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 2013 – წლიდან დღემდე, გაცემულია 24 301 სესხი 687,912,952 ლარის ოდენობით და 1 572 სესხი 182,130,048 აშშ დოლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში გაიხსნა 131 ახალი საწარმო.

„აწარმოე საქართველოში" არის პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებს დაამაგრებს რეგიონებში და მათ აღარ მოუწევთ სამუშაოს ძებნა ქალაქში, – ასე შეაფასა სოფელ ქვაბისხევის მკვიდრმა, მცირე მეწარმემ თემურ მაისურაძემ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი. მან პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და მთავრობის წევრებს „ამხანაგობა ჩუქურთმას" საამქროში უმასპინძლა.

პრემიერი „ამხანაგობა ჩუქურთმას" საქმიანობას გაეცნო. თემურ მაისურაძის განმარტებით, ამხანაგობა ხის ნაკეთობებზე და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებზე მუშაობს. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მათ შეიძინეს ხის გადასამუშავებელი და მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დასამზადებელი დანადგარები, ასევე ავტომანქანა.

მეწარმეების თქმით, „ამხანაგობა ჩუქურთმა" წლების წინაც საქმიანობდა, თუმცა სტიქიური უბედურების შედეგად საამქრო მთლიანად განადგურდა. ამხანაგობის სამმა წევრმა წარმოების ამუშავება სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" დახმარებით შეძლეს.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, ქუთაისიდან აბასთუმნის მიმართულებით პირდაპირი გზა აშენდება, რაც სამცხე-ჯავახეთს დააკავშირებს ქუთაისის აეროპორტთან.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სასტუმროების კომპანია, InterContinental Hotels Group-ი ბორჯომში ცნობილი ბრენდით – Crowne Plaza შემოვიდა. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „Crowne Plaza Borjomi" დღეს ოფიციალურად გაიხსნა.

გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის წევრებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ახლადგახსნილი სასტუმრო დაათვალიერა.

მისივე თქმით, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ბორჯომში ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაც კურორტს საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტულ ცენტრად აქცევს.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით, სამცხე-ჯავახეთში ტურისტული პოტენციალის ამოქმედების პროგრამა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, საფარის მონასტერთან მისასვლელ 7,2 კმ-იან მონაკვეთზე კაპიტალური გზა პირველად დაიგება. გზის აღდგენითი სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაათვალიერა.

„საფარის მონასტრამდე მისასვლელი გზა არის ძალიან მნიშვნელოვანი ბევრი თვალსაზრისით. ეს არის 7 კილომეტრიანი გზა, რომლის გახსნაც მოხდება წელს. აქ დადიან ტურისტები, მომლოცველები, რეგიონის მცხოვრებლები და ყველასთვის იქნება მნიშვნელოვანი, რომ გაკეთდეს გზა და მოეწყოს ინფრასტრუქტურა გზის გარშემო. აქ გაკეთდება გადასახედები, ავტომანქანის სადგომები. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დღეს ჩვენ ასევე დავათვალიერებთ რამდენიმე საწარმოს, რომლებიც პროგრამა „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში გაიხსნა, ვეწვევით შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებულ საწარმოს და დავესწრებით ბორჯომში ახალი სასტუმროს გახსნის ღონისძიებას," – განაცხადა პრემიერმა.

საგზაო სამუშაოების დასრულების შემდეგ საფარის მონასტრამდე მანძილი ნაცვლად 30 წუთისა 10 წუთში დაიფარება. სარეაბილიტაციო გზის სიგრძე 7,2 კმ-ი, გზის საფარის სიგანე კი 5 მეტრია. პროექტის ფარგლებში დასაქმდება 70 ადამიანი. გზის რეაბილიტაცია 2016 წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება, რომელსაც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს, 3 198 099,81 ლარია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მყოფი პრემიერ-მინისტრი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლს – საფარის მონასტერს ესტუმრა. გიორგი კვირიკაშვილმა სამონასტრო კომპლექსი მოილოცა. პრემიერ-მინისტრს და მთავრობის წევრებს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ უმასპინძლა. საუბარი შეეხო რეგიონის ტურისტული განვითარების პოტენციალს. აღინიშნა, რომ საფარის მონასტერი სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი და ტურისტული ობიექტია. მეუფემ საფარის მონასტერთან მისასვლელი გზის აღდგენითი სამუშაოების მნიშვნელობაც შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ გზის რეაბილიტაციის შემდეგ საფარის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირებს, მომლოცველებს და ტურისტებს მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ ტაძარში ასვლა.

„სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენ დავაანონსეთ, რომ პროგრამას „აწარმოე საქართველოში" დაემატა ახალი კომპონენტი „უმასპინძლე საქართველოში," რაც ხელს შეუწყობს რეგიონებში სასტუმროების ქსელის განვითარებას. დიდი მადლობა კომპანია „დიზონ ლიმითედს" ამ სასტუმროს პროექტის განხორციელებისთვის. კომპანიამ ასევე აღადგინა ბორჯომის გოგირდის აუზები, რომლებსაც ხანგრძლივი ისტორია აქვთ და ამ კურორტისთვის უმნიშვნელოვანესი იყო მათი აღდგენა," – აღნიშნა პრემიერმა.

„ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის იგეგმება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიც არის ქუთაისის სამცხე-ჯავახეთთან დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი, ქუთაისის სვანეთთან დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი, მცხეთა-ლარსის ავტომაგისტრალი და მთლიანად საქართველოს მთელი სატრანზიტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის ხერხემალი უნდა დამთავრდეს 2020 წლის ბოლომდე. დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს, საერთაშორისო კომპანიების ჩართულობით, ყველა ამ პროექტის პროექტირება და მშენებლობა და ჩვენ ვეცდებით მაქსიმალურად დავაჩქაროთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება," – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მონაცემებით მოამზადა „საერთო გაზეთის" რედაქციამ

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ"
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲨᲞᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ"
ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 164;
ᲢᲔᲚ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
ᲠᲔᲒᲘᲡᲢ. №202375349; ᲣᲐᲙ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲠᲔᲡᲘᲡ ᲠᲘᲜᲪᲘᲠᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲞᲡ „ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ" ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲒᲚᲐᲫᲘᲡ 39

◆ ᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

როდის დადგება ის დღე, როცა სრულიად საქართველო შეკრავს ცოცხალ ჯაჭვს ერთი მოწოდებით – „არა ნაცმოძრაობას!“

„ქინძი-ფართი“ ჩავარდა – ეს ჯაჭვი კი არა თითზე სატრიალებელი „ცეპოჩკა“ იყო

დავიწყოთ იმით, რომ 6 მარტს ჩავარდნილი „ქინძი-ფართის“ შესახებ არც ერთმა ქართულმა ტელე-არხმა არ უთხრა სიმართლე თავის მაყურებელს, ანუ კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ე.წ „ქართული მედიის“ რეიტინგის ვარდნის პროცენტი ძალიან მალე გაუთანაბრდება „ნაცმოძრაობის“ 6%-მდე დავარდნილ რეიტინგს. რიგითმა, მაგრამ სწორედ ქართულ მედიაზე გულაცრუებულმა ადამიანებმა, როგორც ჩანს, ამ დღეს სპეციალურად მიადევნეს თვალი საინფორმაციო გამოშვებებს და „აღმოაჩინეს“, რომ მხოლოდ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაუკიდია ფეხზე ჩაშლილი ქინძი-აქცია „არა გაზპრომს!“ ყველა დანარჩენს კი ისე გამოუყვანია, როგორც ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „სახალადეცე ღორის თავად“ სახელდებულმა ნუგზარ წიკლაურმა ბრძანა სოციალური ქსელით „საამაყო და შთამბეჭდავი იყო ათასობით პატრიოტის ხილვა თბილისის ქუჩებში“, რომ „ქინძების“ ტრაგიკომედია გრანდიოზული მიტინგი იყო. შესაბამისად, დიაგნოზიც დასვეს – „ქოცების“ ბრალია, მათ გააცოცხლეს ეს მკვდრები „რესპებთან“ ერთად და თუ რამე არ იღონეს, გადაჰყვებიან კიდეც თვითონაცო.

მოკლედ, „არა გაზპრომელებს“ ცნობილი ფრაზა ამ ფორმით მიესადაგათ – მკვდრებმა გააბეს ცოცხალი ჯაჭვი!

გიორგი ყუფარაძემ ინფორმაცია გაავრცელა, „ნაცმოძრაობამ“ აქციაზე მისვლისთვის ფული გადაუხადა რამდენიმე მხარდამჭერსო და სოციალურ ქსელში ამ ინფორმაციის ამსახველი ფოტოც გაავრცელა, მერე რომ აღარ თქვან, „რა ფული, რის ფული, ჩვენ პატრიოტები ვართო“.

ხალხი კუჭკუჭებდა: სად იყო ჯაჭვი, ეგ 63 ყვაჭიჭა 20-ლარიანი ბაყაყი ყელზე რომ კაშნედ შემოვიგდო, არ შემომწვდებაო;

20-ლარად, ვაგზალზე აღარ დგებიან, მანდ რამ დააყენათო;

ჯაჭვის რა ვთქვა, მაგრამ თითზე სატრიალებელი „ცეპოჩკა“ კი იყოო;

კანცელარიასთან შეიკრიბნენ და დაიწყეს ყაყანი გადაღებით. მერე, ნელ-ნელა გარბოდნენ, ზოგი –მანქანით, ზოგი – ფეხით მეორე ადგილისკენ, სადაც იგივე ყაყან-გადაღება იწყებოდა. შემდეგ, მესამე ადგილისკენ. ასე გრძელდებოდა ფინიშამდე. ეს ზემოდან რომ გადაეღოთ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვიხალისებდითო;

მე ვერ ვყვები, უნდა გენახათ – სად იშოვეს ეს ხალხი, საიდან ჩამოიყვანეს, ფეხით რას დარბოდნენ ერთი ადგილიდან მეორისკენ რომ გენახათ... – კროსი იყოო;

ვაიმე, კაცო, ჯაჭვიო! – დამცა ამ რაოდენობამ, თუმცა, მთავარია ხარისხი – თავს იმშვიდებს „ჩერგოო“;

იმხელა ჯაჭვის შემკვრელი ხალხიც ვერ მოაგროვეს, ირაკლი ლატარიას რომ ჰკიდია ყელზეო;

ეს რა იყო, მაგხელა ცეპს თავმოყვარე ლომბარდი არ ჩაიბარებსო და ა.შ უამრავი სააშიკო-სალაღობო გამოთქმა.

როგორც აქციის ორგანიზატორები აანონსებდნენ, ლურჯი ბუშტებით გაფორმებული, წარწერით „არა გაზპრომს“, „ქინძი-ჯაჭვი“ კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე უნდა გაბმულიყო, მაგრამ რადგან დიდი ძალისხმევის მიუხედავად ხალხი ვერ შეაგროვეს, „ნაცმოძრაობის აქტივისტებმა“ და მათთან ღიად მიტმასნილმა სუბიექტებმა აქცია მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციასთან გამართეს.

ხომ უნდა იკითხოს დაინტერესებულმა ადამიანმა, რას ითხოვდა ის ორი კინკილა ლურჯბუშტიანიო?

მათი იქ მიმტყუებლების მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა ის, რომ საქართველო არ დათანხმდეს მოთხოვნას სომხეთში ბუნებრივი აირის ტრანზიტის საფასურის მონეტარიზაციას და ეს მაშინ, როცა ენერგეტიკის მინისტრს უკვე გამოცხადებული ჰქონდა, რომ საქართველო რუსეთისგან სომხეთისთვის მიწოდებული გაზის ტრანზიტის



საფასურად კვლავ გატარებული ბუნებრივი აირის 10%-ს მიიღებდა. მშვენივრად იცოდნენ, რომ აქციის ჩატარების მცდელობამდე ორი დღით ადრე, ყოველწლიური ხელშეკრულება „გაზპრომთან“ განახლდა, რომლის თანახმადაც, საქართველო აზერბაიჯანისგან დამატებით 500-მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ხოლო დამატებით მოცულობას სამხრეთ კავკასიური მილსადენით მიიღებს; რომ სომხეთში ტრანზიტის მონეტარულ საფასურზე „გაზპრომს“ უარი ეთქვა; ამასთანავე, „სოკარმა“ გამოთქვა მზადყოფნა 1000 კუბურ მეტრზე 35-40 აშშ დოლარით შეამციროს გაზგასამართი სადგურებისთვის კომერციული გაზის ფასი.

ბუნებრივია, აქციის ორგანიზატორებსა თუ მონაწილე აქტივისტებს პასუხი არ ჰქონდათ კითხვაზე, რის გამო ატარებდნენ აქციას, რობოტებივით იმეორებდნენ გაურკვეველ დაზეპირებულ აბადაუბდას რუსული ძალის გაბატონების დაუშვებლობასა და რაღაც ვექტორის შეცვლაზე.

ვინ და საიდან ჰყავდათ ჩამოყვანილები გასამრავლებლად, რაღა საინტერესოა, ისიც საკმარისია, რომ ე.წ „ელიავას ბაზრობიდან“ მუშები იყვნენ გასაპროტესტებლად (არადა, პირიქით, თვითონ რომ დაეთქვათ აქცია „ელიავას ბაზრობაზე“ ნამდვილად უმჯობესი იქნებოდა მათთვის, შეერეოდნენ ხალხს და ბევრნი გამოჩდებოდნენ); იქით, მისი უნიჭიერესობა ია ფარულავაა „გაზპრომის“ საწინააღმდეგო აქციაზე გამოჭერილი, სამწინადადებასაც რომ „ტაბულას“ ჟურნალისტის მკერდზე მიხუტებული, დიდი, წითელი ასოებით გაკეთებული „შპარგალკიდან“ კითხულობს; იმის იქით გივი თარგამაძე ბლუყუნებს „ეს ჩვენი ექვსკილომეტრიანი ჯაჭვი თინათინ ხიდაშელს, „პრაიმთაიმის“ და ყველა იმის ჯანში, ვისაც მოეჩვენა, რომ ხალხი არ გამოვიდა და აქცია ჩაიშალა. ამ ათასობით ადამიანს და ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოსო“. მოკლედ, თავისივე ჯაჭვმა მოუჭირა ჯაჭვისავე ინიციატორებს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა თინათინის მეუღლის ნული-რეაქცია, როცა მისი შვილების დედას ვისაც მოეპრიანება, სხეულის კონკრეტულ ადგილს უგინებს.

როგორც იტყვიან ხოლმე, „მაყუთი მოუტეხეს“ თბილისში მყოფმა მამალმა „ნაცებმა“ ოდესაში გაჭედილ მთავარ „ქინძს“ და იმიტომ ავრცელებედნენ მხარდამჭერთა არასებულ სიმრავლეს; ერთგვარად ფული გააოთეთრეს თუ შეუგნებლად თვითონვე გამოისვეს დანა ყელში, თვითონ იციან, ფაქტი ისაა, რომ აქცია გამართეს და იქვე ჩაიფეხვნენ – საჯაროდ უჩვენეს ყველას და ერთმანეთსაც რომ სისხლისმსმელი ბანჯგვლიანი „ნაციონალური“ მონსტრისგან მხოლოდ ერთი ბეწვიღა დარჩა, ისიც, უადგილო ადგილზე...

ეს იყო შემთხვევა, როდესაც წინადადებას ვერ დაიწყებ ფრაზით „ასე იყო თუ ისე“, რადგან ერთმნიშვნელოვნად „ასე“ იყო და იმ შემთხვევაშიც კი, რუსეთმა რომ მოიგუნებოს და აფხაზეთი დაგვიბრუნოს დანარჩენ ტერიტორიებთან ერთად, მაშინაც აქციას გამართავენ, არ გვინდა რუსეთის დაბრუნებული არაფერიო. რატომ? პასუხი ერთია – იმიტომ, რომ საქართველოს მტრები არიან და რისი ასრულებაც მათ უნდათ, იმ გეგმაში არ წერია.

საკანში მყოფ გალეულ ვანო მერაბიშვილს არავინ მიაკითხა კომენტარისთვის, თორემ ვანო, როგორც მავანი ამბობდა, ალალი კაცია და სავარაუდოდ, ალალადვე გაიმეორებდა თავისივე სიტყვებს (მითუმეტეს, რომ აღარავინ ყვირის მის დასახსნელად) რომელიც ზეობის ხანაში მყოფმა განაცხადა საპარლამენტო ტრიბუნიდან: „საქართველოში მოღვაწე კომპანიები, ისეთი, როგორებიც არის „ვითიბი ბანკი“, „რაოესი“ და ა.შ ძალიან აქტიურ ინვესტიციებს ახორციელებენ და ასე ვთქვათ, ფულს სუნი არ უდის. ნებისმიერი ინვესტიცია და კაპიტალი საქართველოში არის მისასალმებელი.“

დიახ, თქვა ალალმა ვანომ ის, რასაც ალალად ფიქრობდა, უბრალოდ, ჯერ არ იცოდა დაზუსტებით, რამდენი რამ და რომელი სტრატეგიული ობიექტები უნდა მიეყიდათ რუსებისთვის, თორემ მათაც ჩამოთვლიდა.

დღეს რომ რუსეთისა, როგორც ოკუპანტისა, ვითომ არაფერი უნდათ „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებს, ლოგიკურია ვინმემ დაუსვას კითხვა პასუხის გაცემის აუცილებლობით: თქვე დედალამაზებო, უამრავ ჩამოთვლილ ობიექტებს რომ ასყიდებდით რუსებს, მაშინ ოკუპანტი არ იყო რუსეთი თუ სულაც, რუსეთი არ იყოო?

ამას დაურთეთ საქართველოს ტერიტორიის 20%, კიდევ ამ ყველაფერთან შედარებით წვრილმანები და ამ ყველაფრის რუსეთზე მიმყიდველი ადამიანთა ერთობა არის რაიმე რუსულის წინააღმდეგი? – ვისაც სურს, დაიჯეროს!

საქართველოს გამყიდველთა ცნობილი გუნდი, რომელსაც პასუხს არავინ თუ ვერავინ თხოვს ჩადენილ დანაშაულებებზე, კიდევ იპოვის რაიმე სამავნებლოსაც და დასაცინი, მაგრამ მაინც ჯაჭვად წოდებული საცოდაობის გაბმის მიზეზსაც, მაგრამ საკითხავი სხვა რამ არის – როდის დადგება ის დღე, რომ სრულიად საქართველომ შემოირტყას ჯაჭვი მოწოდებით „არა – ნაციონალურ მოძრაობას!“ და ერთხელ და სამუდამოდ დაერქვას ყველას და ყველაფერს კუთვნილი სახელი?

გიორგი ჩხეიძე

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“

ზაზა შათირიშვილი: დგება დრო, როცა თავად უნდა გადავწყვიტოთ, რა გვსურს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი **ზაზა შათირიშვილი:**

— ზაზა, ხშირად გაიგონებთ ფრაზას — ის რაც საქართველოში ხდება, ამას გარე ფაქტორები განაპირობებსო. ხელისუფლება ევროკავშირისკენ მიდის, თუმცა როგორც თქვენ ამბობთ, მიგრაციული ტალღები, ტერორიზმი ცხადჰყოფს, რომ დასავლურმა სამყარომ იმუნიტეტი დაკარგა...

— მოდით, პარალელი ამერიკის შეერთებულ შტატებთან გავავლოთ, სადაც ძალიან საინტერესო პროცესები ხდება. ევროპისგან განსხვავებით, ამერიკელი ხალხი გვიჩვენებს, რომ იქ მართლაც დემოკრატიაა. ტრამპისა და სანდერსის ასპარეზზე გამოჩენა სწორედ, მოსახლეობის შეკვეთაა. საქმე ისაა, რომ ორივე მათგანი არასისტემური ფიგურაა, ანუ, არც ერთი და არც მეორე სისტემის ნაწილი არაა. მაგალითად, ტრამპი „სოფლელი“ ამერიკელის, ბიზნესში ჩართული საშუალო ფენის ინტერესებს გამოხატავს, რომელსაც თავს ობამას ღირებულებებს ახვევენ. ტრამპი გამოდის და ამაზე ლაპარაკობს, პოლიტ.კორექტულობას არღვევს, ეს მილიარდერი კაცი მათნაირი ადამიანია და მეტად უფრო ახლოსაა ხალხთან, ვიდრე ბევრი საშუალო ანაზღაურების ბიუროკრატი. ანუ, ტრამპი ხალხს გრძნობს. სანდერსი კი გამოხატავს ამერიკის ინტელექტუალებს, კრეატიულ კლასს, ჰოლივუდს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ორი იდეოლოგიაა. რაც შეეხება, კლინტონებსა და ბუშებს, ისინი სისტემას გამოხატავენ, რაც ბოლო 25 წელია სახეზეა. მნიშვნელობა არ აქვს მოუგებს თუ არა კლინტონი სანდერს, რადგან თავისთავად, მისი ფიგურის გამოჩენა უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე მომენტიცაა — კლინტონი თუ გავა, სანდერსი მას ძალიან ბევრ სისხლს დააკარგვინებს, ანუ იგი, არჩევნებამდე, ძალიან დასუსტებული მივა. ასეთ შემთხვევაში, ტრამპის გამარჯვებაში ეჭვიც არ მეპარება. აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესო რამ იკვეთება — ამერიკაში დემოკრატია მუშაობს, ანუ, მექანიზმი რაც დამფუძნებელმა მამებმა ჩადეს, მუშაობს. იგი მართლა გამოხატავს ხალხის ნებას. შეიძლება ეს უკანასკნელი ცდება, მაგრამ დემოკრატია ხომ ხალხის ნების გამოხატულებაა. ანუ, ამერიკელ ხალხს აქვს რესურსი. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ — ტრამპის ან სანდერსის გამარჯვების შემთხვევაში, დემოკრატიის ე.წ. ექსპორტს ბოლო მოეღება და გამოჩნდება, რომ ამერიკა მართლაც დემოკრატიის ლიდერია. რაც შეეხება ევროპას, იგი როგორც ერთიანი ძალა, ჩემი აზრით, ვეღარ იარსებებს. მისი პრობლემა ის არის, რომ იგი როგორც ერთიანი ძალა, ვერ შედგა. იმიტომ, რომ, თავის დროზე, ევროატლანტიზმის იდეაც, როდესაც ნატო ყალიბდებოდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ფლაგმანი და ლიდერი იქაც ამერიკა იყო. ათწლეულების მანძილზე ევროპა ძალიან გაზარმაცდა. მათ ჩათვალეს, რომ ის რაც აქვთ ერთხელ და სამუდამოდ ეკუთვნით. მაგრამ ასე არ ხდება. თავიდან უნდა დაამტკიცო, რომ ამ ღირებულებების მატარებელი მართლა ხარ. კეთილდღეობა და სტაბილურობა ღირებულებები არაა, ეს გარკვეული ტიპის შედეგი, ეფექტია, რაც არ შეიძლება თვითმიზანი იყოს. ევროპა, ახლა, ამ შედეგს იმკის. ევროპაში მხოლოდ ის ქვეყნები გადარჩება, რომელთაც იდენტობის ინსტიქტი აქვთ. ტრამპი კედლის აშენებას აპირებს. ვინც ამ კედლებს ააშენებს, ისინი გადარჩებიან. ჩემი აზრით, ის ეპოქა, როდესაც დასავლეთს ერთიან ჭრილში განვიხილავდით, მთავრდება. ამერიკა კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ დემოკრატიის სტანდარტი და ლიდერია. იგი, ჩინეთთან, ინდოეთთან, რუსეთთან ერთად არა ჰეგემონი, არამედ ერთ-ერთი გლობალური მოთამაშე გახდება. აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკური ეკონომიკური ღერძი წყნარი ოკეანესაკენ გადაიწევს, თუ უკვე გადაწეული არაა.

— ზაზა, საქართველოს რამდენად მოიაზრებთ გადარჩენის ინსტინქტის მქონე ქვეყნებში?

— საქართველომ გადარჩენის ინსტიქტის უნარი მაშინ დაამტკიცა, როდესაც სააკაშვილს უარი უთხრა. მიგრაცია ჩვენი გამოწვევა არაა. ჩვენი გამოწვევა იყო — ევროატლანტიზმი თუ ევრაზიული კავშირი. დღევანდელი გლობალური ვითარება, ამ არჩევანს, საბოლოოდ გააქარწყლებს. ჩვენ დამოუკიდებლები უნდა ვიყოთ. ამას უნდა მივეჩვიოთ. ჯერ ვიძახდით კომუნიზმი გადაგვარჩენსო, მერე ვამბობდით ნატოში შევალთ და გადავრჩებიო. არა, ასე არაა. ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი და, რა თქმა უნდა, მომავალი, საკუთარ ხალხს, ჩვენვე უნდა მივცეთ. აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს, მაგრამ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელნი უნდა ვიყოთ და ჩვენი პოლიტიკა თავად ვაწარმოოთ. აი, ესაა მთავარი. საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს. დღეს, საერთაშორისო ვითარება ისეთია, რომ ვფიქრობ, ჩვენ უფრო და უფრო მეტად დამოუკიდებლები ვიქნებით.

— დამოუკიდებელი ქვეყანა უნდა გავხდეთო, ამბობთ. მაგრამ ჩვენ ალბათ, საპასუხოდ გვეტყვიან — მილიარდები რომ გაჭამეთ, ახლა აღარ გინდივართო?

— ტრამპის ან სანდერსის მოსვლის შემთხვევაში, გრანტები, „ენ-ჯე-ოები“და ა.შ. დამთავრდება. ანუ დემოკრატიის „ექსპორტის“ იდეა დამთავრდება. აქედან გამომდინარე, დგება დრო, როცა თავად უნდა გადავწყვიტოთ რა გვსურს. აქედან გამომდინარე, ჩვენი გამოწვევა შემდეგია — შეგვიძლია თუ არა უჩა ნანუაშვილებისა და სხვათა გარეშე მივიღოთ გადაწყვეტილება. როდესაც სოლჟენიცინსა და სახაროვს იჭერდნენ, ისინი ადამიანის უფლებათა დამცველები იყვნენ, ჩვენი „ენ-ჯე-ოები“ კი ამაში ფულს იღებენ და თან თითს გვიქნევენ. ამიტომ, ხალხს ამ უფლებადამცველების რწმენა საერთოდ არ აქვს. იმიტომ, რომ მთავარია, ეს ყველაფერი, უანგაროდ კეთდებოდეს. თუ ამაში ფულს იღებ, გაწყობს კიდეც ეს სიტუაცია, რათა ფული აიღო და ბუზის ადგილას სპილო დაინახო, რბილად რომ ვთქვა, ასეთი ადამიანის მიმართ, როგორც მოქალაქეს, პატივისცემა ვერ მექნება. ქართველი ხალხი მათ ასე მოიაზრებს — ყიჟინას ტეხენ და ფულს იღებენ. გააკეთონ ეს ფულის გარეშე ისე როგორც სოლჟენიცინი და სახაროვი იქცეოდნენ — პირიქით, საფრთხეში იგდებდნენ თავს და მაშინ მათ ჩვენც დავუჯერებთ. აქედან გამომდინარე, მათი არ გვწამს და აბსოლუტურად გასაგებია, რატომაც. ეს ძალიან მალე დამთავრდება. ვიმეორებ, დემოკრატიის ექსპორტი შეუძლებელია. ჩვენი დემოკრატია თვითონვე უნდა დავბადოთ. დგება დრო როცა თავად უნდა გადავწყვიტოთ დღეს ვინ არის მტერი და ვინ მოყვარე, ხვალ ვინ იქნება და ა.შ. ასე, რომ რთულია, მაგრამ ესაა ცხოვრება. ის რომ სადღაც შეხვიდე და სამუდამოდ ჩამოეკიდო, ასე არ მოხდება და ვხედავთ, რომ ვერც ხდება.

— თანაც უკვე ღიად გვითხრეს, რომ ევროკავშირის კარის გაღებას 15-20 წელი მაინც უნდა ველოდოთ.

— ეჭვი მეპარება, 15-20 წლის მერე, ევროკავშირმა ამ ფორმით იარსებოს. როგორც ის არ მოგვწონს, რომ ვიღაცამ ჩვენი სუვერენიტეტი რუსეთს გადააბარა, ასევე არ უნდა მოგვწონდეს სუვერენიტეტი სხვას ჩავაბაროთ, რათა დაგვიცვას. ესეც ხომ იგივეა, არაფერი განსხვავება არაა. ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობას ვიღაცას აბარებ, უპასუხისმგებლო ცხოვრება გინდა, სხვისი კეთილდღეობის ხარჯზე. ის რომ თავის დროზე ევროკავშირი შედგა, ევროპელმა ხალხებმა ეს თავიანთი შრომით, გამოცდილებით, ტანჯული გზით მოიპოვეს. მეორე მომენტია, რა დაემართა ბოლო ორ თაობას. მათ, ეს გამოცდილება, თავიდან უნდა დაამტკიცონ. სამწუხაროდ, ბოლო ორ თაობაში, ასეთი შედეგები განვითარდა. მაგრამ, აქამდე, გარკვეული გზით მივიდნენ. ჩვენ, ეს ყველაფერი, მზამზარეული გვინდა, ასე აღარ გამოვა. ვიმეორებ, ევროპაში ყველა ქვეყანა საკუთარ თავს თვითონ იცავს. მომავალში, ეს პროცესები, არ შესუსტდება, კიდევ უფრო გაძლიერდება. აქედან გამომდინარე, აქედანვე, ახლავე უნდა ვიყოთ მზად დამოუკიდებელი პოლიტიკის გასატარებლად.

— ჰოლდერლინი ამბობს: სადაც განსაცდელია, იქაა ხსნაო. ჩვენ რა დაგვემართა, ეს რისკი და განსაცდელი ვერ გავიარეთ?

— შენ, ღირებულებების თვალსაზრისით ამბობ ხომ. ჩვენ პოლიტიკაზე ვსაუბრობდით. სულიერი პრობლემების შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ არა სახელმწიფოზე, არამედ კულტურაზე. იმიტომ, რომ სახელმწიფო დრო და დრო შეიძლება გქონდეს ან არ გქონდეს, ქართული კულტურა კი ბევრად უფრო ხანგრძლივია. ანუ, სახელმწიფოებრივი ფუნქცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ერი შეიძლება არსებობდეს როგორც კულტურა. მაგალითად, როგორც ებრაელი ერი. მან საუკუნეების მანძილზე ის თვისებები გამოიმუშავა, რაც კულტურული თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია. რა ჯობია — სახელმწიფოში ყოფნა? დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ სწორედ ისინი ვისაც ჰგონია რომ ამაზე ლაპარაკობენ, სინამდვილეში, დამოუკიდებლობაზე კი არა, არამედ

პასუხისმგებლობის გადაბარებაზე ლაპარაკობენ. ევროპა, ნატოც მათთვის არის როგორც კომუნიზმი. ნატოში შესვლა თვითმიზნად აქციეს. ჩემთვის დამოუკიდებლობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, როცა ეს დრო მოსულია. საღი აზრი უნდა გქონდეს. მგონია, რომ ქართველების ძირითად ნაწილს, საღი აზრი გვაქვს. გარკვეული ნაწილი კი მოსწყდა თავის ხალხს, მას ზემოდან უყურებს, დასცინის და თავად თავს კარგად გრძნობს. სწორედ ამიტომ დამთავრდა მიშას ძალაუფლება ისე, როგორც დამთავრდა. ე. წ. ლიბერალები სხვა მიშები არიან, ოღონდ, უცოცხო მიშები. ეს განსხვავებაა, სხვა არაფერი. მაგრამ ზემოდან ყურებაც ისე მთავრდება, როგორც მთავრდება. მათ წინაშეც დიდი კითხვის ნიშანია – გადარჩება თუ არა

ევროპა. სამი წლის წინ ამაზე ვერ იფიქრებდნენ იმიტომ, რომ არ აზროვნებდნენ. ახლაც არ აზროვნებენ. იარლიყების მიწებება აზროვნება არაა, აი, მთელი პრობლემა. ამიტომაც ვერ ხედავენ წინასწარ მოვლენებს.

– ზაზა, კემერონი უკვე ცივილიზაციათა ომზე ალაპარაკდა, ოლანდმა „ისლამურ სახელმწიფოს“ ომი გამოუცხადა, მერკელმა ჯერ კიდევ სამი წლის წინ თქვა, რომ მულტიკულტურალიზმმა ევროპაში კრახი განიცადა, თუმცა, ამ განცხადებას მაშინ ყურადღება არავინ მიაქცია.

– საერთოდ, მიმაჩნია, რომ ისლამის პრობლემა აბსოლუტურად გადაჭარბებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ისლამი – მკვდარი ძალით გააცოცხლეს. აქ ისლამი არაფერ შუაშია. საქმე ერთ მარტივ რამეშია – ხდება ანთროპონაკადების ეკონომიკასა და ტექნოლოგიაზე გამარჯვება, ანუ, შემადგენლობა, ბიომასა იცვლება. საბოლოო ჯამში, იმარჯვებს სულისკვეთება, ნება და არა ტექნოლოგიები. ახლა, ამის წინაშე ვართ. ვისაც გადარჩენის ნება ექნება – გადარჩება, ვისაც არა – დაიღუპება. ეს გამოწვევა ევროპის წინაშეა.

– ჩვენ კი კურსს მაინც არ ვუხვევთ და ამ „მთლიანობისკენ“ შეუპოვრად მივემართებით.

– მესმის, მაგრამ თუ ევროატლანტიზმი თავის საზრისს და ვექტორს კარგავს, ესეც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. ჯერ ერთი, უკრაინას ეუბნებიან 20-25 წლის მერე მიგიღებთო. უკრაინა და ჩვენ ხომ ერთ პაკეტში ვართ. ანუ, გამოდის საკუთარ ხალხს ატყუებ, როცა ეუბნები ხვალ ევროკავშირში შეხვალო, მაგრამ ხალხი არ ტყუვდება. ცნობილი გამოთქმაა: ხალხი შეიძლება დიდხანს მოატყუო, მაგრამ შეუძლებელია მუდამ და ყოველთვის.

– როგორ ფიქრობთ, რატომ ამოწურა თავი დასავლეთმა და რამ შეიძლება გადაარჩინოს დასავლური ცივილიზაცია?

– შეიძლება გადარჩეს ამერიკის სახით. არ ვიცი როგორი იქნება ამერიკა ათწლეულების მერე, მაგრამ იგი ჰეგემონი კი არა, როგორც ამ 25 წლის მანძილზე იყო, არამედ გლობალური მოთამაშე იქნება, ევროპა – არა. ევროპა როგორც მთლიანობა უკვე, დღეს, აღარ არსებობს. ამის გაფორმება რაღაც დროის ამბავია. ეს ყველაფერი კარგად უნდა გავიაზროთ – პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ხელისუფლებაშია ჩართული, ეს ყველაფერი უნდა დაალაგოს. ხმაც ისეთ ადამიანს უნდა მისცე, რომელიც გგონია რომ შენს შეკვეთას შეასრულებს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ჩვენ დრო გვაქვს. მე ასე ვხედავ –საქართველოსთვის მომდევნო 20-30 წელი მშვიდობის პერიოდი იქნება. ჩვენს თავს უნდა მივხედოთ. პირველ რიგში, სრულიად ახალ სამყაროში რომელიც წინ გველოდება, განათლების სწორი რეფორმა უნდა დავიწყოთ. განათლების რეფორმაზეა დამოკიდებული ეკონომიკური მდგრადობა. პოლიტიკური თვალსაზრისით, ახლა, მთავარი მოთამაშეები თავს დაგვანებებენ იმიტომ, რომ მათ თავიანთ თავს უნდა მიხედონ, ანუ ამერიკა – ამერიკისთვის, რუსეთი – რუსეთისთვის, ევროპა – ევროპისთვის. აქედან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების დრო გვეძლევა. მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა ვიყოთ იმაზე, რომ მნიშვნელოვან წინააღმდეგობებში, ინტერესთა დაპირისპირების წერტილებში არ შევიდეთ და ეს დიდი პერიოდი განათლებას მოვახმაროთ. ბევრი რამ წარსულის გადმონაშთია არამარტო საბჭოთა, არამედ ლიბერალურისაც. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ ისეთ რამეზე, რაც მარადიული, მუდამ მნიშვნელოვანია. განათლება თავის ღირებულებებზე უნდა აშენდეს. იგი საშუალებაა და არა თვითმიზანი.

– ზაზა, თქვენ ერთ-ერთ ტელე-არხზე გამოსვლისას თქვით, რომ ახალი ცივილიზაციის ფოკუსი აფრიკა იქნება. საიდან ხედავთ ამ პოტენციალს და ჩვენ რა სივრცის ნაწილი ვართ?

– მოდი, ასე ვთქვათ, ქრისტიანობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ქართული კულტურა შეუძლებელია ევროპული იყოს, იმიტომ, რომ ევროპული კულტურა რომის ეკლესიამ მე-9-10 საუკუნეებში ბარბაროსებისგან შექმნა. ჩვენ ამ დროს უკვე ვარსებობდით. ქრისტიანობა რომ შემოვიდა, ცივილიზაცია კი არა, სახარება შემოიტანა, ცივილიზაცია აქ უკვე იყო. დასავლეთის ცივილიზაციას დარჩა 60-70 წელი. 21-ე საუკუნის 90-იან წლებში ეს ცივილიზაცია საბოლოოდ დამთავრდება. დღეს ასეთი სიტუაციაა – აფრიკაში ქრისტიანობა მართლაც ძალიან წინ მიდის. შარშან გამოქვეყნდა წიგნი – „აფრიკა – ქრისტიანობის ახალი სამშობლო“. თუ 1900 წელს აფრიკაში 3 მილიონი კათოლიკე იყო, ახლა 300 მილიონია. უკვე ჩანს, სად გადადის ისტორია. ეს ლოგიკური შედეგია. დასავლეთმა თავისი ფუნქცია ამოწურა. ევროპის რეგრესის ფონზე, ძალიან ბევრი ვარაუდობს, რომ აფრიკა იმედის კონტინენტია – ასე უწოდა მას რომის პაპმა ბენედიქტ მეთექვსმეტემ. აფრიკა ახალი ქრისტიანული ცივილიზაციის ლიდერი იქნება.

– ზაზა, როგორც ამბობთ, ევროკავშირის არსებობის ფუნქციას ვერ ხედავთ. რა ხდება ნატოსთან დაკავშირებით? აპატურაიმ უკვე ღიად გვითხრა, რომ ჩვენს გამო რუსეთს ვერ გადაიკიდებს.

– მოდი ასე ვთქვათ, იმ ახალ სამყაროში, რომლის კონტურებიც ახლა ყალიბდება, რა თქმა უნდა, ნატოს ადგილი არაა. ამერიკა დოზირებული მიგრაციის მომხრეა, ამბობს, უნდა გავაკონტროლოო, ამაში კრიმინალური არაფერია. ეს გლობალისტებისთვის ტრაგედიაა იმიტომ, რომ მათ უნდათ ამერიკაც სინგაპურად აქციონ. ასე არ გამოვა. ამერიკელი ხალხი სინგაპური არაა,



რაც შეუძლებელია. ეს ფოლკნერის, ჯეფერსონის ქვეყანაა. დღეს, აშშ-ს პრეზიდენტი რეიგანი რომ იყოს, სწორედ, ტრამპის ენაზე ილაპარაკებდა. თუ ვინმე ამას ვერ ხედავს, ეს მისი პირადი ტრაგედიაა. ადამიანი რომელიც ვერ ხედავს რომ რეიგანი დღეს ტრამპია, ე.ი. იგი, სინამდვილეში, გლობალისტი, კლინტონისტია და არა რესპუბლიკელი. ერთ ადამიანს ძალიან ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია. ეს ამერიკული ფილმის კლიშეა, მაგრამ როგორც ვხედავთ მართლაც ასეა. ოღონდ მაშინ, როდესაც იგი სწორედ იმას ამბობს, რასაც ხალხი ფიქრობს. არ ვამბობ, რომ ხალხი მართალია. შეიძლება, ხალხი ცდება, მაგრამ ეს ამერიკელი ხალხის არჩევანია. ამით, შემდეგის თქმა მინდა – ამერიკელმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დემოკრატია არსებობს. შეიძლება ამან დროებით მიიძინოს, მაგრამ როცა ხალხს ნების გამოხატვა უნდა, იგი ამას გამოხატავს. ნატო და დანარჩენი მეორეხარისხოვანია, მთავარი, იქ, ხალხის ნებაა.

– რაც შეეხება რუსეთს, ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ნატოში გასაწევრიანებლად რუსეთის ნებართვა და თანხმობა არ გვჭირდებაო. ამის ნაცვლად, ხომ არ სჯობდა რუსეთთან ამ თემაზე დისკუსია დაგვეწყო?

– პირველი ეროვნული მოძრაობა სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლისკენ და იმისკენ იყო მიმართული, რომ ყველა ქვეყანას თავისი ბედი უნდა გადაეწყვიტა. ამ პერიოდში, პირველი რამდენიმე წელი, როცა რუსეთი სუსტი იყო, ეს საკითხი სულ იდგა. მერე, საბაკაშვილის პერიოდში, ყველაფერი უკუღმა მოხდა, 1998 წლის სტამბოლის სამიტის მთელი მონაპოვარი, წყალში ჩაიყარა, თორემ, რუსები, ფაქტობრივად, აქედან გასულები იყვნენ და, უცებ, ვიღაცამ რუსეთი თავისი ხელით შემოიყვანა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ასე მოხდა. მაგრამ ღვთის წყალობით, არჩევანმა – რუსეთი თუ დასავლეთი, დღეს აზრი დაკარგა და ჩვენ დამოუკიდებლობა შეგვიძლია. მგონი, ყველაზე მეტად ეს უნდა გვიხაროდეს. ეს მნიშვნელოვანია. რუსეთს, ჩვენს წინააღმდეგ, მთავარი არგუმენტები დაკარგული აქვს. რაც უნდოდა აქვს, მეტი ჩასაყლაპი ბარტყი აღარაა. ერთადერთი რაც შეიძლება მოხდეს, კეთილმეზობლური ურთიერთობაა. აქედან გამომდინარე, საკუთარი განვითარების რეალური შესაძლებლობა გვაქვს. პატრიოტიზმის გარეშე არაფერი გამოვა. „რუსთავი-2“ მთელი სამი წელი „ჯეო-ბარს“ გადასცემდა და 8 აგვისტოს მოვლენების მერე – „ბაში-აჩუკს“. ასე, არ შეიძლება. რატომ არიან პოლონელები მაგრები? – იმიტომ, რომ რუსეთს მართლა უპირისპირდებიან. თუ რუსეთთან დაპირისპირება გინდა, ამას პატრიოტიზმის გარეშე ვერ გააკეთებ. ესაა პრობლემა. ამიტომ, აქვს განათლებას და ღირებულებებს დიდი მნიშვნელობა, ვიმეორებ, უნდა იცოდე ვინ მტერია და ვინ მოყვარე. პოლონეთი რატომ უპირისპირდება რუსეთს? – იმიტომ, რომ ნაციონალისტები არიან. შენ, როგორ გინდა გლობალიზმით რუსეთს დაუპირისპირდე? – ასე, ვერ მოხერხდება, მას ნაციონალიზმით უნდა დაუპირისპირდე. მე, თუ რამე არ ვარ, ეს ზვიადისტობაა, მაგრამ ამ მხრივ, ზვიად გამსახურდია, ათასჯერ მართალი იყო. ოტია იოსელიანის ფრაზა მახსენდება: მე ზვიადისტი ზვიადის დაბადებამდე ვიყავიო. შეიძლება „ვარდების რევოლუცია“ მოახდინო, მაგრამ რაღაც მომენტში ხალხი დაინახავს, რომ შენ სამშობლო არ გიყვარს, შენთვის ეს ღირებული არაა, „ვეფხისტყაოსანი“ არ გესმის, სწორად ვერ ციტირებ, პრეზიდენტს ვგულისხმობ. ამის გაკეთება რომ შეძლო, რაზეც ახლა ვისაუბრე, მაშინ ქართული ჯიგარი უნდა გქონდეს. მაგრამ, ქართული ჯიგარი არ უნდოდათ, რადგან ეს ქსენოფობიად მიაჩნიათ. აი, ესაა პრობლემა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ალექსი პეტრიაშვილი და რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ფაქტსა და ლევან მიქელაძის გარდაცვალებას შორის?!

26 თებერვალს საბურთალოს სასაფლაოზე „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს ალექსი პეტრიაშვილს სამი ტყვია ესროლეს „წელს ქვემოთ,“ მანამდე კი ფიზიკურად გაუსწორდნენ. რატომ მაინცდამაინც წელს ქვემოთ და არა წელს ზემოთ რატომ სასაფლაოზე და რატომ ლევან მიქელაძის დაბადების დღეზე?

ლევან მიქელაძე 2009 წლის 26 აპრილს გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი მეგობრები და ოჯახის წევრები კი დარწმუნებულები იყვნენ, რომ გარდაცვალება ხელოვნურად იყო გამოწვეული. ოჯახს სურდა, ცხედრიდან აღებული საექსპერტო ნიმუშებისთვის ექსპერტიზა აშშ- ში ჩაეტარებინა. რისი საშუალებაც მას არ მისცეს. ოჯახი უკმაყოფილო იყო არაკვალიფიციური გამოძიებით. ბევრი კითხვებიც არსებობდა, ლოგიკური ფაქტებიც, თუმცა არ არსებობდა პოლიტიკური ნება, მკვლელობა გახსნილიყო. ისტორიაში არსებობს უამრავი ფაქტი, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს სპეცსამსახურების მიერ აპრობირებული ნივთიერებებით გამოწვეული გულის იშემიური ინფარქტი (თუმცა იმ დროს ინსულტი უფრო გავრცელებული იყო, შემდგომ დახვეწეს.) ადამიანები, რომლებსაც გული არ აწუხებდათ და საშიშნი ხდებოდნენ პოლიტიკურად, გულის შეტევით გარდაიცვალნენ. მათ შორის, ბადრი პატარკაციშვილიც. ლევან მიქელაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ უამრავი კითხვა გააჩინა: რა გახდა 52 წლის ჯანმრთელი კაცის გარდაცვალების მიზეზი? რატომ არ მისცეს ოჯახს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პასუხი შინაგანი ორგანოების მოწამვლაზე? ვის დასჭირდა ყაჩაღობის ინსცენირება გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მის საცხოვრებელ სახლში, რა დატოვა თუ წაიღო “ყაჩაღმა?“ (ყაჩაღობის ფაქტზე წინასწარი გამოძიება ჩატარდა არასრულად და მტკიცებულებების გაყალბებით)

და ბოლოს , ვინ ისარგებლა მისი განეიტრალებით? არადა, მიქელაძის მეუღლის განმარტებით, მიქელაძემ სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა შვეიცარიასა და აშშ-ში და სრულიად ჯანმრთელი იყო. რამდენადაც მახსოვს , ბადრი პატარკაციშვილსაც ჩატარებული ჰქონდა სამედიცინო გამოკვლევა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ლევან მიქელაძე იყო პირველი დიპლომატი, რომელმაც ყოფილი ხელისუფლების ქმედებები გააპროტესტა და 7 ნოემბრის შემდეგ შვეიცარიაში საქართველოს ელჩობაზე უარი თქვა. ის იყო „ალიანსი საქართველოსთვის“ დამფუძნებელი, რომელმაც ყოფილი დიპლომატები „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ გააერთიანა და ლიდერად ირაკლი ალასანია შეარჩია. ვფიქრობ, საბედისწერო შეცდომაც დაუშვა. საინტერესოა, ვისი რჩევით მიიღო ეს გადაწყვეტილება? ლევან მიქელაძეს საოცრად თბილად, საუკეთესო ადამიანური და პროფესიონალური თვისებების მქონედ იხსენებენ მეგობრები და კოლეგები. სავარაუდოდ, ლევან მიქელაძემ დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხა თვალი გადაევლო ელექტრონული მედიისთვის. აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკურ ფორუმზე საკმაოდ უარყოფითად მოიხსენიებდნენ მის ფავორიტს. გაერო-ში ყოფილი ელჩის, ირაკლი ალასანიას საქართველოში დაბრუნებას პოზიციაც და ოპოზიციაც დიდი ინტერესით ელოდებოდა. პოლიტოლოგების ნაწილი ვარაუდობდნენ, რომ ალასანიას პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა პოლიტიკურ ამინდს სერიოზულად შეცვლიდა. ანალიტიკოსთა და საზოგადოების ნაწილი ყოფილ ელჩს ოპოზიციის ლიდერად მიიჩნევდნენ, ნაწილი კი დარწმუნებული იყო, რომ ალასანია ოპოზიციონერობას არ აპირებდა და ის მხოლოდ სააკაშვილის პროექტი იყო.

ლევან მიქელაძე

ლევან მიქელაძის დიპლომატიური მუშაობის საუკეთესო წლებად 1996-2002 წლები სახელდება, როცა იგი ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობს და ეუთოსა და ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია. ეს გახლავთ ის პერიოდი, როცა, ეუთო-ს ეგიდით, იწყება მძიმე და ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი სამხედრო ბაზებისა და ჯარების გაყვანის თაობაზე. ვარდების რევოლუციას აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში შეხვდა ვარდების რევოლუციას. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ლევან მიქელაძე მომხრე იყო საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების, თუმცა მიუღებელი იყო რევოლუციის გზით ცვლილება. ახალმა ხელისუფლებამაც შესანიშნავად იცოდა მისი განწყობა, ამიტომაც მათ შორის ღია მტრობა არ ყოფილა. ცდილობდნენ, არ გაეღიზიანებინათ და ნეიტრალური რეჟიმი შეენარჩუნებინათ. მიხეილ სააკაშვილიც პატივს სცემდა და ერთგვარი რიდიც ჰქონდა, ამის მიზეზი კი მიქელაძის წარსულთან ერთად, ისიც გახლდათ, რომ სააკაშვილის ბებია და მიქელაძის დედა ბავშვობის მეგობრები ყოფილან. სხვათა შორის, ალექსი პეტრიაშვილი, რომელიც იმ პერიოდში აშშ-ის საელჩოში მუშაობდა, იხსენებს, რომ სწორედ 2003 წელს აშშ-ში შედგა სააკაშვილის ყველაზე წარმატებული გრანდიოზული ვიზიტი. საქართველოს საელჩომ ორგანიზება გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტსა და 5 მინისტრის 50-ზე მეტ შეხვედრას და სწორედ მას შემდეგ ავიდა სრულიად ახალ რანგში აშშ-საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა. იმ პერიოდის ქართული დიპლომატიის ყველაზე დიდი წარმატება კი „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამაში“ (მილენიუმი) იმ საქართველოს ჩართვა გახლდათ, რომელიც არც ერთ პარამეტრს არ აკმაყოფილებდა. საქართველოს ყველა დონის ხელისუფლებისა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს ერთობლივი მუშაობით ეს მაინც მოხერხდა და ამ პროცესის ეპიცენტრი კვლავ ლევან მიქელაძე იყო. ლევან მიქელაძე რევოლუციური სამეულიდან განსაკუთრებით ზურაბ ჟვანიასთან მეგობრობდა, რომელმაც, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ იცოდა მისი ფასი. ყველაფერი კი სწორედ მაშინ შეიცვალა როცა პრემიერ–მინისტრი ტრაგიკულად დაიღუპა. გაჩნდა პრობლემები ურთიერთობაში, რატომღაც გაჩნდა ბრალდება, რომ ლევან მიქელაძე აშშ-ს ინტერესებს ატარებდა და არა საქართველოსი. ამის მიღმა კი მხოლოდ ერთი ქვეტექსტი იკითხება – ვარდების ხელისუფლებას ლევან მიქელაძის ფაქტორი დიდ პრობლემებს უქმნიდა. ის ვერასდროს იქნებოდა ისეთი ჩინოვნიკი, რომელიც მათ აწყობდა. ლევანს რომ ისევე ვერ მოექცეოდნენ, რისთვისაც მათთვის მიუღებელი ბევრი სხვა ჩინოვნიკი გაიმეტეს, მიღებული გადაწყვეტილებიდანაც დასტურდება – 2006 წელს მიქელაძე შვეიცარიაში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად გადაჰყათ და, ფაქტობრივად, პენსიაზე უშვებენ. ხელისფლებამ ამით მის მიმართ საკუთარი პოზიცია გამოხატა – იცხოვრე მშვიდად, არ შეგეხებით. თუმცა 2007 წლის 7 ნოემბერს მიქელაძე პროტესტის ნიშნად თანამდებობას ტოვებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ხელისუფლებას არც ერთი განცხადება არ გაუკეთებია. მათ შორის „ცივი ომი“ დაიწყო. მიქელაძემ პოლიტიკაში მოსვლა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა. პრინციპული იყო და ახლობლებმა იცოდნენ, რომ კამათს აზრიც არ ჰქონდა, პოზიციას ვერავინ შეაცვლევინებდა. რა თქმა უნდა, მისთვის ბევრად კომფორტული იქნებოდა, საჯარო პოლიტიკაში არ ჩარეულიყო და ისე მოეხდინა გავლენა პროცესებზე, მაგრამ გადაწყვიტა, ირაკლი ალასანიას გვერდით ღიად დამდგარიყო. იგი ამბობდა, რომ თუ პროცესში უშუალოდ არ ხარ ჩართული, ვერასდროს შეძლებ მაქსიმალური შედეგი მიიღო, მაქსიმალურ ინფორმაციას ფლობდეო. 2009 წლის 26 აპრილს, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ოპოზიციის მიერ 9 აპრილს აგორებული საპროტესტო ტალღა ჯერ კიდევ ძლიერდებოდა და 26 მაისის პიკისთვის ემზადებოდა, რომელიც მაქსიმუმ, პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომით, მინიმუმ, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით უნდა დასრულებულიყო. თუმცა “დინამოს“ სტადიონიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ განვლილი გზა საბედისწერო აღმოჩნდა და უკვე ნათელი გახდა, რომ ბრძოლა კრახისთვის იყო განწირული. ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება, ვერ შეარჩია ლიდერი, რომელსაც ამ ბრძოლის სარდლობას ანდობდა. აპრილის აქციებს, ყველასთვის მოულოდნელად შეუერთდა სამი პარ-

ტიის გაერთიაინება „ალიანსი საქართველოსთვის“, „ახალი მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ „დიპლომატების პარტიასთან“ გაერთიანებამ და ლიდერად ირაკლი ალასანიას აღიარებამ, საზოგადოებას ახალი კითხვები გაუჩინა.

გამოიკვეთა ალტერნატიული ძალა, რომლის წინააღმდეგაც უკვე აპრობირებული მეთოდებით ბრძოლა აღარ გამოდიოდა. მათი მენტალიტეტი და პოზიცია არც იმის საფუძველს იძლეოდა, რომ საზოგადოება „რუსეთთან შეკრული მოღალატეებითა“ თუ „სისხლიანი სამხედრო გადატრიალების მომწყობი პუტჩისტებით“ დაეშინებინათ.

გარდა ამისა, ალიანსს ჰქონდა ის, რაც ყველაზე მეტად აკლდა ოპოზიციას 2007 წლის ნოემბრის ბრძოლაში - კავშირები საერთაშორისო ინსტიტუტებთან, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობა გავლენიან ფინანსურ თუ პოლიტიკურ წრეებთან, რომელთა დახმარებითაც, ბრძოლის გონივრულად წარმართვის შემთხვევაში, აღიარება და წარმატება შესაძლებელი იყო.

ამგვარ სიტუაციაში ყოველთვის იკვეთება ფიგურა, რომელიც, ნებით თუ უნებლიედ, თავისი პიროვნული თვისებებით, წარსული გამოცდილებითა და გავლენით, ერთგვარი გამაერთიანებლის როლს ასრულებს. კანონზომიერება არც ამჯერად დარღვეულა - სწორედ ლევან მიქელაძე გახლდათ ის ადამიანი, რომელიც ერთნაირად მისაღები იყო ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფისთვის. რადიკალებიც და ზომიერებიც მის რჩევებს ანგარიშს უწევდნენ, მის გადაწყვეტილებას ენდობოდნენ და მის სიტყვას პატივს სცემდნენ.

მისი წონა და ფასი კი ოპოზიციაზე უკეთ ხელისუფლებამ იცოდა. ლევან მიქელაძე არ იყო ის დიპლომატი, რომელიც მხოლოდ საკუთარ იმიჯზე ზრუნავდა, იგი წინააღმდეგი გახლდათ პროტესტის ნიშნად გადამდგარიყვნენ მისი თანამოაზრეებიც. რადგან ქვეყნის იმიჯზე ფიქრობდა. ირაკლი ალასანიას, კატეგორიულად მოსთხოვა გაეროში მხოლოდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის გატანის შემდგომ დაეტოვებინა თანამდებობა. რადგან 7 ნოემბრითა და „იმედის“ დახურვით დაზარალებული ქვეყნის იმიჯს კიდევ უფრო დიდ დარტყმას მიაყენებდა და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი სრულიად განადგურდებოდა. რა თქმა უნდა, დაუჯერეს. მეტიც, მიქელაძე 7 ნოემბერსვე ესაუბრა საგარეო საქმეთა მაშინდელ მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, რომელსაც დაჰპირდა, რომ მისი გადადგომა არ გასკანდალდებოდა და არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა არავის უფლებას, ეს ფაქტი პოლიტიკური სპეკულაციის საგნად გამოეყენებინათ.

თუმცა, მისგან დამოუკიდებლად, მაინც გასკანდალდა, რადგან ლევან მიქელაძის დიპლომატიური სამსახურიდან პროტესტის ნიშნად წასვლა საერთაშორისო საზოგადოებისთვის იყო პირველი, ყველაზე ძლიერი სიგნალი იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. არ ვიცი, ვინ როგორ აფასებს ამ ნაბიჯს, მაგრამ ფაქტია - ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული დიპლომატიის ისტორიაში როცა ჩინოვნიკმა საკუთარი ღირსების დაცვის ფასად ქვეყნის ღირსებაც გადაარჩინა და მომავლის იმედიც, რომელიც ზნეობრივმა პროფესიონალებმა უნდა შექმნან.

თუმცა არაადექვატური იყო საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართული საზოგადოების რეაქცია 7 ნოემბრის მოვლენებზე, რაზეც თავად მიქელაძე, მოგვიანებით, ასეთ კომენტარს გააკეთებს: „დასავლეთიც არაადექვატური 2007 წლის 7 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, თბილისში დატრიალებული სისხლიანი დარბევის გამო, ვარდების ხელისუფლებას „სადამსჯელო პიარაქცია“ არ განუხორციელებია ურჩი დიპლომატის დისკრედიტაციის მიზნით. არც მაშინ ჰქონია მწვავე რეაქცია, როცა ლევან მიქელაძემ, სრულიად მოულოდნელად, პოლიტიკაში მოსვლის სურვილი საჯაროდ გამოაცხადა. მეტიც, საკუთარი თანამოაზრე დიპლომატები ირაკლი ალასანიას ლიდერობით გააერთიანა და პარტიის დამფუძნებლად დაფიქსირდა.

„ცივი ომის“ რეჟიმი სააკაშვილის ხელისუფლებას, ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად აწყობდა, რადგან, „შავი პიარის“ შემთხვევაში, მისთვის ყველაზე უფრო საშიში და ანგარიშგასაწევი საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მიქელაძეს ქართულ საზოგადოებაზე უკეთ იცნობდა, მას არ დაუჯერებდა და ანგარიშსწორებასა თუ განეიტრალების მცდელობას დიდი სკანდალი მოჰყვებოდა. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მიქელაძეს ეს ყველაფერი-„აპატიეს“. 26 აპრილს, ლევან მიქელაძის გულის ინფარქტით გარდაცვალების ამბავი პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე მეხივით ისევე გავარდა, როგორც 2007 წლის 8 ნოემბერს, შვეიცარიაში საქართველოს ელჩის გადადგომა. თუმცა, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, პროტესტი ბევრად ადრე გაუჩნდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება 7 ნოემბრის სისხლიანმა დარბევამ მიაღებინა. 7 ნოემბერსვე ლევან მიქელაძემ დიპლომატიურ კორპუსს საგანგებო წერილით მიმართა:

„წერილი, რომელსაც გიგზავნით, ჭმუნვითა და ტკივილითაა სავსე. გწერთ, რათა შეგატყობინოთ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც იძულებული ვარ მივიღო იმ საგანგაშო მოვლენებისა და ძალადობის კვალობაზე, რომელიც 7 ნოემბერს თბილისში მოხდა. გადაწყვეტილება - ძალის გამოყენებით ჩაეხშოთ მშვიდობიანი დემონსტრანტები - უზარმაზარი იმედგაცრუება იყო ჩემთვის მას შემდეგ, რაც საქართველომ მთავარ მიზნად დემოკრატიისა და თავისუფალი ქვეყნის მშენებლობა აირჩია. ამ მიზეზის გამო მე აღარ შემიძლია კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი, როგორც შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და ჟენევაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მეთაურის მოვალეობა საქართველოს ახლანდელი მთავრობისთვის.

“7 ნოემბერს მინისტრ გელა ბეჟუაშვილს გადავეცი ჩემი გადადგომის განცხადება პრეზიდენტისა და პარლამენტის სახელზე. ამ განცხადებით სრულდება ჩემი დიპლომატიური სამსახურის 11 წელი, რომელიც ვენაში დაიწყო და გაგრძელდა ვაშინგტონსა და

ჟენევაში. ამ დროის განმავლობაში ვცდილობდი, ჩემი უფლება-მოვალეობა სიყვარულითა და ენთუზიაზმით შემესრულებინა. გადაწყვეტილება ჩემი სამსახურისა და ჩემი ფასეულობების შესაბამისია. ძალიან რთული დრო ქართველებთან ერთად საკუთარ თავზე გამოვცადე. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს სირთულეები არ დასრულებულა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ქართველ ხალხს ძალუძს კრიზისის დაძლევა. გთხოვთ, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. მადლობას გიხდით მეგობრობისა და მხარდაჭერისთვის. მე, ჩემს ოჯახსა და საქართველოს, თქვენთან მეგობრობამ და ურთიერთობამ მრავალი სიკეთე გვარგუნა. ვიმედოვნებ, უკეთესი დრო დადგება. ახლა კი ვალდებული ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა, რათა მოვლენათა მსგავს მდინარებას გავემიჯნო. კეთილი სურვილებით, თქვენ და თქვენი ოჯახების მეგობარი ლევან მიქელაძე.”

ლევან მიქელაძეს ამ გადაწყვეტილების თაობაზე კონსულტაცია უახლოეს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთანაც კი არ გაუვლია, რადგან მიაჩნდა, რომ ეს მისი პიროვნული არჩევანი იყო.

ლევან მიქელაძის მეუღლე, ქალბატონი ლალი ჩიკვაიძე იხსენებს: „ლევანი იმ პერიოდში განსაკუთრებით ენერგიული და შემართული იყო, ვეღარ ვცნობდით“... ამას მოჰყვა საბედისწერო აპრილი. თითქოს აპრილის აქციებზე არ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად კომპანიაში ერთთვიანი თავისუფალი შუალედი გამოუჩნდა. „ალიანსმა“ აქციებში ჩართვა გადაწყვიტა და არ გაუპროტესტებია. უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა და თითქოს ნერვიულობდა კიდეც, თუმცა არასდროს ამჟღავნებდა ემოციას.

ალიანსელები იხსენებენ, რომ, საღამოს, მორიდებით ითხოვა რამდენიმე დღით ჟენევაში წასვლა, რადგან იცოდა, რომ იქ მთელი ოჯახი იკრიბებოდა. უფროსი ქალიშვილი თინიკო ამერიკაში ცხოვრობდა და მეუღლესთან და პატარა ნიკოლოზთან ერთად აპირებდა დედასთან და დასთან, მარიკასთან, სტუმრობას. მთელი ოჯახი კი ამის შემდეგ თბილისში ბრუნდებოდა. ეს იყო ბოლო წლებში ერთადერთი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა მიქელაძეების ოჯახი ერთად შეიკრიბა. თუმცა ერთად ყოფნის სიხარული არ დასცალდათ – 21 აპრილს მათ ტელევიზიით შეიტყვეს, რომ მათ ბინაში, ცაბაძის ქუჩაზე ვიღაც შევიდა. დიასახლისი ქალბატონი სასტიკად სცემა, გაკოჭა და ისე, რომ არაფერი წაუღია, წავიდა. ლევან მიქელაძე ამ ფაქტმა შეაშფოთა...“ ღირსეულთათვის სავალი გზა მხოლოდ ერთადერთია, სიმართლის გზაზე მავალთა მფარველი მუდამ ღმერთია!“-ვისი დახმარებით მოხდა ლევან მიქელაძის სიმართლის გზის შემოკლება, ან რისთვის დაისაჯა, ლევანის დაბადების დღეზე სასაფლაოზე მისული ალექსი პეტრიაშვილი ჯერჯერობით უცნობია, მიუხედავად აქტიური მცდელობისა პოლიტიკური ფერით შეეღებათ მომხდარი, საზოგადოებამ არ მიიღო პოლიტიკური არგუმენტი. არავინ იცის, ვინ ეხმარებოდა ლევან მიქელაძის მკვლელებს, თუნდაც მნიშვნელოვანი ინფორმაციით. საინტერესოა, რით ხიბლავდა მიშა ირაკლის, როცა თითქოს სულ ერთმანეთის ოპოზიციაში იყვნენ და მაინც მიშას „საქმე“ კეთდებოდა. ირაკლი ალასანიას საეჭვო წარსულზეც ბევრი თქმულა და დაწერილა...ზუგდიდის „გაყიდვაც“ ამოუწურავი თემაა და ნაცებთან გაგრძელებული „ტრფიალიც“. არჩევნებამდე კი არცთუ დიდი დრო დარჩა.

ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ალექსი პეტრიაშვილი და რა კავშირი შეიძლება იყოს ამ ფაქტსა და ლევან მიქელაძის გარდაცვალებას შორის? — ეს კითხვა ჯერჯერობით არავის დაუსვამს, თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, ამ ორ ფაქტს შორის მართლაც იყოს რაღაც სერიოზული ბმული.

ვნახოთ, დრო ყველაფერს გამოაჩენს და გამოააშკარავებს...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რას გულისხმობს სტრატეგიული შეთანხმება „ქართულ ოცნებასა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის?

განვლილი კვირის მთავარი თემა მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის არსებული დაპირისპირება და ხუთსუბიექტიან კოალიციაში ორპარტიული თანამშრომლობის ხელშეკრულება იყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების თემაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა. თავის განცხადებაში პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მომავლისთვის მიუღებელია საბჭოთა კავშირის წიაღიდან წამოსული სტალინისტური სენტენციები, რადიკალიზმი და მარგინალური ფსევდოტრადიციები. „ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელმაც ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებით, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მომავალი უნდა უზრუნველყოს. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“ მზად არის ითანამშრომლოს ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვისთვისაც ამგვარი პოლიტიკური ხედვა მისაღებია და შეძლებს ვიწროპარტიული ინტერესების დაძლევით მთავარი მიზნის ქვეყნის უკეთესი მომავლის გარშემო გაერთიანდეს. გიორგი კვირიკაშვილმა პოლიტიკურ პარტნიორებს სადავო საკითხების კოალიციის შიგნით განხილვისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავრობის სტაბილურად ფუნქციონირებისთვის ცვლილებების განხორციელება მოუწევს. თავის საგანგებლო განცხადებაში კვირიკაშვილმა თავდაცვის მინისტრს არაორაზროვნად მიანიშნა სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაკლებობაზე და პოლიტიკური პროცესებისგან ჯარის მაქსიმალურად დისტანცირებისკენ მოუწოდა.

პრემიერის საგანგებო განცხადებიდან უმოკლეს დროში ვითარების არასახუმაროდ დაძაბვის შემდეგ „შეფუცხუნებულმა“ რესპუბლიკელებმა გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრა ითხოვეს. მოგვიანებით „რესპუბლიკური პარტიის” თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ აღიარა, რომ კვირიკაშვილის განცხადებამ პარტიაში გაურკვევლობა და დაძაბულობა გამოიწვია, ამიტომ პრემიერთან შეხვედრის გადაწყვეტილება მიიღეს. შეხვედრა 3 მარტს შედგა. „რესპუბლიკური პარტიის“ მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე და პოლიტიკური მდივანი, დეპუტატი დავით ბერძენიშვილი. მედიისთვის დახურული შეხვედრა, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, 21.00 საათზე იყო დანიშნული, თუმცა დანიშნულ დროს ადმინისტრაციაში მხოლოდ ხათუნა სამნიძე და დავით ბერძენიშვილი მივიდნენ. თინა ხიდაშელმა და დავით უსუფაშვილმა კი დაახლოებით 10 წუთით დაიგვიანეს. მედიის უდიდესი ინტერესის მიუხედავად, შეხვედრის დაწყებამდე კომენტარები არ გაკეთებულა.

მთავრობის ადმინისტრაციის შენობიდან გამოსულმა პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ “რესპუბლიკური პარტია” კოალიცია “ქართულ ოცნებაში” სტრატეგიული პარტნიორობის რეჟიმში რჩება, რაც სამომავლოდ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას გულოსხმობს. უსუფაშვილის თქმით, მალე დასრულდება ორპარტიულ შეთანხმებაზე მუშაობა, რომელიც არჩევნების წარმატებით დასრულებისკენ იქნება მიმართული.

“შეხვედრა საქმიანი და უკიდურესად კეთილგანწყობილი იყო. ვრჩებით სტრატეგიულ პარტნიორებად. მალე დავასრულებთ ორპარტიულ შეთანხმებაზე მუშაობას, რომელიც მიმართული იქნება მომავალზე, რომელიც მიმართული იქნება არაჩევნებზე, რათა კოალიციამ თავისი ამოცანები წარმატებით შეასრულოს არა მხოლოდ ამ საარჩევნო ციკლის განმავლობაში, არამედ მომავალშიც. შეთანხმება დაზუსტდება “რესპუბლიკელებსა” და პარტია “ოცნებას” შორის”.

„ჩვენ როცა ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ კოალიციაში ერთად დავდექით, გვქონდა კონკრეტული ამოცანები – მაშინ, ეს იყო რეჟიმის დასრულება. ეს მოვახერხეთ, დავასრულეთ. შემდგომი ოთხი წლის ერთობლივი საქმიანობა, სტრატეგიული პარტნიორობა კი ნიშნავს სამომავლოდ კიდევ უფრო მჭიდრო საქმიანობას”,

ჟურნალისტების კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ პრემიერთან ვიზიტის შემდეგ თინა ხიდაშელმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობა დატოვოს, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა არ შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობის გეგმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადადგომას გულისხმობდეს.

„როცა პარტიებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზეა საუბარი, როგორ შეიძლება, თავდაცვის მინისტრის გადაგომაზეც ყოფილიყო საუბარი? ეს არარელევანტურია. პრემიერს ეს არასდროს უთქვამს. ის იმ შესაძლო ცვლილებებზე საუბრობდა, რომელიც შემდგომმა პროცესებმა შეიძლება მოიტანოს“, - აღნიშნა უსუფაშვილმა.

ოპტიმისტური პათოსის მიუხედავად, რესპუბლიკელები უგუნებოდ გამოიყურებოდნენ. თინა ხიდაშელმა და დავით ბერძენიშვილმა კი ტერიტორია საერთოდ, კომენტარის გარეშე დატოვეს. ორპარტიულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, კომენტარი პარტიის თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ გააკეთა: „დღეს დავიწყეთ საუბარი ორპარტიულ შეთანხმებაზე. საუბარი, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი. ეს მოიცავს ყველა ტიპის თანამშრომლობას. ეს მიგვიყვანს არჩევნებამდე სტაბილურ გარემოში“.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრემიერთან შეხვედრა რესპუბლიკელებისთვის უსიამოვნო ტემბრში წარიმართა. კვირიკაშვილმა რესპუბლიკელებს არაორაზროვნად მიანიშნა, რომ კოალიციაში შემავალ სუბიექტებთან დაპირისპირების გამწვავების შემთხვევაში, ისინი მინისტრთა პოსტებს არჩევნებამდე დაკარგავენ. მიუხედავად, თავდაცვის მინისტრის გაღიზიანებისა, რესპუბლიკელები ორემიერ-მინისტრის მოთხოვნას დათანხმდნენ და პირობა დადეს, რომ კოალიციის დამაზიანებელ განცხადებებს აღარ გააკეთებენ.

ერთ-ერთი ვერსიით, პრემიერთან შეხვედრაზე ითქვა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობაში ვერც ერთი რესპუბლიკელი ვეღარ მოხვდება. სხვა ვერსიის თანახმად, დახურულ შეხვედრაზე რესპუბლიკელებმა მთავარი პოლიტიკური პარტიის სტატუსს გამოჰკრეს ხელი.

ორპარტიულ შეთანხმებასთან დაკავშირებით გაჟღერებული ინფორმაცია დამაბნეველი აღმოჩნდა კოალიციის წევრებისთვისაც. რას ნიშნავს ორპარტიული თანამშრომლობის ხელშეკრულება ხუთსუბექტიან კოალიციაში, საჭიროა თუ არა, კოალიციის შიგნით ურთიერთობის წესებზე დოკუმენტების მიღება და შეთანხმებების დადება? უკავშირდება თუ არა ეს პრემიერის განცხადებას კოალიციის გადახალისებაზე და რა წინასაარჩევნო გადათამაშება მიმდინარეობს „ქართულ ოცნებაში“? ამ კითხვებზე ნაწილობრივ გასცა პასუხი ლევან ბერძენიშვილმა:

ეს შეთანხმება გულისხმობს, რომ რესპუბლიკელები და ქართული ოცნება ნამდვილად იქნება ერთად, ხოლო დანარჩენი გაარკვიონ დანარჩენმა პოლიტიკურმა ძალებმა და „ქართულმა“ ოცნებამ. ჩვენ გვექნება ჩვენი აზრი კოლეგებზე, მაგრამ ულტიმატუმი არ არის ის ფორმა, რომელსაც მივმართავთ ასეთ შემთხვევაში. პრობლემა არ არის რესპუბლიკელებსა და „ქართულ ოცნებას“ შორის. პოლიტიკოსებისა და ექსპერტთა ნაწილისთვის არადამაჯერებელი აღმოჩნდა საუბრები არჩევნების წინ ურთიერთობის წესისა და პრიორიტეტების განსაზღვრაზე. მათი აზრით, ორპარტიული შეთანხმება სხვა არაფერია თუ არა, „რესპუბლიკური პარტიისთვის“ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, კოალიციის მთავარი პარტიის სტატუსის მინიჭება, რაც დაბალი რეიტინგის მქონე, არაპოპულარული პარტიისთვის, რომელიც ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის წყალობით მოხვდა, დაუმსახურებლად მინიჭებული პრივილეგიაა. ზოგი ანალიტიკოსი უფრო შორსაც მიდის და პროგნოზირებს, რომ მალე კოალიცია ორპარტიული გახდება და მის შემადგენლობაში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და რესპუბლიკელები იქნებიან. ქართული საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ ხდება, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით მოხდარი ყოველი შეტაკება რესპუბლიკელების გამარჯვებით მთავრდება, მაშინაც კი, როცა თავდაცვის მინისტრზე საგარეჯოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული? რატომ იღებენ ყოველი მორიგი დაპირისპირების შემდეგ რესპუბლიკელები მინისტრის პორტფელს ან პარლამენტში ახალი დეპუტატი შეჰყავთ? ორპარტიულ შეთანხმებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა უფრო გააღრმავა ვიცე-პრემიერის კახი კალაძის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ორ პარტიას შორის არანაირი სტრატეგიული შეთანხმება არ მიმდინარეობს.

ნელი თორდია
571 35 36 88

ერთადერთი, ვისი იმედიც შეიძლება კიდევ ჰქონდეს ხალხს, ეს არის ბიძინა ივანიშვილი

ამერიკის სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 31% მზად არის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე. მაგრამ ეს 31% თუ არსებობს, მათი წარმომადგენლობა რატომ არ არის პარლამენტში თუნდაც 5-კაციანი ფრაქციის სახით?!

გვესაუბრება სოციოლოგიის პროფესორი, ბატონი **ვალერი კვარაცხელია**

– ბატონო ვალერი, საარჩევნო წელი დადგა. შეძლებს ქართველი ხალხი თავისუფალი არჩევანის გაკეთებას?

ვიღაცებს, ალბათ, ჰგონიათ, რომ ჩვენ თავისუფლება მოვიპოვეთ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა დაიშალა სსრკ, თუმცა, ფაქტობრივად, ჩვენ ერთი დღეც არ ვყოფილვართ თავისუფალი, ერთი დღეც არ ჩაგვისუნთქავს თავისუფლების ჰაერი, რადგან, როგორც კი საქართველო ფორმალურად, იურიდიულად გათავისუფლდა, ვიღაცამ მაშინვე დაიკავა ეს ადგილი, ეს გეოგრაფიული, სტრატეგიული წერტილი და ეს „ვიღაცა“ არის ამერიკის შეერთებული შტატები. მათ ჩანერგეს აქ თავიანთი მეხუთე კოლონა,

მოიყვანეს თავიანთი ხელისუფლება, ოპოზიცია, მედიასაშუალებები, არასამთავრობოები, სპეცსამსახურები და ა. შ.

ასე მოხდა გლობალურად, მაგრამ ის მეორე, რომელიც არის სსრკ-ს სამართალმემკვიდრე, უზარმაზარი, ბირთვული რუსეთი, არ კარგავს თავის ინტერესებს და გავლენებს და ამ არეულობაში, ხატოვნად რომ ვთქვა, რასაც გამოჰკრა ხელი, ის დაიკავა.

საქართველოც დაიყო სამ ნაწილად. დიდი ნაწილი არის ამერიკის ხელში, ორი პატარა ნაწილი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რუსეთის ხელში.

მოკლედ, ამერიკელებმა რაღაც შეიძინეს, რუსებმაც, ქართველებმა კი ყველაფერი დავკარგეთ და დღეს ვართ გაუბედურებული ქვეყანა, მხოლოდ ოდესღაც არსებული სახელმწიფოს ნარჩენი.

აი, ეს არის რეალობა, რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ მას.

ხალხის უნეტეს ნაწილს ძველი ცხოვრების ნოსტალგია გაუჩნდა და **ამერიკის სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 31% მზად არის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებაზე.**

მაგრამ ეს 31% თუ არსებობს, მათი წარმომადგენლობა რატომ არ არსებობს პარლამენტში თუნდაც 5-კაციანი ფრაქციის სახით?! ესაა იმის დასტური, რომ პარლამენტში არ არის ასახული საზოგადოებრივი ინტერესები.

– პოლიტიკის ერთმა ექსპერტმა ამას წინათ მითხრა: „ნაცმოძრაობა“ და საკაშვილი რუსული ძალაა. მისი ქმედებები არის პიარტექნოლოგიის ნაწილი. იმისთვის, რომ ხალხს შეაჯავრო მოწინააღმდეგე ძალა, უნდა აქო და ადიდო ის, ოღონდ აკეთო საპირისპირო საქმე.

– ვერ გავიზიარებ პოზიციას, თითქოს საკაშვილი და ნაციონალები რუსული ძალა იყვნენ.

ადამიანების მართვა ორი გზით არის შესაძლებელი: 1) შეთანხმების, ანუ ხელშეკრულების საფუძველზე; 2) როდესაც მოწინააღმდეგის საქმეს ისე აკეთებინებ, რომ თვითონაც არ იცის, ასე თუ მოქმედებს.

პირველს აგენტი ჰქვია, მეორეს – გავლენის აგენტი.

მე მგონია, რომ პუტინმა, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია, საკაშვილის ტიპის "მოღვაწეებს," არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვაგანაც, თავისი გასაღები მოარგო, თორემ, სინამდვილეში, საკაშვილი რუსეთისგან მართული არ არის ისევე, როგორც ე.წ. ისლამური სახელმწიფო არ არის რუსეთისგან მართული.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახლაც საკაშვილი ხომ არ არის საქართველოში, ასეთი ამბები რომ ხდება?

რუსეთის მიმართ ანტიპატიის პროცესი ქართველებისთვის ხომ დღემდე გრძელდება?

თუ ასე არ არის, რაშია საქმე, რატომ შემოაქვთ ის რაღაც გაურკვეველი საგანი სკოლებში? რატომ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, სადაც სქესობრივი უმცირესობა ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან არის გათანაბრებული? რატომ დგას დღის წესრიგში სქესობრივ უმცირესობათა ქორწინების საკითხი? ეს მიდგომები, ბატონებო, იცოდეთ, რომ ქართველ ხალხს აძულებს დასავლურ ცხოვრების წესს.

ერთადერთი, ვისი იმედიც შეიძლება კიდევ ჰქონდეს ხალხს, ეს არის ბიძინა ივანიშვილი. მის გარშემო საფრთხეები და რისკები დიდია, ამიტომ მოსალოდნელია, გამორჩეული გეგმები ჰქონდეს, რომელსაც ის, ჯერჯერობით, გულმოდგინედ მალავს, მაგრამ სამწუხაროდ, მან ისეთ ხალხს ჩააბარა ძალაუფლება, რომელიც ქართველი ხალხის მიერ ნდობას და პატივისცემას არ იმსახურებს. პირველ რიგში, სწორედ რესპუბლიკელები მყავს მზედველობაში. რამდენიმე მინისტრი და სხვა სერიოზული თანამდებობის პირები რესპუბლიკელები არიან, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნისთვის ასე მნიშვნელოვანი თავდაცვის უწყება რესპუბლიკელების ხელშია.

„რესპუბლიკელები“, არის ანტიქართული ძალა, ყოველგვარი ქართულის, წესის, ადათის, ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების მოძულე ორგანიზებული პოლიტიკური ჯგუფი. რატომ უნდა იყოს მათ ხელში სერიოზული სახელმწიფო ბერკეტები?! რეიტინგული ძალა რომ ყოფილიყო, გასაგებია, ვერ ავუვლიდით გვერდს, მაგრამ მათი რეიტინგი უდაბლესი იყო, 5%-მდეც ვერ გაქაჩავდნენ არჩევნებში, ამიტომ შეკითხვა, რომელიც დავსვი, ლოგიკურია, - რატომ მაინცდამაინც რესპუბლიკელები?!

რუსეთისადმი მუდმივი მტრული რიტორიკა, მეტი რომ არ ვთქვა, მოსაბეზრებელია უკვე. რუსეთთან დაპირისპირებით, რუსეთის ინტერესების უგულებელყოფით ჩვენს პრობლემებს რომ ვერ მოვაგვარებთ, ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღიდგენთ და, საერთოდ, შექმნილი ჩიხიდან ვერ გამოვალთ, ხომ უნდა მიხვდეთ?! რუსეთი ისეთი ხელწამოსაკრავი სახელმწიფო რომ აღარაა, როგორიც ელცინის პერიოდში იყო, ეს ახლო აღმოსავლეთის მოვლენებმაც დაადასტურა, სადაც რუსეთმა პოლიტიკური ნებაც გამოავლინა და სამხედრო ძლიერებაც. სწორედ ის ძალაა საქართველოს მტერი, ვინც ამ რეალობას სხვაგვარად წარმოგვიჩენს და რუსეთისადმი კონფრონტაციულად განაწყობს ჩვენს მოსახლეობას.

– საქართველოს აქვს იმის ძალა, რომ კოლონიზატორების წინააღმდეგ წავიდეს? თქვენ წელან თქვით, რომ ჩვენ კოლონიზებულნი ვართ...

– თუ ჩვენს ხელისუფლებას ეყოფა ძალა იმისთვის, რომ ხმამაღლა განაცხადოს, ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციაში არსებითი კორექტივები შეგვაქვს. ხელისუფლებას ხალხი მხარში დაუდგება და საქმე სხვაგვარად, ჩვენთვის სასარგებლოდ წარიმართება...

არჩევნებზე მეკითხებოდით.

2016 წლის არჩევნები, ჩემი აზრით, რევოლუციური ხასიათის იქნება.

იმას კი არ ვამბობ, რომ ე.წ. პრორუსული ძალები უმრავლესობით მოვლენ, არა, საზოგადოების პოლიტიკური განწყობები გაცილებით ადეკვატურად და შესაბამისად იქნება წარმოდგენილი წინა წლებთან შედარებით.

– იქნებ მაშინ აშშ-იც წავიდეს საქართველოდან თავისი დირექტივებით და რუსეთმაც დატოვოს ჩვენი ტერიტორიები.

– საქმე ისაა, რომ რუსეთი ასე ადვილად ვერ დათმობს აქაურობას. მისი უკანდახევა კავკასიაში, უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთში და პოსტსაბჭოთა სივრცეში ნიშნავს არა მხოლოდ სტრატეგიული წერტილების დათმობას, არამედ რუსეთის დაშლისთვის საფუძვლის ჩაყრას. რუსეთი ან იქნება ზესახელმწიფო, ან საერთოდ არ იქნება. მას აუცილებლად დაშლიან.

ჯერჯერობით, რუსეთი გახლავთ აშშ-ის ერთადერთი სამხედრო კონკურენტი. ამიტომ მისი დასუსტება და განადგურება აშშ-ის უმთავარესი ამოცანაა.

ასე რომ, რუსეთს უკანდასახევი გზა არ აქვს, ის ვერსად წავა. როგორც რუსები ამბობენ, უკან მოსკოვია!

იგივე მდგომარეობაშია თუ არა აშშ, საქართველოს დატოვებით მიადგება თუ არა მას სასიკვდილო ზიანი? რა თქმა უნდა, არა. მას არავინ ემუქრება დაშლით. ამიტომ მისთვის უკანდახევა გაცილებით ადვილია და დაიხევს კიდეც.

– მაინც ვერ მივედით იმ კითხვის პასუხამდე – მოხდება თუ არა პოლარიზება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში უახლოეს ხანებში?

– მე ამას პოლარიზებას კი არა, ლატენტური საზოგადოებრივი განწყობილებების ლეგალიზაციას დავარქმევდი. რასაც, საბოლოო ჯამში, მაინც გლობალური პოლიტიკური რყევები განაპირობებს.

მე ვიცი ხალხის განწყობა, ვიცი, ასე თუ ისე, როგორაა საქმე.

საზოგადოებაში ის ტენდენციები, რომელთა შესახებაც მოგახსენებთ, იმდენად ძლიერია, რომ ხელისუფლება და თვით ამერიკელებიც კი, რომლებიც მართავენ ჩვენს ქვეყანას, ძალიან ზერელე და ქარაფშუტები იქნებიან, ხალხის განწყობას თუ არ გაითვალისწინებენ, რადგან ეს ტალღა ისეთი ძლიერი იქნება, რომ ნებისმიერ ჯებირს გაანგრევს.

– პრორუსულ ტალღას გულისხმობთ?

– პრორუსული... ანტიდასავლური... პირობითია ეს ყველაფერი. ეს ქართული ტალღა იქნება, ოღონდ არა რადიკალური, არამედ ზომიერი და გონივრული.

ჯერ არჩევნებამდე შორია, მაგრამ დროა, ამას მეტი ყურადღება მიექცეს.

ამერიკელები სიტყვით მზარს უჭერენ და აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საქმით ტერიტორიულ ნგრევამდე და სრულ კოლაფსამდე მიგვიყვანეს. რუსეთის ინტერესებში არ შედის დაქუცმაცებული და დასუსტებული საქართველო. მის ინტერესებში რუსეთისადმი კეთილგანწყობილი, ერთიანი და ძლიერი საქართველო შედის.

– თქვენ გცოდნიათ, რა სურს რუსეთს...

– ჩემო კარგო, ეს არ არის საიდუმლო წყაროებიიდან მოწოდებული ინფორმაცია. ეს გახლავთ შექმნილი ვითარების ანალიზი. რაც შეეხება კულუარებს, ვფიქრობ, იქაც იგივე განწყობაა.

საქმე რაშია იცით? ისტორიულად ასე იყო. გაცილებით ძლიერი, მრავალრიცხოვანი და უზარმაზარი მტერი მოდიოდა ჩვენზე. ახლაც იგივე ხდება, მაგრამ ამის მიუხედავად, დღევანდელ ამერიკას და რუსეთს ვერც მონღოლებს შეადარებ, ვერც არაბებს, ვერც თურქ-სელჩუკებს, ვერც სპარსელებს. მაშინ ასე თუ ისე ხერხდებოდა ხმლით გამკლავება. დღევანდელი ამერიკა და რუსეთი სხვა განზომილებაა, სხვა მასშტაბებია. ამიტომ ჩვენი საუბრები, რომ ჯარს გავწვრთნით, შეიარაღებას შევიძენთ და თინა ხიდაშელის წინამძღოლობით მტერს ვეკვეთებით, კრიტიკას აბსოლუტურად ვერ უძლებს. დიალოგი და დიპლომატიაა შესასწავლი, საკუთარი ინტერესების სხვათა ინტერესების კონტექსტში გააზრებაა ასათვისებელი, ოპტიმალური გამოსავლის ძიების ხელოვნებაა დასაუფლებელი. ჩვენ უნდა შევძლოთ პოლიტიკური დროის და მომენტის გააზრება და ამის შესაბამისად მოქმედება.

დროის და რეალობის განცდა პოლიტიკაში აუცილებელია.

შინაურობაში რომ დავბრუნდეთ, ეს რესპუბლიკელები ერთგვარი ტესტია ბიძინა ივანიშვილისთვის. თუ იგი რესპუბლიკური პარტიით აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ეს ფაქტი ივანიშვილის ყველა რეიტინგს ჩამოიყვანს ნულამდე. ის თუ ამ გზით წავა, ეს იქნება დიდი განსაცდელი მისთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ახალი შიდაპოლიტიკური კატაკლიზმები გარდაუვალი იქნება, ხოლო ივანიშვილის პოლიტიკური კარიერა კრახით დასრულდება სწორედ 2016 წლის ოქტომბერში.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

ᲒᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
(ფრაგმენტები ინტერვიუდან)

ის წერილი, რომელიც გამოაქვეყნა გიორგი კვირიკაშვილმა, არათუ გამართლებული იყო პოლიტიკურად, არამედ აუცილებელიც იყო. მას ჰქონდა ვალდებულება, რომ ასეთი განცხადება გაეკეთებინა და რაც მთავარია, საჯაროდ და არა კულისებში, როგორც ზოგიერთი ამბობს, რომ სჯობდა კულისებში ესაუბრა. საქმე იმაშია, რომ თუ გოგი თოფაძემ ასეთი მინიკრიზისი შექმნა შიგნით კოალიციაში და გარკვეული დაძაბულობა თავისი არაკორექტული გამონათქვამებით, თინა ხიდაშელმა ეს კონფლიქტი აიყვანა ნაციონალურ დონეზე და შეიძლება ითქვას, საერთაშორისო დონეზე, რადგან მის მიმართ კრიტიკა დაუკავშირა გეოპოლიტიკურ არჩევანს ქვეყნის

და თითქოს სამყაროს ღერძადაც წარმოადგინა თავისი თავი, რაც კატეგორიულად მიუღებელია, ჩემი აზრით. ეს ჩვენი შეურაცხყოფაც არის, რას ნიშნავს, თუ რესპუბლიკური პარტია არ იქნება, ჩვენ ხვალ ავდგებით, ყველა დავირაზმებით და რუსეთში გავიქცევით? თუ რა მოხდება? რას ნიშნავდა ყველაფერი ეს? – მან მაშტაბები შეცვალა, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი გახლავთ ის, რომ თავდაცვის სამინისტრო არის დეპოლიტიზირებული უწყება. შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობა მაქსიმალურად დისტანცირებული უნდა იყოს პოლიტიკისგან, რადგან ამ განცხადებებმა შეიძლება მთლიანად ჯარის პოლიტიზირება გამოიწვიოს. ამას უყურებენ ოფიცრები, უყურებენ ჯარისკაცები და შესაძლებელი იყო ამას გამოეწვია სახელმწიფო საფრთხეები, ვიღაცას რომ მართლა დაეჯერებინა, ის, რომ ამ კონფლიქტის გამო რაღაც მოხდება, ხომ წარმოგიდგენიათ რა რისკის წინაშე შეიძლებოდა დავმდგარიყავით. შესაბამისად, კვირიკაშვილი უკვე იძულებული იყო არა კულისებში მოეგვარებინა ეს თემა, არამედ საჯარო განცხადება გაეკეთებინა, მათ შორის სამხედროების გასაგონადაც, რომ ეს გზავნილები არ იყო სწორი.

ხიდაშელმა პირველმა დაარღვია ძალოვანი სტრუქტურის, თავდაცვის სამინისტროს დეპოლიტიზაციის პრინციპი, სხვათა შორის, თავის დროზე, ირაკლი ალასანია, თუ გახსოვთ, გადადგა თავდაცვის მინისტრობიდან და მაქსიმალურად დისტანცირებული იყო პოლიტიკური განცხადებებისაგან, გადადგომის მომენტში უკვე მან გააკეთა პოლიტიკური განცხადებები, მაგრამ მანამდე მას ამის უფლება თავისი თავისთვის არ მიუცია და თინა ხიდაშელიც ვალდებული იყო, რომ მაქსიმალურად დეპოლიტიზირებული ყოფილიყო, სხვათა შორის, თოფაძის ერთ-ერთ შენიშვნას მის მიმართ, როდესაც ფაცებოოკ-ზე თვითონ თინა ხიდაშელი აქვეყნებდა, როგორ ითვლიდა მთელი ღამე ხმებს თავისი თანაპარტიელის, მე ვფიქრობ, ესეც ძალიან არაკორექტურლი საქციელი იყო თავდაცვის მინისტრის მხრიდან. ანუ ის პოლიტიკაში იყო პირველი დღიდან ბოლო დღემდე ჩართული, რაც ამ ფუნდამენტალურ სახელმწიფოებრივ ქსოვილს ძალიან სერიოზულად აზიანებდა; და მეორე გახლავთ ის, რომ თავის თავს და რესპუბლიკურ პარტიას უკავშირებდა საქართველოს გეოპოლიტიკურ არჩევანს და ამბობდა, რომ ისინი არიან გარანტები, ისევე, როგორც თავის დროზე მიშა სააკაშვილი ამბობდა, რომ მე რომ არ ვიყო დაიღუპება ქვეყანა და რუსეთში გაიქცევა ყველა. არ მოხდა ასე, მეორე ეპიზოდი იყო, თუ გახსოვთ, თავისუფალი დემოკრატები, როდესაც ხელისუფლებიდან წავიდნენ, იმათაც იგივე გააკეთეს იგივე გაცხადება, ეს ესე არ მოხდა, არც ერთ შემთხვევაში და ეს ყველაფერი პოლიტიკური სპეკულაცია იყო საფრთხის შემცველი. ფაქტიურად, რესპუბლიკურმა პარტიამ, აი ის ორი ციკლი ჩაანაცვლა და შანტაჟის სუნი აუვიდა ხელისუფლების მიმართ ყველაფერ ამას. ეს კატეგორიულად მიუღებელია. მე მინდა რესპუბლიკურ პარტიას კიდევ ერთხელ ვუთხრა, პროდასავლური არჩევანი, ევროპული არჩევანი, ეს არის ქართული სახელმწიფოს არჩევანი და ნუ გვაყენებენ შეურაცხყოფას, როდესაც თავის ბედს უკავშირებენ ამ არჩევანს.

...სასაცილო ის არის, რომ ისინი ხალხთან კომუნიკაციით კი არ ცდილობენ ლეგიტიმაციის მიღებას, პარაზიტირებენ ბიძინა ივანიშვილის რესურსებზე და ისევ უკანა კარიდან ცდილობენ შესვლას. როდესაც თინა ხიდაშელი ასეთ აგრესიულ განცხადებებს აკეთებდა, ის მე და თქვენ კი არ გველაპარაკებოდა, ის ელაპარაკებოდა ერთ კაცს, მასთან ჰქონდა საქმე და არა ჩვენთან. პარტიას ვეუბნები - ელაპარაკოს ხალხს, ძალაუფლების წყარო არის ხალხი.

...საგარეჯოს არჩევნების გამოძიება გახდა კატალიზატორი, თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ნერვები არ მიმტყუნებსო, მაგრამ, სინამდვილეში, ამ გამოძიების ბაზაზე მათ უმტყუნეს ნერვებმა და დაიწყეს კონტრშეტევა, ძალიან აგრესიული, ეს აღარ იყო პოლიტიკის ფარგლებში, მათ დაიწყეს ისეთი თამაში, რაც მხოლოდ პოლიტიკის ფარგლებში აღარ ჩაეტია და სახელმწიფო რისკებში გადაიზარდა. საერთაშორისო არენაზეც რაღაც ზიანი მიადგა ქვეყანას, რადგან თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ პრობლემებს მიქმნიან და იქ პრორუსული ძალები გვიტევენ და დაიღუპება ქვეყანა და ოპრიენტაციას შეიცვლის „ქართული ოცნება“...

გამომდინარე იქედან, რომ კოალიციიდან წასვლა არ უნდათ, თან ისეთ შანტაჟზე წავიდნენ, რომ წარმოუდგენელი მოთხოვნილებები გაუჩნდათ, რესპუბლიკელები ამ თავიანთი შანტაჟის სანაცვლოდ, ალბათ, ითხოვენ უფრო მსუყე ნაჭერს, ვიდრე აქვთ, ისინი ძალაუფლებიდან ითხოვენ უფრო მეტს, ვიდრე შეუძლიათ გადაყლაპონ“.

TV ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:
(ფრაგმენტები ინტერვიუდან)

– ახალი რეალობის წინაშე დგას კოალიცია, მაგრამ ეს ახალი როგორია და რას მოუტანს კოალიციას, მე, ისევე, როგორც ბევრს, კითხვის ნიშნის გარდა სხვა არაფერი მაქვს. რესპუბლიკელები დიდი ხანია ლაპარაკობდნენ თუ გახსოვთ ამგვარი ხელშეკრულების დადებაზე, რამოდენიმე წლის წინ, მაშინ რომ მისცემოდა მსვლელობა ამ იდეას, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ დღეს, როცა არჩევნები

კარზეა მომდგარი, ორმხრივი ხელშეკრულება თავისთავად კოალიციის დაშლის მოდელია. თუ ხელშეკრულება იქნება, ალბათ სხვადასხვა მხარეებს შორის უნდა იყოს. წარმოიგინეთ, რამდენ დროს და ენერგიას წაიღებს ხელშეკრულებაზე მუშაობა, კონსენსუსის მოძებნა ამდენ სუბიექტს შორის. თან დოკუმენტზე, რომლის ბედიღბალი და შედეგიანობა არავინ არ იცის.

რესპუბლიკელებმა თქვეს თავის დროზე, როცა რაღაც პრეტენზიები ჰქონდათ, რომ დაპირებული არ შეუსრულდათ, მაშინ წამოაყენეს ხელშეკრულების იდეა, ეხლა დაუბრუნდნენ ამ იდეას. არ ვიცი, აწყობდათ თუ არა რესპუბლიკელებს ეს ხელშეკრულება, იმიტომ რომ, გამორიცხული არ არის, რომ ამ მოდელმა წაგებული გახადოს მთლიანად კოალიცია. ანუ კოალიციმა ახლა უნდა გადადოს გვერდზე საარჩევნო კამპანია და დაიწყოს ხელშეკრულებაზე მუშაობა, ეს შრომატევადი, საკმაოდ კონფლიქტური პროცესია, რომელთან შედარებითაც თოფაძე-რესპუბლიკელების კონფლიქტი შეიძლება

მონაგონი იყოს და არჩევნებთან კოალიცია მივა სრულიად ენერგია გამოცლილი და ხელშეკრულებით, რომელიც არავის არ სჭირდება, არანაირ რეიტინგს ხელშეკრულება არ მოუტანს კოალიციას, მოსახლეობას სულ არ აინტერესებს ეს შიდაპარტიული ხელშეკრულება.

ჩვენს პოლიტიკაში მეორე ნომერი ძალიან პოპულარული თემაა, ზოგი პარტია იძახის, რომ ოპოზიციაა და მეორე ნომერი პარტიაა, ახლა შიგნით, კოალიციაში, თუ ვინმე დაიჭერს მეორე ნომერს – ბედნიერია. ამ ტიპის მეორე ნომერზე უცხოეთში ლაპარაკი არ არის, იმიტომ რომ ამ ნომრებს არკვევს მიღებული ხმები. ჩვენ ყოველთვის გვაქვს ხმების უმრავლესობის ფაქტი, პარლამენტში არსებობს ხმების უმრავლეობა, რომელსაც რასაც უნდა, იმას იღებს და აკეთებს. ეს არ არის პოლიტიკური ცხოვრება, ეს დეფორმაციაა პოლიტიკური ცხოვრების.

საყურადღებოა ფრაზა კვირიკაშვილის განცხადებიდან, „თუკი კოალიციის რეჟიმში მივედით არჩევნებამდე“ - აი, ეს „თუკი“ იყო ძალიან სერიოზული სიტყვა. როგორც ჩანს, ერთი ვერსიაც არის განხილვის საგანი და მეორეც. გაფართოება კოალიციისა და კოალიციის დაშლაც. მე, მაგალითად, უფრო ჯანსაღად მიმაჩნია კოალიციის დაშლა და თითოეული პარტიის წარდგენა ამომრჩევლის წინაშე., გაფართოების შემთხვევა მეეჭვება, რომ პროდუქტიული იყო, იმიტომ რომ დღეს, არსებულ სპექტრში, ვისაც რეიტინგი აქვს, ის თავის რეიტინგს გაუფრთხილდება და ეცდება, არ შეერიოს სხვა პარტიას და ვისაც რეიტინგი არ აქვს, ის გინდა გაგიერთიანებია და გინდა არა.

TV ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
მოამზადა
ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲙᲔᲗᲔᲚᲐᲕᲐ
555 46 08 04

თუ რუსეთ-თურქეთის შორის დაპირისპირებამ აშკარა სახე მიიღო, საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება

გვესაუბრება დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, ბატონი სიმონ კილაძე

— ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინმა თქვა ამასწინათ — რუსეთ-თურქეთს შორის დაძაბულობა ცივი ომიდან შესაძლოა „ცხელ“ დაპირისპირებაში გადაიზარდოსო. ამ ორ სახელმწიფოს შორის გამწვავებული ურთიერთობა საქართველოსთვისაც იქნება ახალი და დიდი თავსატეხი.

— რუსეთ-თურქეთს შორის არსებული უთანხმოება ახლო აღმოსავლეთის პრობლემა გახლავთ. ვერავინ იფიქრებდა ორი-სამი წლის წინ, რომ ასეთი გამწვავებული ურთიერთობა შეექმნებოდა რუსეთსა და თურქეთს და ეს დაძაბულობა ომის ზღვრამდე მივიდოდა.

რადგან ომი ვახსენე, პატარა ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებ.

რუსეთ-თურქეთს შორის, ისტორიის მანძილზე, ათზე მეტი ომი მოხდა და ეს ომები თითქმის არასდროს არ ჩატარებულა საქართველოს გარეშე. საერთოდ, შავი ზღვის ტერიტორიები რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების არეალს ყოველთვის წარმოადგენდა. სიტუაცია გამწვავდა მე-18 ს-ში. ართვინისა და არტაანის ოლქების, ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილის, ახალციხე-სამცხე-ჯავახეთის გარშემო რუსეთმა აქტიური მოქმედებები დაიწყო. ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე — სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით აქტიურობა მე-20 ს-ის 20-იან წლებში განახორციელეს რუსებმა შავშეთ-ერუშეთ-ტაო-კლარჯეთთან და სხვ. ერთად. სწორედ აქედან იწყება საქართველოს ეთნიკური გამთლიანების საკითხი.

1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ მოხერხდა სწორედ საქართველოს ეთნიკურ-ქართულ წიაღში დაბრუნება.

— თურქეთთან ომების დროს რა სტრატეგიული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მეფის რუსეთი საქართველოს ტერიტორიების, როგორც ბრძანეთ, ეთნიკურ ქართულ გარემოში დასაბრუნებლად?

— ვერ ვიტყვით იმას, რომ რუსეთს დღე და ღამე არ ეძინა საქართველოზე ზრუნვით, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. მე-18 ს-ის მეორე ნახევარში დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ოსმალეთმა უნდა აკრძალოს ქართველ ტყვეთა სყიდვა, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს სამთავროებზე თავდასხმისგან თავი შეიკავოს და ა. შ.

საქართველო მაშინ არ იყო რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ რუსეთი ავალდებულებდა თურქეთს ქრისტიანი მოსახლეობისთვის პატივი ეცა. ასეა ჩაწერილი ხელშეკრულებებში.

თვით ეს „ზრუნვა“, ალბათ, განპირობებული იყო რუსეთის მისწრაფებით, ყოფილიყო ე. წ. „მესამე რომი“. ის მართლმადიდებლობას იცავდა ბალკანეთშიც, რუმინეთშიც და სხვაგანაც. პოლიტიკური მოვლენებიც ამ მიმართულებით ვითარდებოდა.

— გარკვეული ხნის წინ თურქეთი აშკარად იმედოვნებდა, რომ კვლავ დაიბრუნებდა თავის ძველ ტერიტორიებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეს, რასაკვირველია, დაკავშირებული იქნება რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებასთან.

— სწორედ დღეს (05.03.2016) ჩატარდა სემინარი-კონფერენცია რუსეთ-თურქეთს შორის დაპირისპირების შემთხვევაში საქართველოს მდგომარეობაზე.

თურქეთთან დღეს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ხშირად ხვდებიან ჩვენი ქვეყნისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები, ახლახან ამ შეხვედრაზე აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრიც იმყოფებოდა და უკვე აქტიურადაც მიმდინარეობს საუბრები ერთგვარი ღერძის ჩამოყალიბებაზე — აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სამოკავშირეო ალიანსის მიმართულებით.

— ამაზე გასულ თვეს იყო საუბრები. თავდაცვის მინისტრმა გააჟღერა ეს ინიციატივა.

— დიახ. თავდაცვის სფეროშიც ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ჩვენი და თურქული მხარის წარმომადგენლები. არის სამხედრო კომპონენტი, ეკონომიკურიც.

თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა, გვეხმარება და ა.შ. ეს კარგია, ცხადია, მაგრამ ამ ვარდისფერი სათვალიდან რეალურად შევხედოთ ფაქტებს. ნუ ვიქნებით კატეგორიულნი მსჯელობებსა და მოქმედებებში. ნუ ვიტყვით, „ოღონდ რუსეთი არა, თურქეთი არის ჩვენი მეგობარი“. თუ გავითვალისწინებთ ისტორიას, რაც ძალიან მივიწყებული გვაქვს და თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თურქეთის კულტურულ ცხოვრებაში, სამხედრო შეიარაღებულ ძალებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ისლამიზაციის პროცესი. ეს ჩვენთვის კარგია თუ ცუდი, უნდა მივხვდეთ.

ცხადი და ნათელია, რომ საქართველოში მიმდინარეობს თურქული ეკონომიკური ექსპანსია.

მაგალითად, აჭარაში.

კარგია. მეზობლებთან უნდა გვქონდეს კეთილი დამოკიდებულება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ აჭარის რელიგიურ შემადგენლობას, მის პოლიტიკურ ისტორიას, იმას, რომ 1879 წლამდე აჭარა თურქეთის ვილაიეთის ნაწილი იყო, ხოლო ართვინისა და არტაანის ოლქები დღესაც თურქეთის შემადგენლობაშია და საერთაშორისო ხელშეკრულებებსაც გავითვალისწინებთ, მაგალითად, როცა მუსტაფა ქემალმა მანამდე დადებული შეთანხმებები გააუქმა, მაგრამ დატოვა კანონი, რომელიც მიიღო ოსმალეთის პარლამენტმა 1920 წელს, აჭარა არის თურქეთის ნაწილი. დიახ, ასე წერია 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულებაშიც და ყარსის ხელშეკრულებაშიც. იქვეა საუბარი აჭარის სტატუსზეც: თურქეთი უთმობს აჭარის სიუზერენიტეტს რუსეთს.

გასათვალისწინებელია ტერმინი სიუზერენიტეტი.

— თურქეთ-რუსეთს შორის დაძაბულობა მაინც სირიის კონფლიქტში რუსეთის მხარის ჩართვამ გამოიწვია.

— დიახ. სირია 1918 წლამდე ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. დღემდე თურქეთი განსაკუთრებით სირიის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც ქალაქი ალეპო მდებარეობს, თურქეთის ნაწილად მიიჩნევს.

თუ რუსეთ-თურქეთს შორის დაპირისპირებამ აშკარა სახე მიიღო, საქართველო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ზუსტად ამაზე გვქონდა დღეს კონფერენციაზე საუბარი.

გარკვეული ზიგზაგური მოქმედებები დაგვჭირდება, თავი რომ გადავირჩინოთ, თუ ომი მოხდა.

ჩვენი ბედი გადაწყდება იმის მიხედვით, როგორ განვითარდება მოვლენები სირიაში. გაგრძელდება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე თუ კვლავ დაიწყება დაბომბვების ცხელი ფაზა.

დღეს ამ კონფლიქტში მთავარია ქალაქი ალეპო, რომელსაც ახლა ახალ სტალინგრადს უწოდებენ, თურქეთისთვის, როგორც უკვე გითხარით, სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ამ ქალაქს ადრე, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას, ქალაქი ხალები ერქვა. თუ რუსეთის დახმარებით ასადი ალეპოს დაიკავებს, თურქეთ-რუსეთის ომი გარდაუვალი იქნება. ერდოღანმა ცოცხალი თავით რომ დათმოს ალეპო, თურქები ამის გამო ისედაც მოკლავენ.

მოკლედ, ყველაფერი გლობალური ომისკენ მიდის, მაგრამ, ვფიქრობ, მსოფლიოს ლიდერებს ეყოფათ კეთილგონიერება და ეს კონფლიქტი მსოფლიო ომში არ გადაიზრდება.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

სოდომია მოდის, სოდომია!.. ანუ – „ფრთხილად, კარები იკეტება“


მირონ ხერგიანი

ანდრეს მამიკინსი:

ვის ვასწავლით ჭკუას? – საქართველოს, რომელიც ევროპული ცივილიზაციის აკვანია?“

ეს არც მეტროა და არც სუპერმარკეტი, არც ბაქანი აქვს და არც შემდეგი გაჩერება: – სამოთხის კარია, დღითიდღე დავიწროვებული. ხოლო მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მოთხოვნების საპასუხოდ, ჩვენს პატარებსაც ერთმანეთის გენიტალიების გაცნობა-მოხმარებას 2-3 წლის ასაკიდან ვასწავლით და დაწყებით კლასებში ახალი სასწავლო პროგრამებით სავალდებულოს გავხდით, რომ ბავშვებმა დადგან სპექტაკლები, სადაც სიძვა-მრუშობა და სექსუალური გაუკუღმართება სრულიად მისაღებ, ყოფით რეალობად იქნება წარმოდგენილი, – აღთქმული კარი ქართველებს საბოლოოდ დაგვეკეტება... სამაგიეროდ, ფართოდ გაგვიღებენ ნაქები „დასავლური სამოთხის“ კარიბჭეს, თუმცა შესვლა იოლი როდია: ჩვენმა მაღრიბელმა „კეთილისმყოფელებმა“ ეტაპობრივად გართულებული ნეოლიბერალური “საზვერეების“ გავლა დაგვიწესეს, რასაც, ჯერჯერობით, დრიგინ-დრიგინით გავდივართ. თავდაპირველად, ნიადაგი აბიტურიენტთა უნარ-ჩვევების კითხვარებით მოსინჯეს და აი, ერთი მათგანი:

„ზღვაში მამაშენი და შენი ძმა იხრჩობა. რომელს გადაარჩენდი?“

სწორი პასუხი ყოფილა: „გადავარჩენდი მამას, რომ მემკვიდრეობა მთლიანად მე დამრჩენოდა“.

ახლა ვფიქრობ: ამ სატანურ კითხვას რას უპასუხებდა ჩემი შვილიშვილი ბექა, ვინც ათი წლისამ უმცროს ძმას, ხუთი წლის ირაკლის, ბავშვური გულწრფელობით ამგვარი „ლექსი“ მიუძღვნა:

„ძმაო! ერთგულო/ ტანადო და ძლიერო/ ძმები ვართ და მეგობრები/ ხოლო მტრები კი არა./ ერთად დავიზოცებით/ ერთად დავბერდებით/ ერთად ვიქნებით/ ჭირშიც და ლხინშიაც/ ძმაო, ჩემო მეგობარო/ ჩემო მეზობელო/ ჩემო გულის ნაწილო/ ერთად ვიქნებით გასაჭირშიც, მოსალხენშიც/ გახსოვდეს, რომ ჩემი ძმა ხარ/ ხოლო მტერი კი არა/ ერთად უნდა ვიყოთ/ ერთად ერთი ძალა ვიქნებით/ ერთად უნდა ვიწვალოთ/ ლუკმა პურის საშოვნელად.“

დიახ, ესაა პატარა ბავშვის პირით ნათქვამი ერთგვარი საწუთისოფლო „მანტრა“– ქართული გენის ამოძახილი...

... და აქ იგივე კითხვას ვუბრუნდები: – რას უპასუხებდა-მეთქი ბექა?.. რას და – ვერაფერს!.. ზემოთ მითითებული „სწორი“ პასუხით, ის საკუთარი თავის წინააღმდეგ უნდა წასულიყო (რასაც ვერ იზამდა!) და პასუხიც უდავოდ ჩამჭრელი იქნებოდა, რადგან, ევროკავშირის სტანდარტებით, მათეული ძმობა თურმე საზოგადოებრივად მიუღებელი ანუ დანაშაულებრივი ყოფილა.

აქ სხვაც მახსენდება, – ათასწლეულების მიღმამდელი...

ჰომეროსი თავის უკვდავ „ილიადაში“ გვიყვება: ტროას დაცემის შემდეგ, გამარჯვებულმა ბერძნებმა იქ მაცხოვრებლებს ქალაქის დატოვება უბრძანეს და თან მხოლოდ ერთი ძვირფასი ნივთის წაღების უფლება მისცეს. ჭაბუკმა ენეასმა მოხუცი, დავრდომილი მამა მხრებზე შეისვა და მისი საქციელით გაოცებულ მომხვდურებს უთხრა: – „ამაზე ძვირფასი არაფერი გამაჩნიაო!..“

დღეს, მსოფლიოზე გაბატონებულმა ბნელმა ძალებმა, ტრანსნაციონალური ფინანსური კორპორაციების მეშვეობით დამონებული ჰომეროსის სამშობლო უკვე წიხლქვეშ გაიგდეს, ჩახადეს და გააბახეს, – ერთმორწმუნე ქვეყანას ერთსქესიანთა ქორწინება იძულებით დააკანონებინეს. აი, ამგვარი უკუღმართი გზით მიჰყავთ საქართველოც!.. არ დაგიდევენ, ვინ ხარ, რა შეგიქმნია, ნიანგივით უგრძნობლები არიან; მისთვის ხომ სულ ერთია, წაულას შეჭამს თუ – მოაზროვნე ჰომოსაპიენსს, მთავარია გაძღეს.

შემდეგი „საზვერე“:

– 147-ე სკოლის მეექვსეკლასელებს საჯარო განხილვისათვის წასაკითხად ჩამოურიგეს ჟან ჟენეს პორნოგრაფიული. თუ რა „შედევრზეა“ საუბარი, ამ მცირე ამონარიდითაც მიხვდებით: „...მოგონება, რომელსაც ჩემი ღამეების საძოვარს სიამოვნებით ვუთმობ, შენზეა, უძრავად რომ იწექი სანამ გეფერებოდი და მხოლოდ შენი ამდგარი, მოცახცახე ასო მეჭრებოდა ხახაში მაწანწალას მოულოდნელი გამხეცებით.“...

აღარ გავაგრძელებ...

დიახ, უბრწყინვალესი ლიტერატურის, უმაღლესი საკაცობრიო ღირებულებების ფლაგმან ევროპას, რისკენაც ოდითგანვე მიილტვოდა ქართველი ერი, სამწუხაროდ, დღეს უკვე სახადის ფურუნკულებივით გადმოაყარა ქართველთათვის სრულიად უცხო, ჯერ კიდევ რომის იმპერიისათვის ნიშანდობლივმა მავნე ჩვევებმა და დემოკრატიულად შეფუთულ თავის ჩამპალ ნაგავს, ფაქტობრივად, სწორედ რომ პედოფილი „მაწანწალას მოულოდნელი გამხეცებით“ ხახაში ტენის ჩვენს პატარებს. თურმე საქართველომ ამ გზით უნდა იაროს, რომ ოდესმე მისი დიდი ოჯახის წევრობის ღირსი გახდეს!..

სულშეხუთული ვცდილობ, ბებერი ევროპის ამგვარ სამყაროს გავერიდო. მეხსიერების გაფერმკრთალებული ბილიკებით, გაუცნობიერებელი ასოციაციით ისევ უკან, წარსულში გავრბივარ, ჩვენი ბებოების სპეტაკ, საკერებლებით მოჩითულ კალთას ვეხუტები და დამშეული ფილტვები სუფთა ჰაერით მევსება.

აი, ისინიც, დამძიმებულ ცარგვალს ზნეობის საყრდენებად შედგმული ნათლის სვეტები, კვლავაც



რომ კიანთობენ არცთუ შორეული წარსულიდან:

პირველი ბებო, ვისზეც ქვემოთ მოგიყვებით, ჩემი გამზრდელია...

ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. მიზეზი ქალი იყო: – უშვილო გამოდგა... სიბერეში რომ შევიდნენ (მამა I მსოფლიო ომის მონაწილე იყო) და შვილის ყოლის იმედი საბოლოოდ გადაეწურათ, ოჯახი უნაყოფოდ რომ არ გადაგებულიყო, ქალმა საყვარელი მეუღლე აიძულა, მეორე ცოლად ახალგაზრდა ქალი მოეყვანა, თავად კი, ვინ იცის, რა დიდი სულიერი მსხვერპლის ფასად, ბებიის როლი ნებაყოფლობით იტვირთა... ხუთი ბავშვი გავჩნდით ოჯახში და იმ მადლიანმა მოხუცმა სვანური „ზანგლი-ზანგლი, კაულდაშისა“ და „ნანაილა-ნანილას“ სიმღერით ყველა თავის კალთაში გამოგვზარდა. (დროში დაკარგულივით ვიყავი: როგორი ამბავია, ერთი ციდა ღლაპი, ლამის გაჭაღარავებულ ბიძაშვილებს, ბიძად მოვერგებოდი!..). ქალები, ვინც ბებოს სიცოცხლის ბოლო წუთებს შეესწრნენ, გაოცებულები ყვებოდნენ: სული რომ ამოუვიდა, ოთახში ეკლესიასავით საკმევლის სურნელება დატრიალდაო და ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი, თუმცა ერთსაც გავიხსენებ. ბებო იანვარში გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, სვანური ზამთარი რა ულმობელია; თანაც, გასვენების დღეს იმისთანა არნახული ქარბორბალა დატრიალდა, თოვლის კორიანტელში აღარაფერი ჩანდა. ხალხი საგონებელში ჩავარდა: სასაფლაომდე მიღწევა შეუძლებელი იყო... მაგრამ, ზუსტად ნაშუადღევს, მოულოდნელად ცა გაიხსნა და მზემ გამოანათა. მახსოვს, ამ სასწაულის მხილველები, ჩემი მოხუცის გალეულ, წმინდა ცხედარს პირჯვრისწერით მიაცილებდნენ მარადიული სამყოფისაკენ...

მომდევნო ბებო მეზობელი სოფლიდან იყო, – მარხული. უშვილობამ მთელი სიცოცხლე უნაყოფო ქალის ტვირთი ზიდა და საფლავშიც ამ სახელით ჩავიდოდა, რომ არა ერთი შემთხვევა... უკვე მძიმედ დაავადებულის გასინჯვისას ექიმები გაოგნებული დარჩნენ: – დედაბერი ქალწული აღმოჩნდა!.. მოხუცი იძულებული გახდა, ეღიარებინა უდიდესი ცოლ-ქმრული საიდუმლო, რომელსაც მთელი სიცოცხლე მალავდა: – ქმარს კაცობა არ ჰქონია და ნამუსი შევუნახეო. იმ ფონზე, როცა ჩვენი გალიბერასტებული ქალები ქმრებს თუ საყვარლებს ლამის სეზონურად იცვლიან, არის თუ არა იმ ბებოს ასკეტური პატიოსნება უდიდესი მორალური თავგანწირვის მაგალითი, როცა ქმარს კაცის სახელი ბოლომდე შეუნარჩუნა და არც სხვასთან უღალატა? ვფიქრობ, რომ – არის!

აი, კიდევ ერთი შუბლნათელი ბებო:

... ეს წლების უკან იყო. განათლების სამინისტროდან ახმეტაში მივლინებულ ჯგუფს „მნათობის“ რედაქციიდან კორესპონდენტად გამაყოლეს. ალვანის სკოლის დირექტორს ვეკითხები: არაქართველი ბავშვები თუ გყავთ-მეთქი? არც ერთიო!.. – მპასუხობს. გამიკვირდა: – როგორ, აქაური მეზობლებიდან, ოსი, ქისტი, ლეკი ერთიც არ გირევიათ?!

– იი, ეგენი ხომ ჩვენები არიან! – გაიცინა, – მაგათ სხვებად არა ვთვლით.

ერთი რუსი გვყავს, მაგრამ ისიც ჩვენია. ახლავე გაჩვენებთო, – მითხრა და ცოტა ხანში ჭორფლიანი ქერა ბიჭუნა წარმომიდგინა. რუსულად რომ დაველაპარაკე, ბავშვი გაწითლდა, უხერხულად გაიღიმა და დირექტორს მორცხვად შეაჩერდა.

– მაგდენი რუსული არ იცის... წადი, შვილო, კლასში, – დირექტორმა ბიჭუნას თავზე ხელი გადაუსვა და გაუშვა. – მაგის ამბავს მე მოგიყვებით: სამხედრო სამსახურში მყოფმა ჩვენებურმა თუშმა რუსეთიდან ცოლად ბავშვიანი ქალი ჩამოიყვანა. საწყალი ბიჭი მალევე ავარიაში დაიღუპა... ამ ბავშვის დედამ დაჰკრა ფეხი და უკანვე გაიქცა, ეს წლინახევრისა მიატოვა. ახლა დაღუპულის მოხუცი დედა ზრდის და ამან არც კი იცის, მისი ღვიძლი ბებო რომ არ არის...

დიახ, სხვა ეთნოსებისადმი ასეთი შემწყნარებლები ვართ ქართველები, რის დასტურადაც თუნდაც შუაგულ თბილისში უძველესი საკულტო ნაგებობების, ოთხი რელიგიის სიმბიოზური თანაარსებობის ფაქტიც იკმარებს. ნუთუ, ამას ჩვენს მოსათვინიერებლად მოსული დემოკრატიის ევროატლანტიკელი ექპორტიორები ვერ ამჩნევენ, ან იქნებ სულაც ანაქრონიზმად ეჩვენებათ? ასე რომ არ იყოს, ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც იტყოდნენ: – ამდენი ზეწოლისა და თავში ჩაჩქუნის შედეგად, ვაითუ, საკუთარ ქვეყანაში უკვე ქართველები დავაყენეთ რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობებად ქცევის საფრთხის ქვეშ და ერთხელ ეს საწყლებიც დავიცვათო!..

უცხოეთის საელჩოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში უწყვეტ ნაკადად მიედინება ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი, სინამდვილეში ქვეყნის შემარცხვენელი სულმდაბლური „დანოსები.“ გაიხსენეთ, თუნდაც, ჩიორა თაქთაქიშვილის სიხარულით გაბადრული სახე, როცა ევროპარლამენტა-

რებმა სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცები პოლიტპატიმრებად წარმოადგინეს. დიახ, უბედური საქართველოს „ბედნიერი შვილები“: იქ ტვინნაღრძობი ჩიორები და კანდელაკები, აქ არასამთავრობოებში შემძვრალი გრანტითქვლეფიები თუ კოჰაბიტაციით გააქტივებული ნაციონალი გვამები ზეიმობენ და სიხარულით ჭყლოპინებენ: – „ივანიშვილს დედა ეტირაო!..“ მათმა რუპორმა რუსთავი 2-მაც ხელისუფლების მიმართ ყოველდღიურად გესლი თუ არ ანთხია, ალბათ, გაბრაზებული მორიელივით თავს დაიკბენს და საკუთარი შხამი მოუღებს ბოლოს.

შურისძიებით დაბრმავებულები რას შეისმენენ. არც ის მინდა, უკრაინაში ვიღაცის ფარული მოსმენის გახმაურებული ჩანაწერის ავთენთიკურობა ვირწმუნო, სადაც სააკაშვილი ყოყლოჩინობს – „კარლ ბილდტი ჩემი შეგდებულიაო“, მაგრამ ზოგიერთი სახალხო პარტიელი ევროპარლამენტარისგან კი გამკვირვებია: ქართველებმა ისეთი რა დაგუშავეთ („რა კომბოსტო მოვუჭამეთ“), რომ საჩვენოდ კეთილი სიტყვა ერთხელ არ წამოსცდებათ? ნუთუ, მათსავე საშობლო ქვეყნებში რომელიმე სახელისუფლებო ბანდას, აქაურის მსგავსად, უდანაშაულო ხალხის სისხლის გუბეები რომ დაეყენებინა, გენოციდის ავტორებს იქაც დაიცავდნენ და პოლიტპატიმრის სტატუსს საახალწლო საჩუქრებივით ჩამოურიგებდნენ?

რა დაერქვას, როცა ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი, ვოლფრედ მარტენსენი სააკაშვილს „ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებასავით“ უპატაკებს: „არჩევნებში შენს გასამარჯვებლად ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ახლა კიდევ უფრო მეტს ვიმუშავებთ მხარდასაჭერად და მომავალში გასამარჯვებლად!“ ანუ ხელისუფლებაში დასაბრუნებლადო?..

ახლაც გამოხტნენ ვიღაცები: – გავჩუმდეთ, მეგობარ ევროპელებს ნუ გავაღიზიანებთ, მოვითმინოთო. კი, ბატონო, გაჩუმდნენ პოლიტიკოსები, მაგრამ მათთან შედარებით, ჩემი, როგორც რიგითი მოქალაქის ერთადერთი უპირატესობა ის მგონია, რომ ამგვარი პირმოთნეობისგან თავისუფალი ვარ, მით უფრო, – სააკაშვილის რეჟიმისგან უსამართლოდ დასჯილი და დაზარალებული. გემახსოვრებათ, ნაცები ირაკლი ბათიაშვილზე ჩასაფრებულები იყვნენ და ჟურნალისტთა სახლში ემზარკვიციანისთვის ერთი გასამხნევებელი სიტყვის შეთვლისთვის („გამაგრდიო!“) დააპატიმრეს და ეგრევე ოთხი წელი მიაკერეს. კვიციანის გამოსარჩლებისთვის მაშინ მე ინკოგნიტოდ გამაფრთხილეს „აქტიურობას შეეშვიო!“ შემდეგ საპროტესტო მიტინგებზე თურმე მთავრობის სახლის სახურავიდან „გვაკარტოჩკებდნენ“; ოპოზიციის ლიდერებთან „ჩაზდრასტებულიც“ დამაფიქსირეს და მიზეზად მეტიც რა უნდოდათ? მეც, ბევრ სხვასავით, მტაცეს ხელი და ყურით მოთრეული ბრალდებით, ხუთწლიან პატიმრობას მისჯიდნენ, მაგრამ იმდენად უსუსური არგუმენტები იყო, პატიმრობა „დიდსულოვნად“ ექვსწლიანი საპროცესოთი შემიცვალეს და ყაჩაღურად შეწერილი ჯარიმა ყულაბაში ჩაიჩხრიალეს. მთელი ცინიზმი კი ის არის, რომ ხელისუფლებამ „დამნაშავე“ კაცი, სასჯელთან ერთად, იმხანად, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის „ამაგდარის“ საპატიო სიგელითაც დამაჯილდოვა. აი, ასე ცინიკურად ერთობოდნენ ადამიანთა ბედით!..

გახსენებაც მზარავს: ის წლები ჩემი ოჯახისათვის უმძიმესი კოშმარი იყო!..

მახსოვს, პერანგიდან, რომელიც იმ წყეულ სასამართლო პროცესებზე მეცვა, ჩემმა მეუღლემ ჭირის ოფლი ვერაფრით ამოიყვანა. კი ვამბობთ: „ვინც მოითმენს, – მოიგებსო“, მაგრამ ტკივილის მოთმენამ სენის უფრო შორს წასვლა და გაარჯლება რომ იცის, საკუთარ თავზე გამოვცადე. ცოტაოდენ შვებას ის მგვრიდა, რომ ჩემს სათქმელს (თუმცა შიშით, შეფარვით და სხვისი სახელით) პრესაში პარტიზანულად აქა-იქ მაინც ვახმოვანებდი, გულს ვიოხებდი. ხოლო როცა

სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა, როგორც იქნა, დაემხო, შემდგომ პუბლიკაციებს ავტორის ვინაობასთან თიკუნად ვურთავდი „რიგითი პოლიტპრობაციონერი“-მეთქი, რაც ჩემს კოლეგებს ხუმრობა ეგონათ (რეჟიმის მამხილებელ იმდრიონდელ პუბლიცისტურ წერილებს, თუ დამცალდა და სახსარიც მომეცა, უკვე ჩემი სახელით, ოდესმე, ალბათ, ცალკე წიგნადაც გამოვცემ).

სააკაშვილის ისტერიულმა ამოჩხავლებამ – „ყველანი ციხეში!“ – ხელ-ფეხი გაუხსნა სრულ განუკითხაობასა და სახელმწიფო ტერორს. მისმა ემისრებმა ჩემს დღეში და ბევრად უარესშიც, ასიათასობით ადამიანი ამყოფეს და წამების ახალ-ახალი ხერხების გამოგონებით, ჰიტლერელ და ისლამისტ კანიბალებს როდი ჩამოუვარდებოდნენ. ვიმედოვნებ, ფატუ ბენსუდას ოფისი, ადრე თუ გვიან,



აგვისტოს ომის შემდგომი იმ საზარელი მკვლელობებითაც დაინტერესდება, როცა სააკაშვილის ბანდა, საკუთარი დანაშაულებრივი კვალის დასაფარავად, „მუხროვანის ამბოხის“ და ჯაშუშობის ცრუ ბრალდებით სასტიკად გაუსწორდა ღვაწლმოსილ სამხედრო მაღალჩინოსნებს: ვინ გია კრიალაშვილისა თუ ორმოცტყვიადახლილი როინ შავაძესავით ჩაცხრილეს, ვინ პოლკოვნიკ თეთრაძესავით ცოცხით გაუპატიურების წამებისას შემოაკვდათ და ვინ დათო ცინდელიანივით ლოდშებმული ჩაახრჩვეს შავ ზღვაში...

სისხლით მთვრალი ურჩხულები წლების მანძილზე ჯოჯოხეთში გვაცხოვრებდნენ, მაგრამ დემოკრატიული სამყარო ამ ყოველივეზე რატომღაც დუმდა... ჩვენმა „კეთილისმყოფელებმა“ ენა მოგვიანებით ამოიდგეს, მაგრამ თანაგრძნობის ნაცვლად, კოჰაბიტაცია შემოგვაჩეჩეს. იმპერატიულად მოითხოვეს, დამნაშავეებს შევურიგდეთ, ჩავეხუტოთ, მათთან ვითანამშრომლოთ, მთელი ერი აბსურდის თეატრის მარიონეტებად გვაქციეს და უკვე ვეღარ გამიგია, ამ უბედურ ქვეყანაში რა სახის წყობილებას ამყარებენ: დემოკრატიულს თუ დემონკრატიულს? ბარემ, რუსებისგან გავლებული მესერი ბოლომდე შემოემრგვალებინათ, საქართველო ერთ მთლიან ფსიქიატრიულ ზონად გამოეცხადებინათ, სააკაშვილადეიშვილები პოლიტდევნილებად, ხოლო წამების უშუალო შემსრულებელი გაქცეული ჯალათები, „რეჟიმის მსხვერპლად“ გვეღიარებინა!.. ამდენი უსამართლობით, უაზრო წაჯექ-უკუჯექობით ხალხი დაიბნა, გამოიფიტა, იმედგაცრუებამ იმძლავრა და უკვე იმის შიშიც მუსირებს, ბნელი ძალები „ოვერტონის სარკმელს“ და „დალესის დოქტრინას“ საექსპერიმენტოდ ქართველ ერზე ხომ არ ცდიანო?!

ახლა იმასაც ვფიქრობ, ევროპარლამენტარ ბატონებს: კარლ ბილდტს, სარიუშ ვოლსკის და პედრო აგრამუნტის (ვინც თავისი პრეზიდენტობა რატომღაც საქართველოზე უარყოფითი რეზოლუციით დაასიფთავა), გულს თუ მოესალბუნებოდათ თანამედროვეობის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, – **შიმონ პერესის** სიტყვები: „ისტორიისთვის ოქროს მედალს რომ ანიჭებდნენ, საქართველოს მისცემდნენო“... ანდა, მათივე კოლეგა **ანდრეს მამიკინსის** სიმართლით, პასუხისმგებლობით ნათქვამი: **„ჩვენ დემოკრატიის შუქურა ვართ, მაგრამ ვის ვასწავლით ჭკუას? – საქართველოს, რომელიც ევროპული ცივილიზაციის აკვანია და რომელსაც სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ისტორია აქვს?“**

მართლაც, ხომ არ აჯობებდა პატივცემული ბატონები ამ ქვეყნის რეალური პრობლემებით დაინტერესებულიყვნენ და თუნდაც იმ მიზეზებზე გულშემატკივრულად ემსჯელათ, რამაც ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა ლამის ექვსი მილიონიდან ერთბაშად სამ მილიონამდე შეამცირა, უშუალოდ ქართველებისა კი – კატასტროფულადაც? „გაერომაც“ უდრტვინველად შეგვიტანა „მომაკვდავი ერების“ სიაში და მალე, ალბათ, მორგისკენაც უნდა წაგვაცუხცუხონ? ნუთუ, კაცობრიობას არაფრად უღირს მშვიდობიანი ქართველი ერი, ვისაც, უგრძესი ისტორიის მანძილზე, ბევრისგან განსხვავებით, დედამიწა ცოდვებით არ დაუმძიმებია, სხვის მიწისკენ თვალი არ გაუპარებია, მხოლოდ თავის სამკვიდროს იცავდა და მუსულმანურ ოკეანეში მარტოდ შთენილი, ფარად და მახვილად ერთადერთს – სარწმუნოებას იშველიებდა? არადა, ისე გამოდის, რომ ჩვენი ბედით არავინ ინტერესდება და მეტიც: აღმოსავლურ ბრმა დესპოტიზმს ამ ქვეყანაში თუ რამ გადაურჩა, იმას უკვე განათლებული, მაგრამ ზნეობრივად გადაგვარებული დასავლური ნეოლიბერალიზმი ანგრევს და აქ მხოლოდ მართლმადიდებლობასთან გააფთრებულ ბრძოლას არ ვგულისხმობ; თავს გვახვევენ ისეთ საეჭვო დირექტივებს, თუნდაც – ერთსქესიანთა ქორწინებას, რაც ისედაც მცირერიცხოვან ქართველთა არსებობაზე დამღუპველად აისახება.

დიახ, მოდის, სოდომია მოდის და მისი შხამიანი სუნთქვა, ჰომეროსის შემდეგ, უკვე ამირანის მშობელ მიწაზეც იგრძნობა. ჩვენებურ ნეოლიბერალებსაც (სახალხო დამცველიანად) „ვალპურგის ღამის“ ავსულებივით გაუხარიათ და მათმა ორკესტრირებულმა ბაკქანალიამ, რატომღაც, ცხონებული ქართლოს კასრაძის ხუმრობა გამახსენა, მექორწილეებს ხორცით მოპირთავე-

ბული, ოხშივარადენილი ლანგრით ხელში რომ მიმართავს: „გაიხარეთ, ჯეილებო, მოდის ხაშლამა ძღვენივითა!..“ (ცენზურა ჩვენია).

მაინც რას ფიქრობენ მამონაზე სულმიყიდული „ძღვენიჭამიები“, ვინც ნაცვლად იმისა, რომ ევროპული კულტურის ქართულთან ჯანსაღ საწყისებზე შერწყმა-გამდიდრებასა და ჰარმონიზაციას ესწრაფვოდნენ, ყოველგვარ ეროვნულს წიხლი ჰკრეს და ჩვენი უნიკალური, მამაპაპური ზნე-ჩვეულებების დამცველებს (თოფაძე-მეჭიაური და სხვ.) ნასუფრალს ნაჩვევი ტურებივით აუწკავწკავდნენ. ყველაფერს რომ შევეშვათ, მათეული ცალმხრივი, სულ-ხორციანად გამხრწნელი ნოვაციებით, ტრადიციების ერთგულ ოს და აფხაზ ხალხს, შემორიგების ნაცვლად, უფრო არ გავიუცხოებთ? თუმცა, აქედანვე ვიცი მათი პასუხი – „აი, დარდიო!..“ დაკარგული ტერიტორიები რომ სააკაშვილივით „ქვების გროვაზე“ მეტად არ უღირთ, „კოჭებში“ არ ეტყობათ?

დასკვნისთვის ერთსაც დავამატებ: ვიდრე ხამებივით თავს გავიგიჟებდეთ და გრანტითქვლეფია „ნასედკა“ ენჯეოებსა თუ სულგაყიდულ ნეოლიბერალ პოლიტიკოსებს ჭკუას ავაყოლებდეთ, ეგებ ისიც გაგვესიგრძეგანებინა, დღეს ვინ ვის უფრო სჭირდება: ქართველებს იმგვარ ღირებულებებზე ორიენტირებული დასავლეთი, თუ დასავლეთს – ამგვარი საქართველო, რომელსაც თუნდაც ისეთი ბებოები ჰყავდა, ზემოთ რომ ვახსენე: მართლაც რომ „ეკლესიანი ხორცთანი“, ვისი ბიოგრაფიებით, შესაძლოა, წმინდანთა ცხოვრების მსგავსი ტომებიც კი აიკინძოს...

დიახ, არცთუ დიდი ხნის წინ, საქართველოში ურთიერთზრუნვა და სიყვარული ისეთ მაღალ რეგისტრში იყო აყვანილი, რომ არათუ ბავშვებს, უპატრონო მოხუცს ვერ ნახავდით. მაგრამ, აბა, დღეს თუნდაც „კათარზისში“ შეიხედეთ, რამდენი უპატრონო ბებია-ბაბუაა იქ თავმოყრილი!.. შეიხედეთ და კარგად დაიმახსოვრეთ მათი სახეები. თუ ვინმეს გაგიმართლებთ და **შემთხვევით** სამოთხეში მოხვდებით, მეგზურს დაუკვირდით: შესაძლოა, ამ მოხუცებიდან რომელიმე ამოიცნოთ...

„შემთხვევით“ – რადგან... „ფრთხილად, კარები იკეტება!“

მირონ ხერგიანი
მწერალი. პუბლიცისტი.
სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი.
„ღირსების ორდენის
კავალერი“

„საკუთარი ქვეყნის დამსმენებს, საქართველო მოუკითხავს დამსმელებს“!

უახლოეს ხანში, სავარაუდოდ, ლგბტ-დეპარტამენტიც გვექნება?

ევროპული კომისიის მიერ (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. მოხსენება საქართველოს შესახებ. მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს) 2016 წლის 1 მარტს გამოქვეყნებულ მოხსენებას დიდი ხმაური და დისკუსია მოჰყვა.

მოხსენება იწყება სარჩევით და მოჰყვება წინასიტყვაობა, საიდანაც კიდევ ერთხელ ვიგებთ, რომ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) დაარსებულია ევროპის საბჭოს მიერ; რომ ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, ასევე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი წევრებისგან შემდგარი, რომლებიც ინიშნებიან მორალური ავტორიტეტისა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში გამოცდილების საფუძველზე; წესდებით დადგენილ საქმიანობათა ფარგლებში ECRI ახორციელებს მონიტორინგს ქვეყნების მიხედვით, იძლევა წინადადებებსა თუ შეთავაზებებს გამოვლენილ პრობლემათა დაძლევისთვის; მონიტორინგი ქვეყნების მიხედვით თანაბრად ეხება ევროპის საბჭოს თითოეულ ქვეყანას; სამუშაო სრულდება 5 წელიწადში ერთხელ და მოიცავს 9-10 ქვეყანას წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ ECRI-ის ანგარიშები არ ეფუძნება დაკითხვებსა და მოწმეთა ჩვენებებს. ეს არის ანალიზი, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე. დოკუმენტაციის შესწავლა ხორციელდება დიდი რაოდენობით ადგილობრივი და საერთაშორისო წერილობითი წყაროს საფუძველზე. ადგილზე ვიზიტები უშუალოდ დაკავშირებულია მხარეებთან (სამთავრობო თუ არასამთავრობო), რაც დეტალური ინფორმაციის შეგროვების მიზანია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ვინაიდან არსებული ხელისუფლება ქვეყნის გარეთ ენატანიობის მისწრაფება-ჩივილში არ არის შემჩნეული, პირიქით, მუდმივად თავისმართლების მდგომარეობაშია ჩაყენებული „კარგად ცნობილი ვიღაცების“ მხრიდან, ეჭვმიუტანელია. ამდენად, საზოგადოება მოითხოვს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალს, რომლებიც იმ ტიპის დეზინფორმაციებს გადასცემენ ევროკომისიის წარმომადგენლებს, რაც ცალსახად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ხალხი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვას მოითხოვს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან შეფარული ქუდის ქვეშ ქვეყნისთვის საშიში დაფარული მიზნების განსახორციელებლად.



კომისია საყვედურებსა და შენიშვნებს იმ რეკომენდაციების შეუსრულებლობისთვის გვიწერს, რომელსაც ითვალისწინებს „ევროპის ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ“., ხოლო ამ „სწავლებების“ დანერგვისა და გაღრმავებისთვის რომელი „ენჯეოები“ იღებენ გრანტებს, ყველამ იცის. ამდენად, განა საკითხავიღაა ვინ არიან ისინი, განუწყვეტლივ რომ აგზავნიან რაპორტებს, სრულიად საქართველო შეპყრობილია სხვადასხვაგვარი ფობიებითო?

უპირველესი პროტესტი და მოხსენების სრული ტექსტით დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ **ევროპული კომისიის შეფასებასა და რეკომენდაციებში საქართველოს პატრიარქი დადანაშაულებულია სიძულვილის ენით საუბარში** – უწმინდესმა, თურმე ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“ უწოდა, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“.

რა თქმა უნდა, ამით არ მთავრდება და არ იწყება მოხსენება.

უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში გვაქებენ კიდეც (მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება არის აღნიშნული, კონცეფციები და რაღაც გეგმები), თუმცა, მიღწეული „წარმატებების“ მიუხედავად, კვლავ რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც თურმე მათ შეშფოთებას იწვევს:

სიძულვილის ენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ;

ლგბტ პირების წინააღმდეგ კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემა, ამ ჯგუფებზე შემაშფოთებელი სიხშირით გავრცელებული თავდასხმები;

მუსლიმთა და იეღოვას მოწმეების რელიგიის თავისუფლება არა ერთხელ შეიბღალა ადგილობრივთა ძალადობრივი პროტესტით;

ასევე, ქართულ საზოგადოებაში არის ჰომო და ტრანსფობიური კლიმატი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღეს გამართული საჯარო ღონისძიება.

საქართველოს ხელისუფლების პასუხები ამ ინციდენტებზე არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად. ხელისუფლების ორგანოები ყოველთვის საკმარისად არ იძიებენ და სამართლებრივად არ დევნიან სიძულვილით ჩადენილ დანაშაულს.

რაც ამ ჩამონათვალშია, ამ საკითხებზე ცრუ მომჩივანებს და ენისმომტანებს რომელი ენით უნდა დაელაპარაკო, ნეტავ? ამ ჭორიკნობას საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ თუ მტრობის გამოვლენა არ ჰქვია, სხვა რა ჰქვია?

ჩივილი და „საქმის გარჩევა“ არ დასრულებულა, ოღონდ ჩივილი და ენის მიტანა იყოს, ქოთანს ყური ყველა მხრიდან ებმის. მაგალითად, თურმე:

არაერთ შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიყენეს კანონი რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად.

ამის მსგავსად – მოძალადე პროტესტანტებისგან არ დაიცვეს ლგბტ ორგანიზაციების უფლება, მოაწყონ მშვიდობიანი საჯარო ღონისძიებები. მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ უზრუნველჰყვეს ლგბტ პირებისა და მათ მხარდამჭერთა უსაფრთხო ადგილზე გაყვანა.

მთელ მოხსენებას რა მოიყვანს ნიმუშად, როცა ჯერ მხოლოდ წაკითხვა იყო ნერვების დასაწყვეტი, მაგრამ ვფიქრობთ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ყველაფერი ის, რაც მას ეხება. (ვრცლად თავად იხილეთ)...

2009-2014 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები თავდაპირველად კარგად დაწყებულა, მაგრამ მასშტაბები დაჰკლებია ხელშესახები შედეგების მისაღებად, მაგალითად: უმცირესობათა განათლების ხარისხის გაუმჯობესების სფეროში; უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სოციალურ მომსახურებათა ხელმისაწვდომობის შესახებ და სოციალურ-ეკონომიკური გარიყულობის შემცირება;

გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა მესხების რეპატრიაციასა და ინტეგრაციის განსახორციელებლად.

თავიდან ბოლომდე რომ გულდასმით მიჰყვები ადამიანი მოხსენების ტექსტს, იგრძნობ, რომ ცოტა შექანდი, რადგან ხან ბრაზი შეგიბყრობს უილაჯობის გამო, ხან საკუთარი სამშობლო შეგეცოდება, უეცრად კი, შეიძლება, სიცილიც აგიტყდეს თითიდან გამოწოვილ რეკომენდაციებზე, შენიშვნებსა თუ რჩევებზე.

მომდევნო პუნტები მიყოლებით ეხება ლგბტ თემას და პუნტი #37 სიძულვილის ენის გამოვლენაში პირდაპირ ადებს ხელს საქართველოს პატრიარქს!

აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ კიდევ რა სინდისით უნდა თქვან ცალკეულმა პარლამენტარებმა ან განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა, რომ სკოლებში აღნიშნული მიმართულების ახალი საგნების, მათ შორის საგანი „მე და საზოგადოება“ დაკვეთა არ არისო?

უახლოეს ხანში, სავარაუდოდ, ლგბტ-დეპარტამენტიც გვექნება?

ამასწინათ „ფეისბუქში“ წავიკითხე: „საკუთარი ქვეყნის დამსმენებს, ერთხელაც საქართველო მოუკითხავს დამსმელებს“! მომეწონა და ამიტომაც ავირჩიე წერილის სათაურად.

გიორგი ჩხეიძე

სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ გაჩერებაზე გააჩერებენ?

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „გაჩერება აკრძალულია“ ნიშნის მოქმედების ქვეშ პარკირება გამკაცრდა. თუ თქვენი არასწორად გაჩერებული ავტომობილი არ აფერხებს მოძრაობას, მხოლოდ 10 ლარით დაჯარიმდებით. თუ ავტომობილი გაჩერებულია ნიშნის მოქმედების ზონაში და წესების დარღვევის გარდა მოძრაობას აფერხებს, მძღოლი დაჯარიმდება 200 ლარით. შესაძლოა, 200 ლარით დაჯარიმდეთ მაშინაც თუ კი თქვენი მანევრირება, დგომა-გაჩერება და ა.შ. ქალაქში მოძრაობის შეფერხებას გამოიწვევს. საცობებისგან ქალაქის განტვირთვის მიზნით დაწესებულმა ჯარიმებმა სამარშროტო ტაქსების მძღოლთა განაწყენება გამოიწვია. „საერთო გაზეთს“ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი და მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხუციშვილი ესაუბრა:

– გარაჟში არავის გავუფრთხილებივართ, რომ საგზაო მოძრაობის წესებში რამე შეიცვალა, თუმცა ბოლო ხანებში მძღოლებისგან ჩივიან, რომ პატრულმა გააჩერა და გააფრთხილა, გაჩერების გარდა, არსად გაჩერდეთ, თორემ 200-ლარიან ჯარიმას გამოგიწერთო. ავტობუსის გაჩერებებზე კი ისეთი ამბავია, მარშუტკა კი არა, ავტობუსებს უჭირთ შესვლა. მძღოლები გაურკვეველ სიტუაციაში არიან, ვერ გაიგეს, სად შეიძლება გაჩერება და სად არა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს პრობლემები არ აკლიათ და კიდევ უმატებენ. თუნდაც 50 ნომერი მარშუტის მძღოლების პრობლემა ავიღოთ. ის ზოლი, სადაც მგზავრები აგვყავდა, საგზაო სამუშაოების გამო გადაკეტილია და მანქანები სანახევროდ ცარიელები დადიან, მაგრამ ეს ამბავი, რატომღაც, არავის აინტერესებს. მეტიც, არაფრის გაგონება არ უნდათ და მძღოლებისთვის დაწესებული ყოველდღიური გადასახადის 10 ლარით გაზრდას აპირებენ. მძღოლებს პატრონი და დამცველი არ გვყავს და არ ვიცით, დახმარებისთვის ვის მივმართოთ. მოგეხსენებათ, რომ წინა ხელისუფლების დროს ჩატარებული ტენდერის საშუალებით, მესაკუთრეებს ხაზები წაგვართვეს. ოჯახები რომ ვარჩინოთ, ახლა მძღოლებად გვიწევს მუშაობა, მაგრამ ამაზე საწყენი წინასაარჩევნოდ გაცემული ტყუილი დაპირებებია.. გემახსოვრებათ, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი ყველა აქციაზე ჩვენს გვერდით იყო და ამბობდა, თქვენთვის ხაზების წართმევა და შარანგიებისთვის მიცემა უკანონოდ მოხდა და ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ყველაფერს გამოვასწორებთო. რა გამოასწორა? ახლა თურმე ამბობს, რომ ის ტენდერი კანონიერად ჩატარდა. ამის შემდეგ ვისი იმედი უნდა გვქონდეს?

სამარშრუტო ტაქსებისთვის დაწესებულ რეგულაციებს მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარეც აპროტესტებს. ნიკოლოზ კაჭკაჭური განმარტავს, რომ ქალაქის საცობებისგან განტვირთვის ასეთი მეთოდი უფრო დიდ ქაოსს და არეულობას გამოიწვევს, რადგან ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გაჩერებისთვის გამოყოფილი ადგილები ავტობუსებისთვისაც არაა სამყოფი და იქ სამარშრუტო ტაქსების შესვლა შეუძლებელია. ამის გარდა, სამარშრუტო ტაქსის მთავარი უპირატესობა თავისუფალი გაჩერებებია და ამის აკრძალვით, პირველ რიგში, მგზავრს დავაზარალებთ.

– როგორც ჩანს, სამარშრუტო ტაქსებისთვის დაწესებული შეზღუდვების არეალი გაფართოვდა. ვაკეში და რუსთაველზე აღარ არის საუბარი, მგზავრის აყვანა უკვე მარტო ავტობუსის გაჩერებებზე შეუძლიათ. ბოლოს და ბოლოს, მძღოლებსაც და მგზავრებსაც გაგვაგებინონ სამარშრუტო ტაქსი მიკროავტობუსია თუ ავტობუსი. დაუდგინონ გაჩერებები და მარტო იქ გაჩერდებიან. ჩემი ინფორმაციით, ბოლო დღეებში ავტოფარეხებში 200-ლარიანი, 100-ლარიანი და 20-ლარიანი ჯარიმები შევიდა. თურმე, ახალი რეგულაციებით, სამარშრუტო ტაქსს პარკირებასთან გაჩერების უფლება არა აქვს. ეს მეორე ზოლში გაჩერებად ითვლება და 200-ლარიან ჯარიმებს ითვალისწინებსო. გამოდის, რომ მარტო ავტობუსის გაჩერებაზე უნდა გააჩერონ. წარმოგიდგენიათ, ამდენი მიკროავტობუსის პირობებში, ეს რას გამოიწვევს? ავტობუსებს ისედაც ძალიან პატარა გაჩერებები აქვთ და ორი ავტობუსი რომ შემოდის, მესამე ვეღარ აჩერებს. სამარშრუტო ტაქსებზე საუბარი ზედმეტია. ვიღაცას ამის დანახვა არ უნდა და მარტო ჯარიმების დაწესებაზე ფიქრობს. ათზე მეტი მძღოლი ვიცი, რომლებსაც 200-ლარიანი ჯარიმები გამოუწერეს. მძღოლები გადარეული არიან. მთელი თვე შეუსვენებლად უნდა იმუშაონ, რომ ეს 200 ლარი გადაიხადონ. რა ქნან? მეტროს თანამშრომლებივით გაფიცვისთვის მზადება დაიწყონ?

– **გასაგებია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველგან გაჩერება საცობების წარმოქმნას ხელს უწყობს და საბოლოოდ, ქალაქიც ზარალდება, მძღოლიც და მგზავრიც.**

– ჩვენ ბევრი გვისაუბრია მოუწესრიგებელ გზებზე, პარკირებაზე და შუქნიშნებზე. აუცილებელია, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში გატარდეს ცვლილებები და საგზაო ნიშნების, შუქნიშნების და პარკირების ადგილები გადაიხედოს. სატრანსპორტო ინფრაქსტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს და კერძო ტაქსებს მუშაობის გრაფიკი უნდა დაუდგინონ. „საცობებს“ ეს უშველის და არა მარჯვენა-საჭიანი მანქანების აკრძალვა და მგზავრებით სავსე მიკროავტობუსისთვის გასაჩერებელი ადგილის შეზღუდვა. უნდა შეიქმნას კომისია და შეისწავლონ გაჩერებები. მიშას შადრევნები რომ სიცილად არ გვყოფნიდა, ახლაც მიშა ხომ არ არის? ავლაბარში, მეტროს წინ რომ უზარმაზარი შადრევანია და წყალიც არა დგას შიგნით, ცოტა დააპატარაონ მაინც, რომ მანქანებმა თავისუფლად იმოძრაონ. აღარაფერს ვიტყვი, პირდაპირ ტროტუარებზე აშენებულ ახალ კორპუსებზე, გზას რომ ავიწროვებენ და საცობებს ქმნიან. ამაზე იფიქრეთ ბატონებო და არა იმაზე, ისედაც გაუბედურებულ მძღოლს კიდევ რა წაგლიჯოთ და როგორ გაატყავოთ.

მძღოლების პრეტენზიებზე კომენტარისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დავუკავშირდით. უწყებიდან მიღებული წერილობით პასუხის თანახმად, შსს სამინისტროს საპატრულო პოლიცია იძულებულია გაამკაცროს ადმინისტრირება ისეთ დარღვევებზე, რომლებიც იწვევს საგზაო მოძრაობის შეფერხებასა და ე.წ. საცობის შექმნას.

საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულია სატრანსპორტო საშუალების დგომა-გაჩერების წესები, რომლებიც მოიცავს როგორც „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ ამკრძალავ ნიშნებს, ასევე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების დგომა ნებადართულია ერთ რიგად, სავალი ნაწილის კიდის პარალელურად, ის უნდა იმყოფებოდეს სავალი ნაწილის კიდესთან რაც შეიძლება ახლოს და ა.შ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით ადმინისტრაციულპასუხისმგებლობას იწვევს ამკრძალავი ნიშნების „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე,დგომა. გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა, რაც ითვალისწინებს ჯარიმას 10 ლარის ოდენობით.

მოქმედი კანონმდებლობით, უფრო მკაცრი ადმინისტრაციულ პასუხიმგებლობაა დაწესებული, როდესაც ზემოაღნიშნული დგომა-გაჩერების წესების დარღვევას მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რამაც გამოიწვია საცობი. ეს ითვალისწინებს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, დამრღვევი შეიძლება გათავისუფლდესადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და უფლებამოსილი პირი მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლოს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მძღოლთა მიერ მიერ დგომა-გაჩერების წესების უგულებელყოფის შემთხვევები, რაც გამოიხატება სატრანსპორტო საშუალების გზის სავალი ნაწილის სამოძრაო ზოლში გაჩერებით. იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და, შესაბამისად, მოძრაობის ინტენსივობის ზრდას, ამგვარი შემთხვევები მნიშვნელოვნად აფერხებს საგზაო მოძრაობას და ქმნის მისი პარალიზების მაღალ რისკს. აღნიშნული გარემოებების გამო, შსს-ს საპატრულო პოლიცია, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იძულებულია გაამკაცროს ადმინისტრირება დგომა-გაჩერების ისეთ დარღვევებზე, რომლებიც იწვევსსაგზაო მოძრაობის შეფერხებასა და ე.წ. საცობის შექმნას.

ნელი თორდია
571 35 36 88

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ

ოშხანი

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის ინტერესემოკლებული არ იქნება წერილი, რომელსაც ახლა გთავაზობთ. იგი 1945 წელს გამოქვეყნდა დიდი ქართველი ისტორიკოსების ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ავტორობით. 70 წლის წინათ გამოქვეყნებული ეს წერილი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. წერილის შესახებ ვრცელ კომენტარს გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერი ადგილი, ისინი ეძიებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ.

საქმე ეხება არა უმნიშვნელო საზოგადოებრივ ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს – ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე – დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავისი ცივილიზაციისა და სახელმწიფორბრიობის ახალ-ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადჰყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის.

ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ხეთები და სუბარები, ქართველი ხალხის უშუალო წინაპრები, პირველობენ წინა აზიაში. ამ მდინარის დიდ უბეში, რომელიც მთელი ძველი მსოფლიოსთვის ცნობილია თავისი ქართული სახელწოდებით – ღალისი (ახლა – ყიზილ-არმაკი), მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზების ზემო ნაწილში ისინი ჰქმნიან სამიწათმოქმედო და მეტალურგიული კულტურის დიდებულ კერებს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს ღირსეულად უჭირავს ხეთურ-ბარული ცივილიზაციის დროშა და ანვითარებს ამ ცივილიზაციას.

მომთაბარე დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ხალდთა სახელმწიფოს, მაგრამ ქართველი ხალხი პოულობს თავის თავში სასიცოცხლო ძალებს, რათა განავითაროს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია.

ახალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრებში, თანდათანობით ჩრდილოეთისკენ გადადიან, ურარტუს ადგილს იკავებს ქართველი ხალხის ორი ახალი სახელმწიფო – იბერია აღმოსავლეთით და კოლხეთი – დასავლეთით. ამ ახალშექმნილ ანტიკურ ქართულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანულად არიან ამოსულნი საერთო-სახალხო ძირიდან, ჯერ კიდევ უკავიათ ძველი ნაციონალური ტერიტორიის ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი. ძველ ბერძენ ავტორთა სარწმუნო ცნობებით, სასპერთა, ე. ი.იბერთა სახელმწიფო – წინა აზიის ერთი ოთხ სახელმწიფოთაგანი, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის შუა წლებში ვრცელდება კალამენიდან და ადიაბენამდე), ე. ი. მთავარი (აღმოსავლეთი) ტავრის ქედამდე.

ძველი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ II საუკუნის დამდეგს იბერიას ეკუთვნის, პარიადრის მთიანი ოლქი) – ახლანდელი სივასის ოლქის აღმოსავლეთ სექტორი, ხეთთა ძველი სამეფოს ერთ-ერთი ძირითადი რაიონი, აქ იბერია გადიოდა შავ ზღვაზე, რასაც გვიჩვენებს ტაბარანიის სახელწოდება, რომელსაც ატარებდა ქვეყანა ღალისის შესართავის აღმოსავლეთით ჯერ კიდევ სტრაბონის დროს. ძველი წელთაღრიცხვის 66 წელს მითრიდატე პონტოელს, რომელიც პომპეუსს გამოექცა, ევფრატის ზემო წელში შეტაკება მოუხდა ადგილობრივ იბერებთან, ძველი ქართული პროვინციის ხორძენე-ხოტენეს ნკვიდრ მაცხოვრებლებთან)

ტიბარინიის აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მეორე ქართული სახელმწიფო, კოლხეთი, ერთ-ერთი წინა აზიის VI საუკუნის ოთხ უდიდეს სახელმწიფოთაგან, როგორც ამას მოწმობს ისტორიის მამა – ჰეროდოტე“).

მეცნიერებას მოეპოვება სარწმუნო ცნობები კოლხეთის, ქართულად – ეგრისის, სამეფოს საზღვრების შესახებაც. ცნობილი ბერძენი მწერალი-მხედართმთავარი ქსენოფონტე, რომელიც პირადად იყო კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვის 400 წელს, ამბობს, რომ ტრაპეზუნტი და კერასუნტი (ამჟამად გორესული) კოლხეთის ქალაქებია, რომ ტრაპეზუნტის გარშემო კოლხები ცხოვრობენო. თავისი ათიათასიანი რაზმით ქსენოფონტემ მთელი თვე დაჰყო კოლხთა სოფლებში ტრაპერუნტის მახლობლად და აქედან ესხმოდა და აოხრებდა კოლხეთის სხვა ნაწილებს.

სამხრეთ, უფრო სწორად, სამხრეთ-დასავლეთ, საქართველოს მთელი ტერიტორია, – ე. ი. კოლხეთის ტერიტორია მდინარე ჭოროხის შესართავის დასავლეთით და იბერიის ტერიტორია მდინარე მტკვრის სათავისა და ჩალდირის ტბის სამხრეთით, – უძველესი დროიდანვე მთლიანად დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელნიც შემდგომ ქართველ ერად გაერთიანდნენ.

ოცდაათი საუკუნე იბრძოდა ქართველი ხალხი თავისი საკუთრებისა და თავისი პოზიციების დასაცავად. მტრულ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განედევნათ იგი მსოფლიო-ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ ქართველ ხალხს არასოდეს არ დაუკარგავს ეროვნული თვითშეგნება და ურღვევი კავშირი თავის დიად წარსულთან, უარი არ უთქვამს თავის წმიდათაწმიდა უფლებებზე. ჭარბი ძალების მოწოლით გამოწვეული უკანდახევა დროებითი აღმოჩნდებოდა ხოლმე – ქართველი ხალხი კვლავ იკრებდა ძალებს და იერიში მიჰქონდა მტერზე, ანადგურებდა დამპყრობლებს და იბრუნებდა თავის მიწა-წყალს.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში რომაელებმა მოახერხეს კოლხეთის დაპყრობა. უფრო გვიან, VI საუკუნეში, აღმოსავლეთ კოლხეთისგან შეიქმნა ლაზთა სამეფო, რომელსაც ქართველები კვლავ უწოდებდნენ ძველ ეროვნულ სახელს ეგრისს. ლაზიკა რომ კოლხეთის მემკვიდრეა და თვითონ ლაზები რომ კოლხთა პირდაპირი შთამომავლები არიან, ამას სადავოდ არავინ ხდის. ამას მოწმობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ამჟამად ლაზებმა შეცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხშიც მომხდარა“). ამის შესახებ უფრო გარკვეულად ლაპარაკობს, პროკოპის უმცროსი თანამედროვე და თანამემამულე აგათია: „ძველად რომ ლაზებს კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“. „ლაზები, – ამბობს იგივე ბიზანტიელი, – ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე, ისინი ფრიად ამაყობენ კოლხეთის ძველი სახელწოდებით და ალბათ არც უსაფუძვლოდ“...).

მაგრამ ხომ არ იყო არა მარტო აღმოსავლეთის, ისე ვთქვათ – რიონის კოლხეთი, არამედ დასავლეთის, ჭოროხ-ტრაპეზუნტის კოლხეთიც. სწორედ ამიტომ ლაზების სახელი დაერქვა დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობასაც. თუმცა დასავლეთმა კოლხეთმა ვერ მოასწრო, ლაზიკის სამეფოსთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანება.

დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობას ეს სახელწოდება შერჩა მთელს მომდევნო დროში ჭანების, ხალდების სახელწოდებასთან ერთად. X საუკუნის ქართველი მწერალი ბიზანტიელი ავტორის გამოთქმას „ლაზიკის ქალაქი ტრაპეზუნტი“, მშობლიურ ენაზე კანონზომიერად გადმოგვცემს: „ეს მეგრელთა ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტია“.

ტრაპეზუნტის იმპერიის (1004-იანი წლები) ხელმწიფეებს კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ „ლაზთა მბრძანებლებს“, ხოლო მათს სამფლობელოს ხან ლაზიკას, ხან კოლხეთს. ლაზთა ამ ტომის ისტორიული მოსახლეობის საზღვრების გამოსარკვევად კი საინტერესოა აკადემიკოს მარის ცნობა: „კონსტანტინეპოლში ლაზებს უწოდებენ თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ყველა მცხოვრებს, სამსუნელებსა და სინოპელებსაც კი... ხოლო არზრუმელები ლაზებს უწოდებენ, ერთი მხრივ – გიუმიშხანალებს, მეორე მხრივ – სანაპიროს ყველა მცხოვრებს“.).

შუა საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ბირთვად იქცა ქართლი, იბერიის ძირითადი ნაწილი. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აღმოსავლეთ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეს ვახტანგ გორგასალს (გარდაიცვალა 502 წელს), მაგრამ მისი ცდები გააქარწყლა სპარსელთა გაბატონებამ VI საუკუნეში. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება, უკვე ფეოდალურ საფუძველზე (VI საუკუნის დამლევს), და მისი პირველი წარმატებანი მდინარე მტკვრის ხეობაში შეაფერხა არაბთა მიერ დაპყრობამ. დამპყრობთადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის მთავარი ცენტრი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა.

საყურადღებოა, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოს პროვინციის სპერის (ამჟამად ასპირი) მფლობელებმა, ბაგრატიონებმა, რომელთა საკუთარი მამული მდინარე ჭოროხის ზემო წელში, ქალაქ ბაიბურთის რაიონში იყო, საფუძველი დაუდეს საერთო-ეროვნულ დინასტიას, X საუკუნის დამლევს მთელი საქართველო რომ გაერთიანა, მაგრამ ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ბაგრატიონებმა, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის – ტაო-კლარჯეთის მთავრები იყვნენ, ბრძოლით დაიბრუნეს საქართველოს მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, მეფე დავით III 979 წელს აიძულა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი დაეთმო საქართველოსთვის წინათ

ტაო-კლარჯეთი

წართმეული მისი ოლქები: კარინი (ქალაქ არზრუმის ოლქი), პარქი და აპაბუნიქი (ამ დროს უკვე სომხებით დასახლებული, ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით), უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრე ხალდოი – არიჭა (რაც ნიშნავს ხალდთა სოფელს) და კელასური (ზეკარი) არზრუმიდან ტრაპეზუნტს მიმავალ მაგისტრალურ გზაზე, ჩორ-მაარი მდინარე ჭოროხის ზემო წელში და სხვა. 80-იან წლებში დავითმა საზღვრები გააფართოვა უფრო შორს სამხრეთ-დასავლეთით, დაიბრუნა ოლქები დერჯანი (ამჟამად ტერჯანი) და ტარონი, ხოლო 997 წელს მან აიღო ქალაქი მანასკერტი (მელიაზგერდი).

ამრიგად, საქართველოს სამხრეთ საზღვრის ხაზი გადაჭიმულ იქნა ვანის ტბიდან ქალაქ ერზიჯანამდე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროებში IX-X საუკუნეებში ბრწყინვალედ გაიფურჩქნა ქართული კულტურა, რომელსაც მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. (ჭოროხია აუზის მთელ ტერიტორიაზემ მტკვრის ხეობაში არაბები ავიწროებდნენ. (ჭოროხის აუზის მთელ ტერიტორიაზე, მტკვრისა და ევფრატის ზემო წელში აგებულ იქნა მონუმენტური შენობები, თავისთავადი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები – ბანა (ოლთისის, ამჟამად ოლთის რაიონში), ხახული (თორთუმის ახლოს), ოშკი (იქვე), იშხანი, წყაროს-თავი, ტბეთი, ხანძთა, ანჩა თავისი 12 სავანით („ქართული სინა“), ოპიზა, დილის-ყანა, შატბერდი, ფანასკერტი და სხვ.

ტაო-კლარჯეთში შესანიშნავად განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა, რომლის წარმომადგენლები არიან ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა: იოანე მერჩულე, მიქაელ მოდრეკილი (ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორი), იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები და სხვ. სწორედ აქ მიიღო დამთავრებული ფორმა ფეოდალური ეპოქის საქართველოს ერთიანობის შეგნებამ.

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედებითი ძალების დიად გამოვლინებაში XI-XIII საუკუნეების მანძილზე სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პირველი ადგილი უჭირავს. საკმარისია დავასახელოთ დიდი რუსთაველი, შეუდარებელი ოსტატები: ბექა ოპიზარი და ბეშქენ ოპიზარი, ქართული ფილოსოფიური აზროვნების სიამაყე – იოანე პეტრიწი, გამოჩენილი ფილოლოგები და ისტორიკოსები – გიორგი მთაწმინდელი და ეფრემ მცირე, – რათა გავიგოთ, თუ რა შვილები მისცა დედა-სამშობლოს სამხრეთმა საქართველომ.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება შეწყვეტა მონღოლთა შემოსევამ. თითქმის ორი საუკუნე თავდადებულად იბრძოდა ქართველი ხალხი, რათა დაეცვა თავისი კულტურა და თავისუფლება.

დასავლეთს მადლობით უნდა ახსოვდეს, რომ ჩრდილოეთით დიდი რუსეთი და სამხრეთით იმ დროს ძლიერი საქართველო იქცნენ ძირითად ბირთვად, რომელმაც შეასუსტა მომთაბარე დამპყრობთა საშინელი ტალღა, მაგრამ ამან ქართველ ხალხს აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა. მეთხუთმეტე საუკუნეს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას დიდმნიშვნელოვანი ამბებით ახსოვს, საქართველო აოხრებული და სისხლით დაცლილი შეხვდა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ახლო აღმოსავლეთში თათრების ნაცვლად გამოდიან ახალი მომთაბარე დამპყრობლები – ოსმალო თურქები.

XV ს-ში თურქები უშუალოდ მოადგნენ საქართველოს, ამ დროისათვის საქართველო, გარეშე და საშინაო არახელსაყრელი პირობების შედეგად, მთელ რიგ ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებსა და სამთავროებს წარმოადგენდა. მაგრამ ამ მდგომარეობაშიც სამხრეთ საქართველოს სამთავრო სამცხე, რომლის სამფლობელო ჯერ კიდევ ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს შემომტევ მოსისხლე მტერს, კიდევ მეტიც, ამ საფრთხის სწორი შეგნება, რაც მთელ კულტურულ სამყაროს დაემუქრა, ქმნის ერთიან საგარეო-პოლიტიკურ ხაზს ქართველი მეფეებისა და მთავრებისას, რომელნიც ორჯერ შეეცადნენ მოეწყოთ ოსმალო თურქთა წინააღმდეგ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ფართო კოალიცია. ამ ცდის მარცხით დამთავრებას არ შეუსუსტებია ქართველთა ენერგია: ქართლის, იმერეთის და სამხრეთ საქართველოს შეერთებული ძალებით მათ არაერთხელ აგემეს დამპყრობლებს მწარე გაკვეთილი. მაგალითად, 1545 წელს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქების შემოსეულ დიდ ლაშქარზე ბასიანში (არზრუმის ახლოს).

ტაო-კლარჯეთი

თურქებს, რომლებმაც ამ დროისთვის დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი და ბალკანეთის ნახევარკუნძული, განზრახვა ჰქონდათ დაეპყროთ მთელი საქართველო, მაგრამ ქართველი ქალქი უმაგალითო გამძაფრებით უწევდა წინააღმდეგობას მათს ამ განზრახვას. საქართველოს ცენტრალური და დასავლეთი რაიონებიდან განდევნილმა თურქებმა მაინც შესძლეს გამაგრება სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოწყვიტეს დედა-სამშობლოს.

მაგრამ ბრძოლა შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველოს მთლიანობის შეგნება არასოდეს არ ჩამქრალა. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკისი გიორგიჯანიძე თავის თანამემამულეთა განწყობილებას გამოხატავს, როდესაც ამბობს, რომ ქართველები, რომელთაც „ქრისტეს რჯული ეჭირათ“ და რომლებიც მომწყვდეული იყვნენ ორ დიდ მაჰმადიანურ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს შორის – ბევრს ეცადნენ: აქეთ იქნიეს ხმალი და იქით, მრავალი ნაქნეშიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა და ყაენმა საქართველო შუა გაიყვეს (ავტორს მხედველობაში აქვს ირან-თურქეთის 1555 წლის ხელშეკრულება) სამცხე, ქართლი და კახეთი ყაენს (დარჩა), იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა – ხონთქარსა“.

მაგრამ საქართველო არასოდეს არ სცნობდა მტაცებელთა ამ აქტს, მას არასოდეს არ აუღია ხელი თავის ძველისძველ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე. რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატის IV სეპარატულ არტიკულში ნათქვამია: „იმპერატორი „პირობას იძლევა“, რომ ომის შემთხვევაში ყოველგვარ საშუალებას იხმარს, იარაღის შემწეობით, ხოლო ზავის შემთხვევაში – დაჟინებითი მოთხოვნით, რომ ქართლის სამეფოს დაუბრუნდეს კუთვნილი მიწები და ადგილები“.

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის XIX-XX საუკუნეების ომში და ამ ომებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმედებს ამყარებენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები – ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ, წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი – აღტაცებით მიესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. საერთო-სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუმის, არტაანისა (არდაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება, ხალხი ამაში თავისი საუკუნოებრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა.

საქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკვდილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც კი ისინი გაჩნდებოდნენ, მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდა, ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სადაც იგი წინათ სდუღდა და გადმოდიოდა. გაქრა ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურები – მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა. მოსახლეობა გაღატაკდა, მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას – მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამაპაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს.

ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამაპაპეული ადგილებიდან. იქ, სადაც VIII საუკუნეში აგებულ იქნა ბანას ტაძარი, მსოფლიო ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლი, იქ, საიდანაც XII საუკუნეში გაისმა რუსთაველის უკვდავი ხმა, სადაც XIV საუკუნეშიაც აშენებული იყო ჭულესა და საფარის დიდებული ტაძრები, თურქების შემოსევის შემდეგ და მათი ბატონობის მთელ მანძილზე, არაფერი დადებითი არ შექმნილა. მეჩეთებადაც კი ქართულ ეკლესიებს იყენებდნენ, ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მოსახლეობა მხოლოდ იმ ხიდებით სარგებლობდა, რომლებიც თამარ მეფის დროს იყო აგებული.

მაგრამ თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას. თურქებმა ვერ შესძლეს, რამდენადაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. თვითონ თურქები იძულებული არიან აღიარონ ეს. თურქეთის მთავრობამ 1578 წელს დაიპყრო სამხრეთ საქართველოს სამთავრო – სამცხე და მას გურჯისტანის, ე. ი. საქართველოს ვილაიეთი უწოდა. დაცულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1595 წლის თურქული ოფიციალური დოკუმენტი – „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი“ („დევთერი მუფასალ ვილაიეთი გურჯისტან“), რომლის ერთ ნაწილში, სხვა რაიონებს შორის, აღწერილია ჩილდირის, ფოცხოვის, პანიაკის (ბანას), არტაანის რაიონები.

მეორე ვილაიეთი – ტრაპეზუნტისა – წარსული საუკუნის სამოციან წლებში შეიცავდა მთელ ტერიტორიას მდინარე ყიზილ-ირმაკამდე (ძველი ღალისი) და გაყოფილი იყო ოთხ სანჯაყად: 1) ლაზისტანი, რუსეთის საზღვრიდან ქალაქ რიზემდე; 2) ტრაპეზუნტის სანჯაყი ,რიზედან ქ. ორდუმდე; 30 ჯანიკი, ორდუდან მდინარე ყიზილ-არმაკამდე ცენტრით ქ. სამსუნგში და 4) გიუმიშხანა (ინგლისის კონსულ ე. ჯიფორს პალგრევის ანგარიში. ტ. 7. დამატება). ამრიგად, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თურქეთის ოფიციალური ნომენკლატურა მოწმობდა, რომ ქალაქ სამსუნის ოლქიც თვით ყიზილ-არმაკამდე, არის ჯანიკი – წანების, ე. ი. იმავე ლაზების ქვეყანა.

თურქულ ენციკლოპედია „ჰაამუს-ულ-ალამში“ ნათქვამია: „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპეზუნტის ვილაიეთში... ითვლებიან კავკასიელ ხალხად და ქართველებთან ნათესაური კავშირი აქვთ. მათი გარეგნობაც კი მოწმობს მათ კავკასიურ წარმოშობასა და რასაზე.

სამხრეთმა საქართველომ XX საუკუნემდე შეინარჩუნა დიდი რაოდენობით ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი. XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის რუკებზე აღნიშნულია მრავალი წმინდა ქართული სახელწოდება, როგორიცაა იმერა (გიუმიშხანეს ჩრდილო-აღმოსავლეთით), ძარა, გორიანა, მაჭარა, შუვა, მირზანი, მოსორა, ლორი, ბორშიანი, ნატეხილები, ქსანთა, კიტრა, ჭორომა. სართა, ჩუმოვანი. ორწევრი და სხვ. ახლა თურქი ხელისუფლება გამალებით შლიან ქართულ სახელწოდებებს. ანგრევენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს – არქიტექტურის შედევრებს. ისინი კვლავ მასობრივად ერეკებიან ქართველ მოსახლეობას შორეულ რაიონებში, აძევებენ თაობათა სისხლითა და ოფლით უხვად მორწყული მშობლიური ადგილებიდან.

მძიმე დროს, რასაც ქართველი ხალხი 1920 წელს და 1921 წლის დასაწყისში განიცდიდა, თურქები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინეს არტაანის, ოლთისოსა და ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის სამხრეთ სექტორის ოკუპაცია, რათა ისინიც მიემატებინათ წინათ დაპყრობილი ძველისძველი ქართული მიწა-წყლისთვის.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეს რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს,. ამის შესახებ აშკარად სწერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი? განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმუშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაბზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ს. ჯანაშია, პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

ნ. ბერძენიშვილი, პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

ნოდარ ჭითანავა - 80

ამაგდარი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა მრავალი სამეცნიერო გაერთიანებებისა და საბჭოების წევრს, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს ნოდარ ჭითანავას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ბატონმა ნოდარმა დღემდე ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი, რთული და წინააღმდეგობრივი გზა სახელოვნად განვლო. მისი მეტად დატვირთული ცხოვრებისა და შინაარსიანი საქმიანობის სტილი, ცხოვრებისეული უნიკალური გამოცდილება, პიროვნული თვისებები ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა არა თავისი პირადი კეთილდღეობისათვის, არამედ მოყვასისათვის, საზოგადოებისა და საკუთარი ოჯახისათვის, უხმაუროდ აკეთოს მუდამ სიკეთე და გაურბოდეს მის გამომჩაურებას. იგი საბჭოთა პერიოდში დაიბადა, აღიზარდა, საზოგადოებისათვის გამოჩენილ პიროვნებად ჩამოყალიბდა და დღეს, ამ ახალ ეპოქაში აქტიურად მოღვაწეობს დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში, თავისი მრწამსით, თვისებებით, პრინციპებით ორივე ეპოქას ეკუთვნის, ორივე დროში მთავარს — საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობას ერთგულად, უანგაროდ ემსახურა, რაც იმის თვალსაჩინო მაგალითია, როგორი უნდა იყოს ღირსეული მამულიშვილი, მართალი კაცი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მაღალი კლასის მეცნიერ-მკვლევარი.

ბატონი ნოდარი სიღარიბეში გაიზარდა, მას ბავშვობიდანვე მძიმე შრომა უწევდა. საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. მალე ოჯახური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა სწავლასთან ერთად შრომითი საქმიანობა დაეწყო კოლმეურნეობაში, ჯერ რიგით კოლმეურნედ, შემდეგ აგურის საამქროს მუშად, მშენებლობაზე ათისთავად.

შემდეგ იწყება მისი აქტიური პარტიული და საზოგადოებრივი საქმიანობა: იყო კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი, რაიკომის მეორე მდივანი, პირველი მდივნი, პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნი, ზუგდიდის სამრეწველო ზონის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის ინტრუქტორი. 1964 წელს აგზავნიან ქ. მოსკოვში სკკპ ცენტრალურ-კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელსაც 1968 წელს წარჩინებით ამთავრებს. 1970 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას ეკონომიკაში. 1970 წლიდან ისევ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზეა: ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორი, პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ხოლო 1989-1990 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქალაქ ზუგდიდის, რაიონული (ზუგდიდის, ცხაკაიას) სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს (ორჯერ) დეპუტატად. 1979-1988 წლებში იყო ამავე საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. 1990 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1991 წელს ინიშნება საქართველოს სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრად.

დღეს ბატონი ნოდარი აქტიურად მოღვაწეობს მეცნიერებაში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყნის და მის გარეთ სამეცნიერო წრეებში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. სახელმწიფო უმაღლეს ორგანოებში მუშაობისას მას მუდმივი შემოქმედებითი კავშირი ქონდა მეცნიერებასთან. მისი ინიციატივით და ძალისხმევით ქვეყანაში გაიხსნა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია და მათ შორის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. მან სახელმწიფო უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობისას წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გამოსცა რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა, ხოლო შემდგომ იგი ასევე წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას. იგი 1993 წელს ინიშნება საქართველოში იმ დროისათვის ყველაზე მსხვილი და ცნობილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. აღიშნული ინსტიტუტი იყო ფლაგმანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, კონცეფციის მოზნობრივი პროგრამებისა და ინდიკატიური დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლების შემუშავების საქმეში. ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი, მომზადდა ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტები და სხვა საპროგრამო მასალები.

ნ. ჭითანავას რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული 7 ტომად, რომლებშიც გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, შეფასებულია განვითარების თავისებურებები, ტენდენციები, შემოთავაზებულია შესაბამისი კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები.

ბატონი ნოდარის მეცნიერული შემოქმედება მრავალმხრივია. მას ეკუთვნის მონოგრაფიების ციკლი სოფლის მეურნეობისა და აგრარული ეკონომიკის დარგში. მან მნიშვნელოვანი კვლევები განახორციელა გარდამავალ ეტაპზე ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებების, ქვეყნის რეგიონული ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისად აგრარული მეურნეობის სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის თანამედროვე პრობლემების შესწავლა-განზოგადების მიმართულებით. ბატონი ნოდარის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში გარდა აგრარული პრობლემებისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების, პოსტსოციალისტურ პერიოდში ეკონომიკის ტრანსფორმაციის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკის, ეროვნული ეკონომიკური მოდელის ფორმირების, ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების, გეოეკონომიკური ფაქტორების, ინტეგრაციული პროცესების თავისებურებათა კვლევა, ანალიზი, თეორიული განზოგადება. აღნიშნული პრობლემები კომპლექსურად განხილულია მის 150-ზე მეტ ქართულ და უცხო ენაზე გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომში.



მის მეცნიერულ ნაშრომებს ახასიათებს აქტუალური პრობლემების დასმისა და მათი გადაწყვეტის მიმართ სისტემური მიდგომა, საზოგადოებრივ პროცესებსა და ეკონომიკურ მოვლენებს შორის კავშირების ლოგიკური ახსნა, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების ვარიანტულობა, განვითარების ორიენტირებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, და რაც არსებითია, რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის დასაბუთება. მის მეცნიერულ ნაშრომებს ღრმა თეორიულთან ერთად გააჩნია დიდი პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

ბატონი ნოდარი აქტიურადაა ჩართული სასწავლო-სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.იგი 2004 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. არის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოებში, აქტიურად თანამშრომლობს წევრის სტატუსით სხვადასხვა მეცნიერებათა აკადემიებთან. 2015 წელს გამოცემულ მონოგრაფიას «საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები» სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით მიენიჭა 2015 წლის საუკეთესო ნაშრომის წოდება. იგი არის მრავალი პუბლიკაციის მთავარი რედაქტორი და რეცენზენტი.

ნოდარ ჭითანავა როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი.

ბატონი მოდარი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთის პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრი, ინოვაციების საბჭოს წევრი, მიწის რესურსების მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 2014 წელს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე განხილულ იქნა პროფ. ნ. ჭითანავას მოხსენება თემაზე: «საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები» და საერთო კრების დავალებით, მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა 2020 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების რეკომენდაციები, რაც წარედგინა პარლამენტსა და მთავრობას.

ნოდარ ჭითანავა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, პიროვნული თვისება-ღირსებებით (შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა, განათლება, ერუდიცია და სხვ.) მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს ქვეყნის აკადემიურ წრეებსა და საზოგადოებაში.

ვულოცავთ ბატონ ნოდარის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს და გვაქვს სრული საფუძველი ვუთხრათ მას გულწრფელი მადლობა დღემდე პატიოსნად და ღირსეულად განვლილი გზისათვის, ქვეყნის წინსვლისათვის ჩადებული უდიდესი შრომისა და მამაცობისათვის და ვუსურვებთ, მომავალშიც ახალ-ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იაშა მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია დიდი პატივისცემით და სიყვარულით ულოცავს **ბატონ ნოდარ ჭითანავას** 80 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, მხნეობას და ახალ-ახალ წარმატებებს საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში.

შენგენის გადასარჩენად: ევროკავშირი მიგრანტებს „ბალკანეთის გზას“ უკეტავს

Le Figaro: „ევროკავშირში თანხმდებიან, მიგრანტებს ჩაუკეტონ „ბალკანეთის გზა“. ევროპული სამიტის საბოლოო რეზოლუციის პროექტის თანახმად, „მაქსიმალურად დაეხმარებიან საბერძნეთს, რომელიც შესაძლოა ათასობით დევნილის თავშესაფრად იქცეს“.

გამოცემის მიერ მოპოვებული დოკუმენტის თანახმად, „დასავლეთ ბალკანეთის გავლით მიგრანტთა ნაკადის გაშვება უნდა შეწყდეს და ეს გზა უნდა ჩაიკეტოს. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გამოვიჩინოთ, რომ საბერძნეთი გაუმკლავდეს შექმნილ მდგომარეობას“. ევროკავშირი იღებს

მკაცრ გადაწყვეტილებას, რომ ბოლო მოუღოს თერმიტეტვიან კრიზისს. დაპირება საბერძნეთისთვის მასშტაბური დახმარების შესახებ — სხვა არაფერია, თუ არა ბევრი სახელმწიფოს შეშფოთების საპასუხო განცხადება საბერძნეთსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე მომხდარი ადამიანური ტრაგედიების გამო.

სამიტმა უნდა მიიღოს შენგენის გადარჩენის გეგმა, რომელიც იუნკერის კომისიამ შეიმუშავა. გეგმა გულისხმობს მარტის ბოლოს საბერძნეთის საზღვარზე კონტროლის აღდგენას, აგრეთვე შენგენის ზონის შიგნით რვა ქვეყნის მიერ დაწესებული გამშვები რეჟიმის ლიკვიდაციას. გეგმაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შენგენის სივრცე „პრიორიტეტული ამოცანაა“ და იგი წლის ბოლომდე უნდა აღდგეს.

სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა უნდა მოახერხონ, თურქეთისგან მიიღონ დახმარება და თანხმობა „ეკონომიკური“ მიგრანტების დაბრუნების შესახებ, — აღნიშნავს გამოცემა.

T: პრემიერ-მინისტრმა კემერონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის საპატრულო გემები, მათ შორის დედოფლის საჰაერო-საზღვაო ძალების ერთი გემიც, გაემართებიან საბერძნეთის ნაპირებისკენ. „ეს არის მცდელობა იმისა, რომ გაანელონ საიმიგრაციო კრიზისი, რომელმაც ევროპას გადაუარა“.

კემერონის განცხადებით, „დიდი ბრიტანეთის „საკვანძო სამხედრო რესურსი“ იქნება ელემენტი ოპერაციისა, რომელსაც აწარმოებს ნატო არალეგალი გადამყვანების წინააღმდეგ. ბრიტანეთი აპირებს აგრეთვე, გამოყოს ათობით მილიონი გირვანქა სტერლინგი და დაეხმაროს საბერძნეთს მიგრანტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

გაზეთი იტყობინება, რომ გაეცნო იმ დოკუმენტის „შავ“ ვარიანტს, რომლის მიღებაც იგეგმება თურქეთ-ევროკავშირის სამიტზე. დოკუმენტი დაავალდებულებს ევროკავშირის ყველა ქვეყანას, აამუშაონ „მათ ხელთ არსებული საშუალებები“ მიგრანტთა ნაკადის შესაჩერებლად.

საბერძნეთის სახმელეთო საზღვრის გასწვრივ წინაღობებია აღმართული. სამიტზე ევროკავშირის ყველა ქვეყანას სთხოვენ, დაეხმარონ საბერძნეთს, სადაც უახლოეს რამდენიმე კვირაში, როგორც ჩანს, 150 ათასი დევნილი ჩარჩება.

გამოცემის მონაცემებით, ევროკავშირის ლიდერები ჰუმანიტარული დახმარების სახით 700 მილიონი ევროს გამოყოფას აპირებენ. ბრიტანეთის წილი 80 მილიონი იქნება. ევროკავშირის ყველა ქვეყნის მთავრობები იძლევიან დაპირებას, რომ „დაეხმარებიან საბერძნეთს, დაჩქარებული წესით დააბრუნონ ყველა ეკონომიკური მიგრანტი თურქეთში“.

Observer: გამოცემის მტკიცებით, რუსეთი საინფორმაციო ომის მეშვეობით „გერმანიაში დევნილთა უკმაყოფილებას აღვივებს, რომ პროვოცირება მოახდინოს ანგელა მერკელის ჩამოსაგდებად“. სტრატეგიული კომუნიკაციების ნატოს მოწინავე გამოცდილების ცენტრის დირექტორმა იანის სარტსმა გამოცემას აცნობა: რუსეთი „ქმნის ქსელს, რომლის გაკონტროლებაც შესაძლებელია. მისი მეშვეობით იგეგმება პოლიტიკური პროცესების სერიოზული რყევა დევნილთა რეალური პრობლემების გამოყენებითაც. ანგელა მერკელი ხომ კვლავაც შეუდრეკლად მხარს უჭერს რუსეთისთვის სანქციების გაგრძელებას. რუსეთს კი, თავის მხრივ, მხოლოდ მერკელის დასჯა კი არ სურს შურისძიების მიზნით, არამედ ცდილობს, გერმანიაში არსებული პრობლემების გამოყენებით იმპულსი მისცეს პოლიტიკურ ცვლილებებს“.

„იყენებენ რუსულენოვან მოსახლეობას, სოციალურ მედიას, კბილს უსინჯავენ არსებული უთანხმოების, ულტრამემარჯვენეების გამოყენების შესაძლებლობას.

Reuters: ევროკავშირის ხელმძღვანელობა ევროკავშირი-თურქეთის სამიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შემდეგ დაეთანხმა ანკარის მოთხოვნას და მიიღო გადაწყვეტილება, 2018 წლამდე თურქეთს გამოუყოს 3 მილიარდი ევრო დევნილების ნაკადთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად.

ახლანდელი სამიტი შეიძლება გახდეს ევროკავშირში თურქეთის შესვლის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების ათვლის წერტილი. ეს სამიტი ამტკიცებს, როგორ სჭირდება ევროკავშირს თურქეთი და თურქეთს ევროკავშირი. არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და მათზე ერთადერთი პასუხია სოლიდარობა. იმედი მაქვს, რომ სამიტი ყურადღებას გაამახვილებს არა მარტო უკანონო მიგრაციაზე, არამედ ევროკავშირში თურქეთის შესვლის პროცესზე, — განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

დიდი კუპიურები დიდი დანაშაულისთვის

აშშ-ში აპირებენ, უარი თქვან 100-დოლარიანებზე, ევროპაში კი – 500-ევროიან ბანკნოტებზე



თავდაპირველად არითმეტიკული ამოცანის მსგავსი ჰატარა დარიგება. 500-ევროიანი საბანკო კუპიურების შეკვრა, ერთი მილიონის ეკვივალენტი, სულ რაღაც 230 გრამს იწონის და უპრობლემოდ ეტევა ჰატარა ჩანთაში. 20-დოლარიანების დასტები, იმავე ფასის – ერთი მილიონის, უკვე 50 კილოგრამს იწონის და არც ისე იოლი ასაწევია. ეს „არითმეტიკული ამოცანა“ მოყვანილია ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის მთავრობის ინსტიტუტის მოხსენებიდან, იმ უნივერსიტეტისა, სადაც ოდესღაც უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ვმუშაობდი და ბიზნესის სკოლაში (ინსტიტუტში) ვასწავლიდი.

ამ ამოცანას უმაღლეს დონეზე ხსნიან როგორც კრიმინალური სამყაროს ბოსები, ისე სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები. ამ „ამოცანის“ პასუხი ღაღადებს: თუ უკანასკნელნი მოიშორებენ მსხვილ ფულად კუპიურებს, პირველნი ძნელად შეინახავენ და გადაზიდავენ მათ.

ევროპაში ძალიან ცოტანი თუ იყენებენ 500-ევროიანებს და ძალიან ცოტა ამერიკელი — ასდოლარიანებს. მიუხედავად ამისა, ერთსაც და მეორესაც ასტრონომიული თანხის ოდენობას ინახავენ, ასე ვთქვათ „საზღვარგარეთ“, სადაც სწორედ ამ სახეობის ვალუტის შენახვაა ყველაზე ხელსაყრელი.

ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა, რომ მისი ბანკი განიხილავს საკითხს, როგორ „მოიშორონ“ 500-ევროიანები. ეს ბანკი აპირებს მიმოქცევაში დატოვოს 200 და 100 ევროს ღირებულების ბანკნოტები. ევროპელთა უმრავლესობა არც იყენებს მსხვილ

კუპიურებს, ზოგიერთი საცალო ვაჭრობის მაღაზია კი საერთოდ უარს ამბობს მათ მიღებაზე.

ევროპოლი, ევროკავშირის სამართალდამცავი სააგენტო, თავის შარშანდელ მოხსენებაში წერდა, რომ დამნაშავეები სარგებლობენ 500-ევროიანი ფასიანი ქაღალდებით. სხვა მსხვილი კუპიურები, 1000 შვეიცარიული ფრანკიც ან 1000 სინგაპურული დოლარიც ყველაზე მისაღებია ნარკომაფიისთვის და მათთვისაც, ვინც თავს არიდებს გადასახადების გადახდას.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ისმის ხმები მსხვილი კუპიურების ბეჭდვის წინააღმდეგ. ყოფილი ფინანსთა მინისტრი და პრეზიდენტ ობამას მრჩეველი ლოურენს სამერსი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვას 100-დოლარიანებზე. სხვათა შორის, ასეთი დოლარების 65 პროცენტი ამერიკის საზღვრებს გარეთ ინახება.

ასდოლარიანების გაუქმება საკმაოდ რთული იქნება. ამ თემას უძღვნა სარედაქციო წერილი New York Times-მა: ასეთ პრობლემებზე საერთაშორისო შეთანხმებებია აუცილებელი. რა აზრი აქვს ასდოლარიანების გაუქმებას, თუ ევროპის ბანკი 100- და 200-ევროიანებს დაბეჭდავს? დამნაშავეთა სამყარო ხომ თავისუფლად გადაერთვება მათზე.

მსხვილი კუპიურების მოწინააღმდეგეთა კრიტიკოსებს თავიანთი არგუმენტები აქვთ. მათი მტკიცებით, დიდი დენომინაციები ხალხს უიოლებს დანაზოგის შენახვას ნაღდი ფულის სახით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც უარყოფითი საპროცენტო (საანგარიშო) ნიშნულებია. ბევრი არ იყენებს ელექტრონულ ტრანსაქციებს მათი უსაფრთხოების დაუცველობის გამო.

სჭირდება კი ამერიკასა და ევროკავშირს მაღალი დენომინაციის ვალუტა? მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ვალუტის ზედა თამასა 50 გირვანქა სტერლინგია, რაც სავსებით საკმარისად მიაჩნიათ. შეიძლება გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების წარსული — 1969 წელს შეწყვიტეს 500, 1000, 5 000 და 10 000 დოლარის საბანკო ბილეთების გამოშვება. ახლა გადახდის იმდენი ახალი შესაძლებლობა გაჩნდა, რომ ასეთი „მძიმე ფინანსური არტილერიის“ ლიკვიდაციამ საეჭვოა, სერიოზული პრობლემები შექმნას.

ამ წერილში წამოჭრილი საკითხი უნდა აწუხებდეს იმ 65 პროცენტს, რომლებიც ამერიკის საზღვრებს მიღმა ცხოვრობენ და საკუთარი ქვეყნის ვალუტის საიმედოობა აშინებთ. არავის ვახვევ დასკვნებს. თვითონვე მიხვდებიან.

მელორ სტურუა

ქუდი გვერდი



ვინ შექმნა ნახატი ფილმისთვის „ტიტანიკი“?

ჯეიმს ქემერონი, რომელმაც შექმნა „ტერმინატორი“, „ტიტანიკი“, „ავატარი“ და ბევრი სხვა საკულტო ფილმი, არამარტო ცნობილი რეჟისორია, რომლის ფილმებსაც უდიდესი შემოსავალი მოაქვთ, არამედ შესანიშნავი მხატვარიცაა. სწორედ მან დახატა სურათი ფილმისთვის „ტიტანიკი“, რომელიც, ფილმის სცენარის მიხედვით, გიგანტური ლაინერის დაღუპვის ადგილზე აღმოაჩინეს.

ფილმში სწორედ მისი ხელები ჩანს, როდესაც ჯონ დოუსონი თავის შეყვარებულს ხატავს.

„ჭეშმარიტი რუსი“

1803 წელს ოდესის ქალაქის თავად დანიშნეს ფრანგი წარმოშობის არმან ემანუილ დიუ პლესი, ჰერცოგი დე რიშელიე, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ გამოემგზავრა ემიგრაციაში და რუსეთში სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა.

ცხრა წლის შემდეგ დაიწყო ომი ნაპოლეონთან. რიშელიემ ქალაქის მოსახლეობას მოუწოდა, მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ მტრისთვის და თავად მთელი დანაზოგი ამ ომს შესწირა.

ნაპოლეონის ჩამოგდებისა და მონარქიის აღდგენის შემდე ჰერცოგი დე რიშელიე საფრანგეთში დაბრუნდა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა.

ყველაზე ძვირადღირებული სათამაშო ჯარისკაცი

აშშ-ის არმიის ეს ჯარისკაცი გამოშვებისას, 1964 წელს, სულ 4 დოლარი ღირდა. ახლა

მისი შეძენის მსურველს 200 000 დოლარის გადახდა მოუწევს. 30 სმ სიმაღლის თოჯინას სახის „ცოცხალი“ არაუტრირებული ნაკვთები აქვს და ხელით შეკერილი ფორმა აცვია. მისი ხელები და ფეხები მოძრაობს

და „სახსრებში“ იკეცება. სათამაშოს ასეთი მაღალი ფასი იმით არის განპირობებული, რომ სათამაშო ჯარისკაცი გამოსვლისთანავე მრავალი კომიქსისა და მულტფილმის გმირი გახდა, ამ ჟანრის თაყვანისმცემლებს კი დიდი სურვილი აქვთ, საკუთარი კოლექციები აშშ-ის ამ პირველი სათამაშო ჯარისკაცებით გაამდიდრონ.

ყველაზე საუკეთესო დედა – გორილა

ცხოველთა სამყაროში საუკეთესო დედად გორილა ითვლება. მას ძალზე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, არის შრომისმოყვარე და მზრუნველი დედა. იგი ყველა შვილზე თანაბრად ზრუნავს, მიუხედავად მათი რაოდენობისა და ასაკისა – პატარებს კვებავს, ხოლო უფროსებზე მფარველობას კვლავ აგრძელებს და საფრთხისგანაც იცავს მათ.

რკინისნიღბიანი ადამიანის საიდუმლო

ალ. დიუმას რომანს „კაცი რკინის ნიღბით“ საფუძვლად უდევს იდუმალი ადამიანის რეალური ისტორია. მამაკაცი 1669 წელს საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV ბრძანებით პიგნეროლის ციხესიმაგრეში, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დაატყვევეს. არავინ, მეფესთან დაახლოებულმა პირებმაც კი არ იცოდნენ, რაში ადანაშაულებდნენ პატიმარს.

იდუმალი ტუსაღი ვალდებული იყო მუდმივად ეტარებინა ნიღაბი, რომელიც ხავერდისგან იყო დამზადებული. ტუსაღს პირადი მცველი იცავდა, რომელიც ახლოს არავის უშვებდა მასთან. მამაკაცი ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ. იგი ბასტილიის ტყვეც იყო. რკინისნიღბიანი მამაკაცი 1703 წელს გარდაიცვალა. დღემდე უცნობია, რის გამო იყო იძულებული, მთელი ცხოვრება ნიღაბში გაეტარებინა.

კუჭის აღდგენა – რესტორაცია

XVIII ს-ის ბოლოს საფრანგეთში ცხოვრობდა მზარეული, რომლის გვარიც იყო ბულანჟე. პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე მას სასადილო ჰქონდა, სადაც

მომსახურების ორიგინალური ფორმა შემოიღო: დარბაზში დადგა პატარა ზომის მარმარილოს მაგიდები, რომლებსაც არავითარი სუფრა არ სჭირდებოდა. კლიენტებს ეს ძალზე მოსწონდათ. წარმატებით ფრთაშესხმულმა ბულანჟემ თავისი დაწესებულების თავზე ასეთი წარწერა გააკრა: „ვახდენთ მშიერი კუჭის რესტავრაციას“. ამის შემდეგ ბულანჟეს სასადილოს „რესტორაციას“ ეძახდნენ.

...ასე გაჩნდა პირველი რესტორანი.

რატომ ჰქვია ყველაზე ცნობილ პისტოლეტს „პარაბელუმი“?

ფართოდ ცნობილი გამოთქმა „თუ მშვიდობა გინდა, ომისთვის ემზადე“ ძველრომაული წარმომავლობისაა და ლათინურად ასე ჟღერს: „ში vis pacem, para bellum~. ამ გამოთქმის ბოლო ორი სიტყვა შეარჩია თავისი გამოგონების სახელად ცნობილმა ავსტრიელმა იარაღის ოსტატმა, კონსტრუქტორმა გეორგ ლიუგერმა და მის მიერ შექმნილ პისტოლეტს „პარაბელუმი“ უწოდა.

ფაშისტური ფორმა კუტიურიესგან

დღეისთვის ცნობილმა ფირმამ Hugo Boss-მა აღმასვლა მოდის კვარცხლბეკზე მას შემდეგ დაიწყო, რაც უზარმაზარი შეკვეთა მიიღო ჰიტლერული არმიის ფორმების შეკერვაზე. Hugo Boss-ის ფაშისტურმა ფორმამ სახელი გაითქვა, როგორც სამხედრო ისტორიაში ყველაზე მოხერხებულმა და ლამაზმა. ამასთან, ეს ფორმა ადამიანებში ყველაზე ნეგატიურ ემოციებს იწვევდა, ხოლო ფაბრიკებში საკონცენტრაციო ბანაკების ბინადარი სამხედრო ტყვეები მუშაობდნენ.

ჯინსის შარვალი 46 ათას დოლარად

1998 წელს ნევადის შტატის ერთ-ერთ მაღაროში იპოვეს ჭუჭყიანი ნაჭერი. კარგად დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ძველი ჯინსის შარვალი იყო. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ის 1870 წელს იყო გამოშვებული. სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, ეს შარვალი, რომელიც თავის დროზე 75 ცენტი ღირდა, აუქციონზე 46 ათას დოლარად გაიყიდა. ჯინსი-რელიკვია „ლევი სტრაუსის“ ფირმის წარმომადგენლებმა შეიძინეს და შემდეგ ექსპონატად გამოფინეს კომპანიის ყველაზე დიდ მაღაზიაში. ამ ჯინსების საპატივსაცემულოდ კომპანიამ გამოუშვა ჯინსების პარტია, რომელიც მთლიანად იმეორებდა ლეგენდარულ ორიგინალს. ისინი დამზადებული იყო ხელოვნურად დაძველებული ქსოვილისგან, ჰქონდათ იგივენაირი ნაკერები, ღილები და ჯიბე ინსტრუმენტებისთვის.

106 წლის სკოლადამთავრებული

აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბევერლის მცხოვრები ფრედ ბატლერი 106 წლის ასაკში გახდა სასკოლო ატესტატის მფლობელი.

ფრედი ზარმაცი როდი გახლავთ. მთელი ცხოვრების მანძილზე მან ბევრი შვილი და შვილიშვილი გაზარდა, სკოლას კი თავი იმიტომ დაანება, რომ ოჯახი ერჩინა.

იგი მთელი ახალგაზრდობა მუშაობდა მხოლოდ სიბერეში შეძლო ოცნების ასრულება.

ყველაზე დიდი ოქროს ზოდი

ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი ოქროს ზოდი 1872 წლის 19 ოქტომბერს იპოვეს ავსტრალიაში,. ახალი სამხრეთ უელსის მაღაროში. მას ფილის ფორმა ჰქონდა და სიგრძით 144, სიგანით 66, ხოლო სისქით 10 სმ იყო და 90 კგ-ს იწონიდა! ნაპოვნ ოქროს „ჰოლტერმანის ფილა“ დაარქვეს. ის ფილა არ შემონახულა, რადგან თავის დროზე გადაადნეს.

პრეზიდენტი და განგსტერის ავტომობილი

აშშ-ის პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ხანდახან დაჯავშნული ავტომობილი „კადილაკით“ გადაადგილდებოდა, რომელიც ცნობილ განგსტერს ალ კაპონეს დაპატიმრებისა და კონფისკაციის შემდეგ ჩამოართვეს.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია...

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერია“ თუ წყაროს თავთან მოდარაჯე გველაშაპი?

სასმელი წყლის მარაგით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სპეციალისტები ასე გვეუბნებიან. მართალნიც არიან, რადგან საქართველოში ძნელად მოიძებნება სოფელი, სადაც თუნდაც ერთი წყარო მაინც არ ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა მწვავედ დგას. არაფერს ვიტყვით სარწყავ არხებზე, რაც ცალკე სასაუბრო თემაა.

თავისთავად, ქვეყნის ყველა ქალაქსა და რაიონს განსხვავებული პრობლემები აქვს. ამიტომ მხოლოდ ჩვენი დედაქალაქის პრობლემებზე ვისაუბრებთ.

იშვიათი გამონაკლისია ისეთი დღე, თბილისის რომელიმე ქუჩაზე ნიაღვარი არ მოდიოდეს. მოსახლეობაც ისე მიეჩვია, რომ მსგავს მოვლენას უკვე ჩვეულებრივ ამბადაც აღიქვამს. ხშირად წყალი ქუჩებში ორი-სამი დღეც მოედინება. ახლახან დიდ დიღომში წყლის სადენზე მომხდარმა შემთხვევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და ყველანაირი რეკორდი დაამხო. ავარიის შედეგად ოთხი (!) მრავალსართულიანი კორპუსი დაიტბორა, დაზიანდა მანქანები. მადლობა ღმერთს, რომ მოქალაქეთაგან ფიზიკურად არავინ დაზარალებულა. ორი კვირის წინ მოსკოვის გამზირზე ისეთი ნიაღვარი მოედინებოდა, ავტომობილების მოძრაობაც კი შეფერხდა. კიდევ უამრავი შემთხვევის გახსენება შეიძლება, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომაც მოსახლეობას ასე ხშირად უწყდება წყლის მიწოდება, განსაკუთრებით ბოლო თვეებში.

პრობლემა არახალია, ძველია და მხოლოდ გუშინ არ დაწყებულა. თუმცა დასაწყისშივე შეიძლება ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გულგრილობა და არაპროფესიონალიზმია. შესაძლოა, მავანი შემოგვედავოს, ავარიები ხომ ყველგან შეიძლება მოხდესო. დიახ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, გამორიცხული ცხოვრებაში არაფერია, მაგრამ რაღაცას რომ აკეთებს ადამიანი, ჯერ ხომ კარგად უნდა დაფიქრდეს. ძველ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს ახალი ემატება. წინა, ყოფილმა ხელისუფლებამ, როგორც ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის ყოფილი „თბილწყალკანალიც“ გაყიდა. ახლა მისი მფლობელი, როგორც ვიცით, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერია“, რომელმაც მხოლოდ დედაქალაქის წყლით მომარაგება ითავა, ხოლო კანალიზაციის მიერთებაზე უარი განაცხადა.

ახლა ვნახოთ, რა გააკეთა დედაქალაქის წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად ე. წ. ინვესტორმა. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც მოიმოქმედეს, გაზარდეს წყლის გადასახადი. თბილისის ქუჩებიდან გააქრეს წყლის დასალევი ე. წ. „სოკოები“, საიდანაც ჩვენი მოქალაქეები პაპანაქება სიცხეში გულს იგრილებდნენ. ახლა მხოლოდ სულ რამდენიმეა დარჩენილი, ისიც „ხახადამშრალი“. როგორც ამბობდნენ, წყლის ეკონომიის მიზნით აუღიათ „სოკოები“.

თუმცა თბილისში მომრავლებულ უამრავ შადრევანზე, რომლებიც სწორედ სასმელი წყლით მარაგდებოდნენ, თვალს ხუჭავდნენ. ზოგიერთი მათგანი ისეთი უცნაურობითაც გამოირჩეოდა, რომ ხალხმა სხვადასხვა დამცინავი სახელიც კი მოუძებნა.

ახალი, ე. წ. „ინვესტორის“ კიდევ ერთი „ღვაწლი“ ის გახლავთ, რომ წყლის ცენტრალური მაგისტრალებიდან ამოყარეს თუჯის დიდი გამტარობის მილები, რომლებიც პლასტმასის სადენებით ჩაანაცვლეს. მათ გამძლეობაზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა გახშირებული ავარიები ასეთი ცვლილების სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს. ამის გამო წყალს, ელემენტარულად, გემო-თვისებებიც შეეცვალა. ზამთარში ცივი მოედინება ონკანში და ზაფხულში — თბილი. ამის გარდა, სპეციალისტების თქმით, პლასტმასის მილები ტექნოლოგიური დარღვევებით დაამონტაჟესო. ფაქტების შემოწმება დაინტერესებულ ორგანიზაციებს მარტივად შეუძლიათ. ისიც საკითხავია, თუ ვის ჯიბეში ჩაჩხრიალდა გაყიდული თუჯისგან აღებული ფული.

ცვლილებების წინააღმდეგი ნამდვილად არავინ არის, მაგრამ ცუდის უარესით შეცვლა, ფაქტობრივად, ფულის გაფლანგვაა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

თბილისში მშენებლობის ბუმიაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ბევრი საცხოვრებელი კორპუსი თუ დაწესებულება შენდება. თავისთავად, როგორც მოსახლეობას, აგრეთვე დაწესებულებებს სჭირდებათ სასმელი წყალი. საკითხავია, აკონტროლებს კი ვინმე, ვის როგორ შეყავს წყალი? ისეთი კურიოზებიც კი გვხვდება, როდესაც წყლის, ელექტრო თუ გაზის სადენები ერთმანეთის გვერდით აქვთ გაყვანილი. რა შეიძლება დავარქვათ ამას? აქვს კი ვინმეს გამოთვლილი, თუ როგორ გაუძლებს პლასტმასის მილები მოთხოვნილების გამო გაზრდილ დატვირთვას, გაუგებარია.

განსაკუთრებული მძიმე ვითარებაა დედაქალაქის ძველ უბნებში. ძველის ახლით შეცვლა კი არა, სარემონტო სამუშაოები მხოლოდ ავარიის შემთხვევაში მიმდინარეობს. „უოთერ ენდ ფაუერი“ ლოდინის რეჟიმშია, უცდის თუ როდის მოხდება მორიგი ავარია. თუმცა ყოველთვის „მშრალად“ გამოდიან, ჩვენი რა ბრალიაო, ხალხს აქეთ ამუნათებენ.

გვერდს ვერ ავუვლით საკანალიზაციო სისტემას, რაც კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია. თბილისის რომელიმე უბნის გამოყოფა ძნელია, რადგან მთელს ქალაქს ემუქრება საფრთხე. განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც აშენებულია ახალი საცხოვრებელი კორპუსები. სამწუხაროდ, არც აქ უფიქრია ვინმეს გამტარიანობის გაზრდაზე.

ხსენებაც არ მინდა, მაგრამ კვლავ „ნაცმოძრაობის„ მმართველობა უნდა ვახსენო. „გზები დავაგეთო“, ისე გვამადლიდნენ, თითქოს საკუთარი მამა-პაპის ქონებით აკეთებდნენ ამას. გზების დაგებისას სანიაღვრე ჭები გააუქმეს. შემდეგ ვითომ შეცდომის გამოსწორება დაიწყეს და სანიაღვრე არხები კანალიზაციას მიუერთეს, რაც დაუშვებელი და დანაშაული იყო, რომლის მწარე შედეგები უკვე რამდენჯერ ვიგემეთ.

საქართველოს დედაქალაქს უამრავი პრობლემა დაუგროვდა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. საქმის გაკეთება კი პროფესიონალებმა უნდა ითაონ. ინვესტორების ქვეყანაში შემოსვლა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ რომელიმე ორგანო, თუნდაც ქალაქის მერია ხომ უნდა აკონტროლებდეს მათ საქმიანობას, ყველა თავის ჭკუაზე არ უნდა აშენებდეს ან ანგრევდეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდება.

საერთოდაც, ბატონებო, სასმელი წყალი ის საბადოა, რომელიც პლანეტის უმრავლეს ქვეყანაში იყიდება და ნავთობზე ძვირიც ღირს. ამ სიმდიდრეს კი, სამწუხაროდ, ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ, ვანიავებთ.

გია ბურდული
551 712 707

ბუშეტი – XXI საუკუნის მეორე „ათინა“

საქართველოს სახელგანთქმულმა მეფემ, დიდმა ერეკლე მეორემ თელავში, თავის სატახტო ქალაქში 1758 წელს დააარსა საფილოსოფოსო სკოლა, რომელსაც წინამძღვრად დაუყენა საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი, ღვთისმოსავი ანტონ კათოლიკოსი.

სკოლას დიდმა ერეკლემ მეორე „ათინა“ უწოდა. დიდზე დიდი იყო დიდგვაროვან ბაგრატოვანთა დაინტერესება ფართო განათლებით. როგორც მეისტორიენი წერენ, თვით ერეკლე მეფე ესწრებოდა ანტონ კათოლიკოსის საუბრებს ფილოსოფიის, განათლების, ხელოვნების, ენათმეცნიერებისა და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. იმ პერიოდისათვის ყველა ბაგრატოვანმა თელავში მიიღო სადაგი განათლება, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მეორე „ათინად“ წოდებულმა საფილოსოფოსო სკოლამ, ხოლო შემდეგ მის ნაფუძარზე აღმოცენებულმა სასულიერო სემინარიამ. გამოხდა ხანი, თითქმის სამ საუკუნეზე მეტი. თელავთან ახლოს, სოფელ ბუშეტში მამა-შვილის შალვა და პაატა ამონაშვილების ადგილის დედაში ამოხეთქა მოზარდთა ჰუმანურ პრინციპებზე აღზრდის ღვთის მადლით მირონცხებულმა იდეამ.

შალვა ამონაშვილი

ეს მოხდა 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე.

...და როგორც ძველ საბერძნეთში, ათენის მახლობლად დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა ბერძენთა სახალხო გმირის აკადემიუსის სახელობის ბაღში დააარსა ფილოსოფიური აკადემია, სადაც აღიზარდა მრავალი სწავლული და ფილოსოფოსი, მათ შორის ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე არისტოტელე, ბუშეტშიც ცნობილი მეცნიერისა და აკადემიკოსის ბატონი შალვა ამონაშვილის ძალისხმევით დაფუძნდა პედაგოგიური განათლების მძლავრი კერა – ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრი. ცენტრს მრავალი მიმდევარი ჰყავს. მსოფლიოს მაღალგანვითარებული მრავალი ქვეყნიდან აქ მოეშურებიან სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები. ისინი ერთმანეთს ხვდებიან, როგორც ძუძუმტენი. არც გასაკვირია, ძუძუ აქვთ ნაწოვი, როგორც ჩანს, აკადემიის პედაგოგიური სიბრძნით გაჯერებული რძე დიდღალიანია. მსმენელთა დაუოკებელი სწრაფვაც ბუშეტისაკენ სწორედ ამით არის განპირობებული.

ამონაშვილების წალკოტად ქცეულ ბაღნარში მთელი ზაფხულის მანძილზე ტარდება საუბრები ბავშვთა აღზრდის ჰუმანურ იდეებზე. ამ საუბრების მთავარი მაცოცხლებელი ძარღვია მარადუკვდავი პედაგოგიური სენტენციები:

– გარემოს სულიერი, ზნეობრივი და ესთეტიკური მხარე;

– ადამიანთა ქცევები და დამოკიდებულებები, როგორც ბავშვთა „ფარული პროცესით“ აღზრდის პირობა;

– საკუთრივ აღზრდილთა სულიერი და ზნეობრივი სიწმინდე;

– ბავშვის მოთხოვნილებათა მიზანმიმართული გამოვლენა ან ამ მოთხოვნილებათა ჩასახვა.

თავიანთ საუბრებს ამონაშვილები ამდიდრებენ ქართული ხალხური სიბრძნით გაჯერებული აღზრდის იდეებით. როგორც სურნელოვან საკაზმს, ისე აკმევენ ქართულ შეგონებებს ყველა პედაგოგიურ სენტენციას:

– ნეტავი ძმათა მრავალთა მზე წითლად გაუბრწყინდებაო;

– ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი, თორო მტერ მოგერეოდაო;

– მეზობელი მზეზე უწინ დასანახი;

– მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო და მრავალი სხვა.

მსმენელები აქ სწავლობენ ქართულ სტუმართმოყვარეობას, ქართულ სამზარეულოს, ეცნობიან ქართულ ხალხურ სიმღერებს, ცეკვებს...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ბატონმა შალვა ამონაშვილმა შექმნა ხელიხელსაგოგმანები წიგნი აღზრდაზე სათაურით „აღზრდის სიმფონია“. წიგნი ორი წლის განმავლობაში იწერებოდა ბუშეტში. გამოიცა გასული წლის დეკემბერში. პირველმა მკითხველებმა მას უკვე უწოდეს სამაგიდო წიგნი. საკუთრივ ჩემთვის კი ოქროს წიგნია.

გზა დავულოცოთ „აღზრდის სიმფონიას“ მშობელთა გულებისკენ.

გზა მშვიდობისა, ოქროს წიგნო! ფეხბედნიერად გევლოს ჰუმანური პედაგოგიკის დიდ გზაზე.

ამინ!

ლამარა იანგარაშვილი
თელავი

არ გიყვარდეს ქალი – დანაშაულია, გიყვარდეს – სასჯელი

რას ამბობდნენ მსოფლიოს დიდი მოაზროვნეები ქალებზე

ქალი ღვთის მეორე შეცდომაა. **ნიცშე.**

კაცები, რომლებიც ცუდ აზრებს აფრქვევენ ქალებზე, ძირითადად გულისხმობენ მხოლოდ ერთ ქალს. **რემი დე გურმონი.**

მთელი ევროპის შერიგება უფრო გამიადვილდებოდა ვიდრე ორი ქალის. **ლუდოვიკო XIV.**

ქალი – ეს ადამიანისებრი არსებაა, რომელიც იცვამს, ბევრს ლაპარაკობს და იხდის. **ვოლტერი.**

ქალი – ეს ვაშლი და გველია ერთად. **ჰაინე**

ქალებს შესანიშნავი ინტუიცია აქვთ, ისინი ამჩნევენ ყველაფერს იმის გარდა, რაც ცხადია. **ოსკარ უაილდი.**

როგორ ცუდადაც უნდა ფიქრობდნენ მამაკაცები ქალებზე, ნებისმიერი ქალი მამაკაცებზე უარესად ფიქრობს მათზე. **ნიკოლა შამფორი.**

დამოუკიდებელი ქალი – ეს არის ქალი, რომელმაც ვერ მონახა ისეთი ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ ამ ქალზე დამოკიდებული იყოს. **საშა გიტრი.**

ახლანდელ ქალებს არ უჭირთ მამაკაცურად მოქცევა, მაგრამ მათ ძალიან იშვიათად გამოსდით ჯენტლმენურად მოქცევა. **კომპტონ მაქენზი.**

ქალად ყოფნა ძალიან ძნელია იმიტომ, რომ მათ საქმე კაცებთან აქვთ. **ჯოზეფ კონრადი.**

თუ თქვენ მართლა გინდათ გაიგოთ, რას ფიქრობს ქალი, უყურეთ მას თვალებში, მაგრამ არ უსმინოთ, რას ლაპარაკობს. **ოსკარ უაილდი.**

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ადამიანი კი ქალის ხელში. **ალექსანდრ ფიურსტენბერგი.**

თუ ქალს მეორე ქალი მოწონს, ის მასთან გულახდილია, ხოლო თუ არ მოსწონს, ორმაგად გულახდილია. **ერვინ კობი.**

თუ თქვენმა ცოლმა ეკონომიაზე დაიწყო საუბარი, მაშასადამე, თქვენი „აქციები“ ეცემა. **ბალზაკი.**

ქალს შეუძლია მილიონერად აქციოს ნებისმიერი მილიარდერი მამაკაცი. **ჩარლი ჩაპლინი.**

მამაკაცებმა რომ იცოდნენ რას აკეთებენ ქალები როდესაც მარტონი რჩებიან, არასდროს დაქორწინდებოდნენ. **ო'ჰენრი.**

როგორი ძლიერიც უნდა იყოს ქალი, ის მაინც ელის მასზე ძლიერ მამაკაცს. არა იმისთვის, რომ თავისუფლება შეუზღუდოს, არამედ იმისთვის, რომ მისცეს უფლება, იყოს სუსტი. **რემარკი.**

რაც უნდა მისცე ქალს, ის უფრო მეტს მოგცემს. აჩუქებ მას ოჯახს – ის გაჩუქებს ბავშვს; აჩუქებ სახლს – გაჩუქებს კომფორტს მასში; აჩუქებ ღიმილს – ის გაჩუქებს თავის გულს; ქალი ყველაფერს ამრავლებს და ზრდის. ყოველთვის გახსოვდეს ეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დააპირებ ბოროტების ჩადენას მის მიმართ. დამიჯერე, ის უფრო დიდი ბოროტებით გიპასუხებს. **ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.**

მამაკაცი მხოლოდ შავად არის გამოჩორკნილი, ქალი უკვე დასრულებული არსებაა... ქალი იმთავითვე დედაკაცის ყალიბში იქნა ჩამოსხმული. მამაკაცს არ მიუღია რაიმე თავდაპირველი დანიშნულება. **თაგორი.**

ქალის გაგიჟებით შეყვარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ცუდად იცნობ მას და ვერ ხედავ მის ნაკლოვანებებს. **რიჩარდ ფეიმანი.**

ფრანსუა დე ლაროშფუკო ქალების შესახებ:

- ბევრია ქალი, ვისაც არც ერთი სასიყვარულო თავგადასავალი არ ჰქონია, მაგრამ მეტად იშვიათია ისეთი, ვისაც მხოლოდ ერთი ჰქონია.
- რაც უფრო მეტად გვიყვარს ქალი, მით უფრო მზად ვართ შევიჯავროთ.
- ქალის გონება და გული ტემპერამენტთან შეთანხმებით მუშაობს.
- ქალების უმრავლესობა იმიტომ კი არ დასტირის თავის შეყვარებულს, რომ უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ სურს, სხვებს აჩვენოს, თვითონ რაოდენ ღირსია სიყვარულისა.
- პატიოსან ქალთა უმრავლესობა დამალული განძია, რაც მარტოოდენ იმიტომაა საიმედოდ დაცული, რომ არავინ ეძებს.
- თუ გგონია, ქალი იმიტომ გიყვარს, რომ მასაც უყვარხარ, ძალიან ცდები.
- შეყვარებული ქალი უფრო ადვილად შეგინდობს დიდ კადნიერებას, ვიდრე პატარა ღალატს.

ჩვეულებრივ, ყველა იდიოტი კაცის უკან შესანიშნავი ქალი დგას. **ჯონ ლენონი.**

რა იქნებოდნენ კაცები ქალების გარეშე? ღარიბები, ძალიან ღარიბები. **მარკ ტვენი.**

ნამდვილს კაცს მომავალი უნდა ჰქონდეს, ნამდვილ ქალს – წარსული. **ოსკარ უაილდი.**

ქალს შეგიძლიათ ჰკითხოთ, რატომ ტირის, მაგრამ არასდროს ჰკითხოთ რატომ ტიროდა, მას ეს არ ახსოვს. **ალექსანდრე დიუმა.**

თანამედროვე ნახატები ქალებს ჰგვანან, არასდროს მოგეწონებათ, თუ მათ შეცნობას გადაწყვეტთ. **ფრედი მერკური.**

ქალი ყველაზე სრულყოფილი თოჯინაა რომელსაც აღტაცებითა და სიამოვნებით ვმოსავ. **კარლ ლაგერფელდი.**

სქესის შეცვლის ოპერაციას მხოლოდ იმიტომ ჩავიტარებდი, რომ მენახა, როგორი გრძნობაა, როცა ყოველთვის შენ ხარ მართალი. **მიკა ვანეტა.**

ქალები კაცების შეტყუებას ღიმით ცდილობენ და ცრემლებით ინარჩუნებენ. **ბაირონი.**

ქალი, ეს არის აქლემი, რომელსაც მამაკაცი ეხმარება ცხოვრების სიცარიელის გზის გავლაში – **კონსტანტინ მელიხოვი.**

რა ცოტა რამის თქმა შეიძლება ქალზე, როცა ის ბედნიერია და რა ბევრის, როცა უბედურია. **არაბული სიბრძნე.**

მამაკაცს ყოველთვის ეხსომება სამი ქალი: პირველი, ბოლო და ერთადერთი. **ბაირონი.**

თუ ქალი უსიყვარულოდ ცოლად გამოგყვება, ამისთვის ბევრს გადაგახდევინებს, მაგრამ თუ უყვარხარ – უფრო მეტს. **ოვიდიუსი.**

ვერასოდეს იპოვით ქალს, რომელსაც ყველა კითხვაზე არ აქვს პასუხი, სხვა შემთხვევაში იგი მუნჯია. **ბენჯამინ ფრანკლინი.**

ქალისთვის უფრო მნიშვნელოვანია იყოს ლამაზი, ვიდრე ჭკვიანი, რადგან მამაკაცებს უფრო კარგად ყურება შეუძლიათ, ვიდრე აზროვნება. **არტურ შოპენჰაუერი.**

ქალის სილამაზე არც ძვირფასს სამოსშია, არც სხეულსა და ლამაზ ვარცხნილობაში, იგი თვალების ბრწყინვალებაშია. **სკოტ კრუზი.**

ქალები ყოველთვის მაშინებდნენ რადგან მათ შენგან სული უნდოდათ, მე კი მინდა დავიტოვო ის, რაც დამრჩა. **ჩარლზ ბუკოვსკი.**

ქალები რომ მართავდნენ მსოფლიოს, არ იარსებებდა ომები, უბრალოდ, იქნებოდა ყოველ 28 დღეში ერთხელ მოლაპარაკებები. **რობინ უილიამსი.**

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მკერდის ბიოლოგიური დანიშნულება კაცების გამოშტერებაა. **დეივ ბერი.**

ქალი სინამდვილედ ქცეული ულამაზესი სიზმარია მამაკაცისა. **ლობერგერი.**

ქალი – ეს არის ბუნების ყველაზე მისაღები შეცდომა. **მილტონი.**

პირველ ქალს, რომელიც ნამდვილად გაიტაცებს ადამიანს, მეტოქე არასდროს ეყოლება. **ბალზაკი.**

უფრო ადვილია შვიდ ქალს შეაყვარო თავი, ვიდრე ერთისგან დაიხსნა. **დესტუშე.**

ქალს უნდა მისცე ყველაფერი, ან – არაფერი. **ნიკოლოზ ლეონოვი.**

ვისაც შეყვარებული ქალი არ უნახავს, ის ვერ იტყვის, რა არის ქალი. **გოტიე.**

მას, ვისაც შეუძლია ქალი მართოს, სახელმწიფოს მართვაც შეუძლია. **ბალზაკი.**

მირჩევნია ქალის ინტუიციას ვენდო, ვიდრე კაცის გონებას. **სტენლი ბოლდვინი.**

ორი რამ ენატრება ნამდვილ მამაკაცს, ხიფათი და თამაში, ამიტომ სჭირდება – ყველაზე სახიფათო სათამაშო. **ფრიდრიხ ნიცშე.**

ქალი არის ერთადერთი საჩუქარი, რომელიც თავად იფუთება. **ჟან პოლ ბელმონდო.**

ქალი მამაკაცის გამოცანაა რომლის პასუხსაც მომდევნო ქალში ეძებს. **ჯეინ მორო.**

ვინც „დიახ“ ამბობს ოჯახზე, „დიახ“ უნდა თქვას ქალზეც! **ჰელმუტ კოლი.**

არ გიყვარდეს ქალი – დანაშაულია, გიყვარდეს – სასჯელი. **სალვადორ დალი.**

გიორგი ჩხეიძე

სოფისტური „ბენდის“ დიქტატურა

კომერციული სასწავლებლების ერთობლიობა ოთხკუთხა სამკუთხედის ძებნითაა გართული და წმინდა საგანმანათლებლო პრობლემების, მეცნიერული ევოლუციის კანონზომიერებების უგულებელყოფას ემსახურება. აღმასრულებელი, რუტინული მოქმედება უპირისპირება ახლის დამამკვიდრებელ მოღვაწეობას. ადმინისტრაცია მხოლოდ და მხოლოდ კაბინეტური ნეტარებით თვრება. პროგრესული მიზანშეწონილობა არც სახელმწიფო სასწავლებლებში გარდა ამისა, გამაუცნაურებელ ფუნქციას, კარგა ხანია, იძენს შემდეგი ტენდენცია: იქ, სადაც მანდილოსნებს უპყრიათ წამყვანი პოსტები, პროფესორის თანამდებობაზე უპირატესობა ახალგაზრდა მამაკაცებს ენიჭებათ, ხოლო მამრობითი სქესის რექტორთა საუფლოშიც საშტატო განაკვეთებზე პიკანტური, საბედისწერო, ქმარგაყრილი ლამაზმანები ყასიდად კუდაბზიკობენ. ორმოცდაათ წელს მიღწეული პროფესორის დასაქმების შანსი თითქმის ნულს უტოლდება. უეჭველია, რომ ხელმძღვანელობის მცდელობა შენიღბოს სოფისტური „ბენდის“ დიქტატურა და მოგვაჩვენოს, თითქოს უმაღლესი სასწავლებელი არის კორპორაციის ფარგლებში მზეთუნახავ და მზეჭაბუკ პროფესორთა თანამშრომლობის ასპარეზი. ამით განიფინება ტონალობა, რასაც თანაზიარ ინტერესთა ჰარმონია ეწოდება.

რაში მდგომარეობს განვითარების მსოფლმხედველობრივი პრინციპი? როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში აუცილებელია შემოქმედებითი უნარის, აზროვნების კულტურის უსაზღვრო გავრცობა. საჭიროა თეორიული და გამოყენებითი გამოკვლევების ისტორიულად მოძრავი თანაფარდობის აღდგენა. ცალკეული მიმართულების განვითარება შეიძლება მხოლოდ დროებითი „ღონისძიება“ აღმოჩნდეს და არა მთავარი განშტოება. რა თქმა უნდა, ცალკეულ დარგშიც ძევს შესაძლებლობების ექსპანსიის იმპულსი, მაგრამ სწორება უნდა ავიღოთ სინთეზური ურთიერთმოქმედების სხვა, ხარისხობრივი ტიპისკენ. მეცნიერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა უცხოეთის მეორეული დანამატების მიმართ, არამედ რადიკალური გარდაქმნისკენ. ავტოტროფულობისა და რეკონსტრუირების მიღწევა ახალი მეცნიერების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ორივე ამოცანა მიეკუთვნება არა მარტო ტექნიკურ, არამედ ინტელექტუალურ მოდიფიკაციას. შემეცნების რთულ გზაზე აღმართულია მეცნიერის შინაგან არსთან ცოდნის ნაირგვარი თავისებურებების დაახლოებისა და მასთან ემოციური კონტაქტის დამყარების ალოგიზმი. მუნჯი, მკვდარი ცოდნა უნდა გახდეს ცოცხალი და მეტყველი. საჭიროა წარიმართოს ხელოვნებასა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიაში ცნობილი სუბიექტივაციის პროცესი.

სუბიექტივაცია არის ადამიანური შტრიხებით ობიექტის, ანუ, ამ შემთხვევაში, საკვლევი მასალის გასულიერება. აბსტრაქტული ობიექტი გარდაიქცევა მეცნიერის წარმოსახულ თანამოსაუბრედ. სუბიექტივაციის აქტი სწავლულის წინაშე ცოდნისკენ მიმავალ პერსპექტივას შლის, რადგან ობიექტის შემოსვა სუბიექტის თვისებებით წარმოადგენს ასევე ფასეულობას. ასეთი ღირებულების მატარებელთან ურთიერთობის დროსაც მეცნიერს შეიძლება გაუჩნდეს სუბიექტთან კავშირის მსგავსი დამოკიდებულება.

სუბიექტივაციის კლასიკური მაგალითებია: „პირველი ბუნების“ მცენარეებისა და ცხოველების გასულიერება; „მეორე ბუნების“ სახლების, ქალაქების, საგნებისა და მანქანების გასულიერება. სუბიექტივაციის ნიმუში მრავლადაა ხელოვნებაში. ლიტერატურა, პოეზია ასულიერებს ადამიანის გარემომცველ სამყაროს. მაგრამ სუბიექტივაცია არ არის მხოლოდ ზემოაღნიშნულ სფეროთა პროვილეგია. მეცნიერიც ასულიერებს მისი ცნობიერების მთავარ „პერსონაჟებს“. ესენია: იდეები, ფაქტები, თეორიები, ჰიპოთეზები, მსჯელობები. ყოველ ნამდვილ მეცნიერს გააჩნია მისთვის უმნიშვნელოვანესი საკვლევი ობიექტი, რასაც ისე ეპყრობა, როგორც ცოცხალ არსებას. თუნდაც სრინივასა რამანუჯანი გავიხსენოთ, რომელიც ფორმულებს შინაურების მსგავსად აღიქვამდა. ამგვარი სუბიექტივაცია შემეცნების თანაწარუხდომელ საგანს წარმოადგენს.

ნუგზარ გულორდავა
555 672 818

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– რა არის მეუღლეთა თანასაკუთრება?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას / თანასაკუთრებას/, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ–ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამავე კოდექსის 1159–ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

* * *

– როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

– ვარ ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული. მარცხენა მხარეს მკერდის ძუძუ მომაჭრეს ქირურგებმა. დიდი ხნის გაუსვლელად აღმომაჩნდა საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნე და საშვილოსნოც ამომკვეთეს. ვარ გადაუდებელი სიკვდილის მომლოდინე. მრავალჯერ მივმართე საექიმო კომისიას, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღეს, არ მაძლევენ ინვალიდობას. მყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი. მეუღლე გარდამეცვალა. ვარ მარტოხელა. ამ წერილს მეზობელს ვაწერინებ, რადგან წერა არ შემიძლია.

გთხოვთ, მიპასუხოთ დემოკრატიულად. არ მიაქციოთ ყურადღება ნაცების დადგენილებას. რომელი ჯგუფის ინვალიდობა მეკუთვნის?

– ძალიან ვწუხვარ, თქვენი მდგომარეობის გამო, მაგრამ მე პასუხს ვერ გაგცემთ, რადგან იურისტები არ ადგენენ ინვალიდობის ჯგუფს. ინვალიდობის ჯგუფის დადგენა სამედიცინო კომისიის პრერეგატივაა.

ტცხოვრები სექსუალური ტრადიციები მსოფლიოში

ახლა წარმოგიდგენთ არაჩვეულებრივ და შეიძლება ითქვას, შოკისმომგვრელ სექსუალურ ჩვეულებებს, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

კუნძულ ტრობრიანზე სრულიად განსხვავებული სექსუალური ალერსის ფორმები აქვთ. ყველაზე აღმგზნებ სექსუალურ მომენტად პარტნიორისთვის წამწამების კბილებით გლეჯა ითვლება.

მიკრონეზიაში პანაპას ტომის წარმომადგენლები სექსუალური პარტნიორის აღგზნების თავისებურ მეთოდს მიმართავენ. ისინი საწინააღმდეგო სქესის პარტნიორს ჭიანჭველებს შეასევენ. მათი კბენა საუკეთესო აღმგზნებია პანაპას ტომის

წარმომადგენლებისთვის.

ინდონეზიური ტრადიციით, სუმატრას კუნძულის მამაკაცები თავიანთი ქალბატონების დასაკმაყოფილებლად ოკეანის ფსკერიდან უმცირესი ზომის ქვებსა და ნიჟარებს კრეფენ და საშოში უდებენ.

ბრაზილიური ტრადიციით, ტაპინამბას ტომის ინდიელი მამაკაცები სქესობრივი აქტის წინ სპეციალურად მიდიან ტყეში, რათა სასქესო ორგანოზე გველს აკნებიბონ. კბენის შემდეგ სასქესო ორგანო იზრდება და მამაკაცს შეუძლია სიამოვნება მიანიჭოს ქალს რამდენიმე საათის განმავლობაში და სექსით გველის ნაკბენით გამოწვეული ტკივილიც გაიყუჩონ.

სამხრეთ ბოლივიაში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ტრადიცია პარტნიორებს ერთმანეთისთვის ტანზე ტილები დაესვათ. როგორც აღმოჩნდა, მკბენარის საცეცებში არსებობს ძლიერი აფროდიზიაკი, რაც აღაგზნებს ადამიანს.

ნამიბიური ტრადიციის მიხედვით, ჰოტენტოტების ტომის მამაკაცებში არსებობს უცნაური ტრადიცია — ისინი ნებაყოფლობით იკვეთენ ერთ საკვერცხეს. მათი აზრით, ეს არის თავდაცვის მექანიზმი, რომ არ დაიბადოს ტყუპი ახალშობილები, რადგან ტომის შეხედულებით, ეს არის ჰოტენტოტებისადმი მიმართული წყევლის გამოხატულება.

კამჩატკის აბორიგენებში დღემდე არსებობს ტრადიცია, უცხოტომელი სტუმარი აუცილებლად უნდა დაწვეს მასპინძლის ცოლთან. კონტაქტის შედეგად ქალი თუ დაფეხმძიმდება, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მთელი ტომი სადღესასწაულოდ აღნიშნავს, რადგან, მათი აზრით, ეს არის გონივრული ახსნა იმისა, რომ კამჩატკის აბორიგენებს გადაშენება არ უწერიათ.

კონგოში არსებული ტრადიციით, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებას გამორჩეული ტრადიცია აქვთ. ქალმა ქორწინების ღამეს ტომის ბელადთან უნდა გაიზიაროს სარეცელი. თუკი ბელადი თავისი მამაკაცური მოვალეობის შესრულებას წარმატებით მოახერხებს, ეს ნიშნავს, რომ ის კვლავ რჩება ტომის ბელადად. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ტომიდან აძევებენ.

კორეულ ტრადიციაში პარტნიორის სტიმულაციის არაჩვეულებრივი მეთოდი არსებობს. კორეელი ქალბატონები მამაკაცებს ნემსს ჩხვლეტენ სწორედ სასქესო ორგანოზე, რომ უფრო სწრაფად მოხდეს მამაკაცის აღგზნება.

ავსტრალიელი აბორიგენები თავიანთ ცოლებს ყველაზე ახლო მეგობარს სთავაზობენ რამდენიმე დღით. ამ შეთავაზებაზე უარის თქმა, მეგობრობაზე უარის თქმის გარდა უდიდეს წყენად ითვლება.

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ
568 976 160

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com